# ლელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 აგვისტო **პარასკევი** 2011

№ 200 (13 497) ფასი 80 თეთრი


# წინ გავიხედოთ, მაგრამ თამაშის სარკეშიც ჩავიხედოთ




ნიუ იორკში იწყება წლის უკანასკნელი „დიდი სლემის" ტურნირი - ამერიკის ღია პირველობა, რომლის საპრიზო ფონდი 23,7 მილიონი დოლარია. წუხელ ძირითადი ბადის კენჭისყრა გაიმართა, რომელმაც მსოფლიოს 85-ე ჩოგან ანა ტატიშვილს მეტოქედ მე-17 ნომრად განთესილი რუსი ანასტასია პავლიუჩენკოვა (18) არგუნა. შეგახსენებთ, რომ ანა კარიერაში პირველად თამაშობს ამერიკის ღია პირველობის ძირითად ბადეში.

28 წლის მაკა ჩახნაშვილმა (213) კი წარუმატებლად ითამაშა ამერიკის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ბადეში. ერთ დროს, ქართული ქალთა ჩოგბურთის ლიდერი 22 წლის ჩინელ ინ-ინ ლუსთან (197) დამარცხდა, რომელიც არაფრით გამორჩეული ჩოგბურთელია - 7:6 (5), 3:6, 1:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# თბილისში ომი იყო




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

3

# ლიგა დაჯგუფდა




9

# ვინ, თუ არა მესი!



9

# საჩვენო შოკოლადი ბელგიაში არ არის




2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ევროპის ლიგა. პლეი ოფი. ბრიუგე-ზესტაფონი

# სიმწარეს ვერა, მაგრამ შერცხვენას გავექეცით

25.08. ბრიუგე. იან ბრეიდლი.
23 725 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბრიუგე | 2 |
| ზესტაფონი | 0 |

პირველი მატჩი 3:3

1:0 აკპალა (7), 2:0 აკპალა (27, რაფაელოვის პასით)

| ბრიუგე | ზესტაფონი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-2 |
| კუსემანსი | რ. კვასხვაძე |
| ჰოფკენსი | ალადაშვილი |
| დონკი | კობახიძე |
| ალმებეკი | გ. ონიანი |
| ჰოგლი | ელიავა |
| ოჯიჯა | აფციაური |
| ზიმლინგი | ძარია |
| ვასკესი | გორგიაშვილი |
| დირარი | გრიგალაშვილი |
| რაფაელოვი | დვალი |
| აკპალა | გელაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. კოსტერი | გ. ჭიაბრიშვილი |

**ბრიუგე**

65. ვასკესი - **ბლონდელი**
71. აკპალა - **მუნიე**
78. ოჯიჯა – **ვან აკერი**

სათადარიგოები: *დოსტი, ლესტიენი, დეშილდერი, ვანსტეენკისტე*

**ზესტაფონი**

33. ძარია - **ბენაშვილი**
44. ალადაშვილი - **საჯაია**
57. აფციაური - **წინამძღვრიშვილი**

სათადარიგოები: *მამალაძე, თ. ღონღაძე, ბაბუნაშვილი, ლომია*

გაფრთხილება: ძარია (21), ვასკესი (22), ონიანი (24), ალადაშვილი (34)
არბიტრი: ტ. ასუმაა (ფინეთი)

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბრიუგედან

"ბრიუგე" წყვილის ფავორიტიც იყო და კონკრეტულად გუშინდელი მატჩისაც, მაგრამ იმედი გვქონდა, რომ "ზესტაფონი" თავის წილ შანსს შედეგიანად გამოიყენებდა. სამწუხაროდ, ჩვენს იმედებს ცივი წყალი გადაევლო, "ბრიუგესთან" თბილისში ჩატარებული მეორე ტაიმი წლევანდელ ევროსარბიელზე "ზესტაფონის" ბოლო გაბრწყინება აღმოჩნდა, ფეროელებმა კი მეტოქის კარის დალაშქვრა ზედიზედ მეექვსე საევროთასო მატჩში ვერ შეძლეს.

თუ დღისით ქალაქში ფეხბურთის ასოციაციას საერთოდ არაფერი იწვევდა, სალამოსკენ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა – "ბრიუგეს" მაისურებში გამოწყობილი დიდ-პატარა ფეხით, ველოსიპედებითა თუ ავტომობილებით ხალისიანად დაიძრა სტადიონისკენ და ფეხბურთი ბრიუგეს ისტორიულ ნაწილშიც კი, სადაც ტურისტების სიმრავლეა, უმთავრეს მოვლენად იქცა.

ტრიბუნები თითქმის მთლიანად შეივსო, "ბრიუგეს" გულშემატკივრებმა კი "იან ბრეიდელზე" თავი უფრო მეტად მოგვაწონეს, როცა საყვარელ გუნდს ჯერ საყოველთაოდ ცნობილი You Never Walk Alone-თი შეეგებნენ, მერე კი მთელი მატჩის განმავლობაში ხმაშეწყობილად უჭერდნენ მხარს. "ზესტაფონს" საქართველოს დროშებისა და "ქართული სპორტის ქომაგების" მიერ თბილისიდან გაგზავნილი დიდი ბანერის მეშვეობით ბელგიაში მცხოვრებმა ორასამდე ქართველმა უქომაგა და როცა ბელგიელი ფანები "წუთშესვენებას" ილებდნენ, სტადიონზე "ზესტაფონის" სახელი გარკვევით ისმოდა. "ბრიუგეს" გულშემატკივართა სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველთა შეძახილებს სტვენით არ ახშობდნენ.



"ბრიუგეს" გუშინდელი სასტარტო შემადგენლობა პირველი მატჩის იდენტური იყო, "ზესტაფონის" ძირითადში კი ორი ცვლილება მოხდა – **გია ჭიაბრიშვილმა** დაცვის მარჯვენა ფლანგზე **თემურ ღონღაძეს კახა ალადაშვილი** ამჯობინა, დისკვალიფიკაციამოხდილმა **გიორგი ონიანმა** კი დაცვის ცენტრში **ედიკ საჯაია** ჩაანაცვლა.

მატჩი "ბრიუგეს" წამლეკავი უპირატესობით დაიწყო. ქართველებმა ბელგიელების მიერ შეთავაზებულ ზემაღალ ტემპს ფეხი ოდნავადაც ვერ აუწყვეს და განადგურების რეალური საფრთხის წინაშე თავიდანვე დავდექით. მასპინძლებმა საწყის ორ წუთში ორი კუთხური მოაწოდეს, მესამე წუთზე ხარიხამ გვიხსნა, მეშვიდეზე კი მოსახდენი მოხდა – **ჯოზეფ აკპალამ მამუკა კობახიძისა** და **ზაალ ელიავას** უხეში შეცდომით ისარგებლა და "ბრიუგე" დააწინაურა.

თუმცა ისევ აკპალას უნდა ვუმადლოდეთ, უფრო დიდი ანგარიშით რომ არ დავმარცხდით. მარტო პირველ ტაიმში მან სამი ძალიან ხელსაყრელი საგოლე შანსი გაანიავა.

"ზესტაფონის" შემადგენლობიდან კი ქების ღირსი მხოლოდ **როინ კვასხვაძეა**. ახალგაზრდა მეკარემ, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა კარის ხაზზე საიმედო თამაშით, გუნდი არაერთხელ იხსნა, შეხვედრის მიწურულს "მკვდარი ბურთიც" მოიგერია და ქართველთაგან დადებითი შეფასებაც მხოლოდ მისი მისამართით გვემეტება.

ჭიაბრიშვილმა პირველ ტაიმში ორი ცვლილება განახორციელა – პირველით შეტევის გაძლიერება, მეორით კი დარბეული დაცვის გამთელება სცადა. ორივე ამოცანა ნაწილობრივ განხორციელდა.

41-ე წუთზე გატანა ჩვენც შეგვეძლო. **ალექსი ბენაშვილის** პასით **ნიკოლოზ გელაშვილი**, ფაქტობრივად, მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ არც დარტყმა გამოუვიდა, არც ბურთის თავზე გადაგდება და **კუსემანსმა** საფრთხე იოლად გაანეიტრალა.

მეორე ტაიმში "ზესტაფონი" შედარებით უკეთ ათამაშდა, ტემპიც გაზარდა და მეტოქის ნახევარსაც გაუშინაურდა. "ბრიუგეს" განსაკუთრებული უპირატესობა აღარ ჰქონდა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, აღარც სჭირდებოდა.



მეორე ნახევრის საწყის წუთებში "ზესტაფონმა" "ბრიუგეს" ორჯერ "უჩხვლიტა" – ჯერ **ჯაბა დვალის** დარტყმა მოიგერია ბელგიელთა მეკარემ, მერე კი დვალი გელაშვილის ფლანგურ გადაცემას შედეგიანი თავურით შეეგება – ლაინსმენმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა, რის თაობაზეც ვიდეოჩანაწერის ნახვამდე კომენტარს ვერ გავაკეთებთ.

"ბრიუგე" უშანსოდ არც მეორე ტაიმში ყოფილა და მისმა ფეხბურთელებმა ხელსაყრელი პოზიციიდან ოთხჯერ ააცილეს, რაც, დაგვეთანხმებით, მაღალ კლასზე არ მიუთითებს.

ბოლო ათი წუთი ქართველებმა ათი მოთამაშით ჩაატარეს – **რატი წინამძღვრიშვილმა** თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო, შეცვლათა ლიმიტი კი იმ დროისთვის ამოწურული გვქონდა.

"ზესტაფონს" ცდა არ დაუკლია, მაგრამ ანგარიში ვერ „დაასველა", თუმცა პირველ ტაიმში ისიც წარმოუდგენლად მიგვაჩნდა, განადგურებას თუ გადავურჩებოდით.

ფეროელებისთვის ევროსეზონი დასრულებულია. რა გვეთქმის – ჩვენი ჩემპიონი დამარცხდა მეტოქესთან, რომელიც მასზე საგრძნობლად ძლიერი აღმოჩნდა და თუკი თბილისში სისუსტეები გვიჩვენა, სამშობლოდან მწარე მარცხნაწვნევები გამოგვიშვა.

ცხოვრება გრძელდება და "ზესტაფონი" შინაურ საქმეებზე გადაერთვება, წლევანდელი ევროგამოსვლა კი ფეროელებს მაინც დადებითად უნდა შევუფასოთ – "ზესტაფონმა" ხომ ევროპის ლიგის პლეი ოფამდე პირველად მიაღწია.

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ლიგა პლეი-ოფი. დინამო-აექ

# ნერვების თამაში

25.08. თბილისი. ბ. პაიჭაძე. 40 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 1 |
| აექ | 0 |

**დამატებით დროში 1:1**

**პირველი მატჩი 0:1**

1:0 კოშკაძე (2), 1:1 ლეონარდო (111, პენალტით)

| დინამო | აექ |
|---|---|
| 4-3-3 | 4-2-3-1 |
| ლორია | კონსტანტოპულოსი |
| ოდიკაძე | გეორგეასი |
| თომაშვილი | მანოლასი |
| კაკუბავა | კალა |
| რეხვიაშვილი | კარაბელასი |
| კვეკვესკირი | მაკოსი |
| ალვარო | გენცოღლუ |
| კოშკაძე | ხოსე კარლოსი |
| ჩისკო | გუდიონსენი |
| იაგუე | ლაგოსი |
| რობერტინიო | ლიბეროპულოსი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ალექს გარსია | მანოლო ხიმენესი |

**დინამო**

74. რობერტინიო - **კოტო**
79. კოშკაძე - **ჯილაური**
105. ჩისკო - **კახელიშვილი**

სათადარიგოები: ნადირაძე, თექთურმანიძე, ბერაია, ჰომოლა

**აექ**

36. კონსტანტოპულოსი-**არაბაცისი**
63. ლიბეროპულოსი-**ლეონარდო**
106. ხოსე კარლოსი-**კაფესი**

სათადარიგოები: კონტოესი, ბელეკი, კლონარიდისი, ჰელგასონი

გაფრთხილება: **ხოსე კარლოსი (32), ჩისკო (51), მაკოსი (68), კალა (68), ალვარო (68), კაკუბავა (74), კარაბელასი (77), გუდიონსენი (115)**

გაძევება: კაკუბავა (109)

არბიტრი: დ. ჩეფერინი (სლოვენია)

## ეს, ალბათ, მაქსიმუმი იყო...

...ათიოდე წუთიც და პენალტების სერიაც დაიწყებოდა: „დინამო" მინიმალური ანგარიშით ამარცხებდა ათენის აექ-ს და გულახდილად რომ ვთქვათ, სტადიონზე შეკრებილ ქომაგთა უმრავლესობის მსგავსად, ჩვენც... **გიორგი ლორიას** იმედად ვიყავით! ჰო, ისედაც ზღაპრული მატჩის ჩამტარებელ მეკარეს საკუთარი ოსტატობა პენალტების სერიაშიც უნდა გამოევლინა და შვიდწლიანი პაუზის მერე ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპზე კვლავაც ვიხილავდით თბილისის „დინამოს"; თუმცა, ასე არ მოხდა: ორივე გუნდის შემადგენლობაში ყველაზე ცნობილი და ტიტულიანი ფეხბურთელი, სტუმართა ისლანდიელი ლეგიონერი **ეიდურ გუდიონსენი** ჩვენ საჯარიმოში წააქციეს და პენალტების სერიის ნაცვლად... „დინამოს" კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი ვიხილეთ! აი, ამ შემთხვევაში კი ლორია მართლაც უძლური იყო: სტუმართა შორის, უდავოდ, გამორჩეულმა **ლეონარდომ** პენალტი ზუსტად შეასრულა და, ფაქტობრივად, თამაშიც აქ მორჩა! არ დაგვავიწყდეს, რომ სლოვენიელმა არბიტრმა **დარკო ჩეფერინმა** (იმედია, მსაჯთა ბრიგადაზე აუგს ვერავინ იტყვის, - ობიექტურობაც არ დაენწუნებოდათ და მასპინძელთა მიმართ „მცირეოდენი" სიმპათიაც), ამ ეპიზოდში **ლევან კაკუბავა** გააძევა მოედნიდან. ჰოდა, დარჩენილ დროში ათკაციანი და გადაღლილი „დინამო" ორ ბურთს რომ ვერ გაიტანდა, ამას, ალბათ, ყველა შეეგუა. ასეც მოხდა - სტუმრებს აღარ გასჭირვებიათ თავიანთვის სასურველი ანგარიშის შენარჩუნება; ეგ კი არა, შეცვლაზე შემოსულ **კაფესს** მეორე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ბურთი მიზანს ააცილა. აი, ასე დასრულდა უაღრესად დრამატული და ნერვული მატჩი, რომელსაც ისეთი დასაწყისი ჰქონდა, უკეთესს რომ ვერ ვინატრებდით. თუმცა, სჯობს ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ, მაგრამ ვიდრე პირველი ტაიმიდან მოყოლებული, მთელი შეხვედრის პერიპეტიებს გავიხსენებდეთ, სხვაც გვინდა ვთქვათ. რა თქმა უნდა, ძალიან დასანანია, ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპთან ასე ახლოს რომ იქნები და მხოლოდ დამატებით დროში გაშვებული ბურთის წყალობით ვერ მიაღწევს მიზანს; მაგრამ, მოდი, კვლავაც გულახდილები ვიყოთ და ისიც ვაღიაროთ, რომ წლევანდელ ევროტურნირებზე „დინამომ" ალბათ, მაქსიმუმს მიაღწია, როცა ევროპის ლიგის სამი ეტაპი გაიარა. აღარ გვინდა იმის „გახსენება-შეხსენება", თუ რამდენად მეტი ბიუჯეტი აქვს აექ-ს ჩვენს ყველაზე ტიტულიან გუნდზე, რომ აღარაფერი ვთქვათ საერთაშორისო გამოცდილებაზე! **კოსტას მანოლასს, პანტელის კაფესს, ნიკოს ლიბეროპულოსს, გრიგორის მაკოსსა** და უკვე ნახსენებ **ეიდურ გუდიონსენს**, ვინ მოსთვლის, რამდენი ათეული მატჩი ჩაუტარებიათ ევროტურნირებზე. ჩვენ გუნდში კი, ორი-სამი ფეხბურთელის გარდა, უმრავლესობა ასეთ დონეზე ასპარეზობას მიუჩვეველია, — 18-19 წლის **ნიკა კვეკვესკირსა** და **ჯაბა ჯილაურზე** რომ აღარაფერი ვთქვათ; თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ ლაპარაკია, ფაქტობრივად, სამი თვის წინ ჩამოყალიბებულ გუნდზე, — გუშინ ეროვნულ სტადიონზე 40 000 მაყურებელი რომ „მოიყვანა"! მოკლედ იმის თქმა გვსურს, რომ მთლად ენაც არ გვიბრუნდება დინამოელთა ვერშესრულებული მიზნის გამო — მომდევნო ეტაპზე გასვლა ჩვენზე ბევრად გამოცდილ და, რაც მთავარია, ბევრად უფრო ძლიერ და დაბალანსებულ აექ-ს ეკუთვნოდა.


ანგარიში ალექსანდრე კოშკაძის ამ დარტყმის შემდეგ გაიხსნა — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## იმედიანი ტაიმი

...მატჩის დასაწყისი მართლაც ზღაპრულზე მეტი გამოდგა: ჩვენების პირველივე შეტევა გუნდის კაპიტნის, **ალექსანდრე კოშკაძის** ეფექტური და ზუსტი დარტყმით დამთავრდა! თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო: „დინამომ" შეტევების კორიანტელი დაატეხა მეტოქეს და დროის მოკლე მონაკვეთში ორი ლამაზი კომბინაციაც ვიხილეთ; ოღონდ პირველ ჯერზე მხოლოდ კუთხურს გამოვრჩით, მეორედ კი **დავით ოდიკაძეს** სტუმართა მცველებმა დაასწრეს. პირველი ტაიმში „დინამოს" კიდევ ჰქონდა გოლის გატანის რამდენიმე შანსი: კოშკაძის პასის მერე **რობერტინიო** მახვილი კუთხიდან ურტყამდა, მაგრამ აექ-ის მეკარემ იყოჩაღა, **ჩისკომ** „ერთი შეხებით" დარტყმული ბურთი მიზანს ააცილა; ტაიმის ბოლო წუთზე კი ყველაზე რეალური მომენტი შევქმენით: **ალვაროს** კუთხურის მერე ლევან კაკუბავა ოთხიოდე მეტრიდან თავით ურტყამდა, მაგრამ სტუმართა სარეზერვო მეკარემ **იანის არაბაცისმა** (ტრავმირებული **დიმიტრის კონსტანტოპულოსი** რომ შეცვალა) საკუთარი გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა. აი, ჩვენს კართან კი ხიფათი, ფაქტობრივად, არც მომხდარა: ერთადერთი მაშინ ვინერვიულეთ, როცა აექ-ის ესპანელმა ლეგიონერმა **ხოსე კარლოსმა** საჯარიმო დარტყმა მართლაც მზაკვრულად შეასრულა, მაგრამ ბურთი მიზანს მცირე მანძილით აცდა. მოკლედ, პირველი ტაიმი ჩვენთვის სასურველი სცენარითა და ანგარიშით დამთავრდა და ყველას იმედი გვქონდა, რომ შესვენების შემდეგაც „დინამოს" დომინირებით „წაყვანილ" თამაშს ვნახავდით; სამწუხაროდ, თურმე, ვცდებოდით...

## სახეშეცვლილი სტუმრები, ხელჩართული ჩხუბი და ლორია-შოუ!

... იმას კი შეგუებული ვიყავით, რომ საერთოდ მთელი მატჩი „ნერვების თამაში" უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. აი, სწორედ აქ იჩინა თავი სტუმართა გამოცდილებამაც და... მწვრთნელის ფაქტორმაც. ვიდრე თანამემამულე კოლეგასთან **ალექს გარსიასთან**... ხელჩართულ ჩხუბში ჩაებმეოდა, აექ-ის თავკაცმა **მანულო ხიმენესმა** მართლაც გონივრული და, როგორც მერე გაირკვა, წარმატების მომტანი შეცვლა გააკეთა. გუნდის კაპიტანი, ცენტრფორვარდის პოზიციაზე მოასპარეზე ლიბეროპულოსი მოედნიდან გაიყვანა და მის ნაცვლად ლეონარდო შემოიყვანა, ვინც ჩვენი მარჯვენა ფლანგი მართლაც ააწიოკა გაუთავებელი რეიდებით. მანამდე ჩრდილში მდგომი გუდიონსენი კი გამოკვეთილ ცენტრფორვარდად მოგვევლინა და ჩვენს კართანაც ხიფათი-ხიფათს ცვლიდა: განსაკუთრებით მეორე ტაიმის დასაწყისში გაგვიჭირდა, როცა სტუმრები ფლანგებიდანაც გვიტევდნენ და ცენტრიდანაც. სამწუხაროდ, „დინამოში" არ აღმოჩნდა ისეთი ფეხბურთელი, ბურთს რომ „დაიჭერდა"; ანუ, მეტოქე, ფაქტობრივად, მთელი გუნდით გვიტევდა და კიდევ კარგი, არბიტრებს ერთი „შეცდომაც" არ დაუშვიათ, თორემ დამატებით დრომდე საქმე არ მივიდოდა...

...65-ე წუთი მიმდინარეობდა, „დინამოს" ნახევარმცველ **ალვაროსა** და სტუმართა მთავარ მწვრთნელს შორის მცირე სიტყვიერი შელაპარაკება რომ მოხდა; ამას კი ისეთი ამბავი მოჰყვა, ევროტურნირებზე კი არა, ჩვენს ჩემპიონატშიც კარგა ხანია რომ არ გვინახავს: გუნდმა გუნდზე ხომ გაიწია, ყველაზე „საინტერესო" მაინც... ესპანელი მწვრთნელების ლამის ხელჩართული ჩხუბი იყო! თამაში, სულ მცირე, 3-4 წუთით მაინც იყო შეჩერებული და ჯობდა... არ განახლებულიყო: ჯერ იყო და გუდიონსენმა ძალიან ახლო მანძილიდან თავით დაუცველ კუთხეში ზუსტად ვერ დაარტყა, მერე კი **გიორგი ლორიას** „ჯერიც" დადგა! უკვე მერამდენედ გვიწევს სიამოვნებით იმის აღნიშვნა, რომ „დინამოს" და, საერთოდ, ქართულ ფეხბურთს მართლაც ისეთი მეკარე ჰყავს, ვისი იმედიც ნებისმიერ მატჩსა და ნებისმიერ მეტოქესთან უნდა გქონდეს. ლორიამ გუშინაც შთამბეჭდავზე-შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა და **ლეონარდოსა და კარლოსს** ისეთი ბურთები აუღო, მხოლოდ და მხოლოდ, უმაღლესი კლასის მეკარეები რომ ახერხებენ ხოლმე!

... საბედნიეროდ, ძირითადი დროის ბოლო წუთებში სტუმრებიც შედარებით „დამშვიდდნენ" და ჩვენმა ხუთკაციანმა დაცვამაც (მეორე ტაიმში ნიკა კვეკვესკირი, ფაქტობრივად, მესამე ცენტრალურ მცველად მოგვევლინა) ცოტა ამოისუნთქა; მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ხეირიან და გააზრებულ შეტევებს ვერ ვახორციელებდით: დაცვასა და თავდასხმას შორის „კავშირი" ხომ საერთოდ არ არსებობდა და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფეხბურთელიც არ გვყავდა შეტევების ორგანიზებას საკუთარ თავზე რომ აიღებდა. ისე, მთავარმა მსაჯმა კიდევ ერთხელ „სასიამოვნოდ" მაშინ გაგვაოცა, როცა ძირითად დროს მხოლოდ 4 წუთი დაამატა — ისედაც ზედმეტად აჟიტირებული სტუმრები ამ ფაქტზეც გადაირივნენ, მაგრამ დამატებით დროს მაინც ვერ აცდნენ.

... დამატებით ტაიმებზე საუბარი არც ღირს — წერილის დასაწყისშივე ვთქვით, რომ პენალტების იმედად ვიყავით, მაგრამ გუდიონსენის კლასმა და გამოცდილებამ „დინამოს" ახალგაზრდა მცველს **ლევან კაკუბავას** საბედისწერო შეცდომა დააშვებინა და 120-ე წუთის ნაცვლად, თამაში, ფაქტობრივად, ათი წუთით ადრე მორჩა!

**გია ტუხაშვილი**

*P.S. სამწუხაროდ, მატჩი ასე „მშვიდობით" არ დასრულებულა და ფეხბურთელებს შორის კვლავაც მოხდა შეხლა-შემოხლა. ამას მერე უკვე ტრიბუნებიდან ნასროლი ბოთლებიც მოჰყვა და ვეჭვობთ, რომ უეფა ამდენს არ გვაპატიებს. დაბოლოს, ერთ მეტად პრობლემატურ საკითხზეც, რომელსაც სხვა დროს განვავრცობთ: სამწუხაროდ, „დინამოს" ესპანელი ლეგიონერებიდან ზოგიერთი საერთაშორისო მოთხოვნებს ნამდვილად ვერ აკმაყოფილებს. ყოველ შემთხვევაში,* ***კოტოც*** *და* ***იაგუეც*** *ის ფეხბურთელები არ ჩანან, ქართველებს „ათი თავით" რომ აღემატებიან...*


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ამას ველოდი, მოვესწარ...



# დინამო ისევ დინამოა

## პირველი საზრუნავი: საფარი და განათება

გუშინ თბილისის მერიაში ჩვენი ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა – ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ თბილისის "დინამოს" ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი გადაეცა. თბილისის მერიასა და საფეხბურთო კლუბს შორის 49-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს მერის მოადგილემ **გიორგი ცხაკაიამ** და "დინამოს" გენერალურმა დირექტორმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმა**.

**გიორგი ცხაკაია:** მნიშვნელოვანია შეთანხმების ის ნაწილი, რომლის თანახმადაც, სტადიონის ახალი მმართველი ვალდებულია განახორციელოს დიდძალი ინვესტიცია. უპირველესად, შესაცვლელია საფარი, გასაუმჯობესებელია სხვა პირობებიც, რათა სტადიონმა ფიფასა და უეფას სტანდარტები დააკმაყოფილოს.

აღსანიშნავია, რომ დღეს "დინამოს" უმნიშვნელოვანესი თამაში აქვს და გუნდი უკვე კუთვნილ სტადიონზე ითამაშებს.

ხელშეკრულების თანახმად, სტადიონს 49 წლის მანძილზე პროფილი სრულად შეუნარჩუნდება.

**ზურაბ პოლოლიკაშვილი:** ეს დღე სიმბოლურია, რადგან "დინამოს" დაუბრუნდა სტადიონი, რომელიც, ტრადიციულად, მასთან იყო გაიგივებული და ყველა "დინამოს" სტადიონს უწოდებდა.

ცხადია, საერთაშორისო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი, უპირველესად, საფრის შეცვლას ვაპირებთ.

სტადიონის თემა "დინამოს" მეპატრონე რომან ფიფიას ძალიან აღელვებს, მას სურს, მდგომარეობა რაც შეიძლება მალე გამოსწორდეს და ნებისმიერი რანგის თამაშს უპრობლემოდ ვუმასპინძლოთ, საამისოდ კი დიდ ინვესტიციას გეგმავს.

საფარს აეკ-თან ან "ზესტაფონთან" 28 აგვისტოს მატჩის შემდეგ ავიღებთ და ძალიან მალე აბსოლუტურად განახლებულ არენაზე ვითამაშებთ.

პრესკონფერენციის შემდეგ ზურაბ პოლოლიკაშვილს სხვა საკითხებზეც ვესაუბრეთ.

**- სტადიონზე არა მხოლოდ საფარი, განათებაც შესაცვლელ-გასაახლებელია: ბოლო დროს შუქმა ისე დაიწყო თამაში, თითქოს სტადიონის კი არა, საკონცერტო დარბაზის განათებაა. შესაძლოა, უეფას მკაცრმა დელეგატმა ამის გამო დაგვსაჯოს ან თამაში აგვიკრძალოს.**

- გეთანხმებით, ეს სავსებით შესაძლებელია, ამიტომაც გვსურს, რაც შეიძლება მალე გამოვცვალოთ საფარი და განათების სისტემა. ორივე უმაღლესი ხარისხისა იქნება.

**- გამიგია, საფრის შეცვლას ორი თვე მაინც სჭირდებაო.**

- ჩვენ გაწერილი გვაქვს სამუშაოების გეგმა, ასე რომ, ამ პრობლემის მოგვარება ერთ თვეშიც შეიძლება. საფარი კი ისეთივე მაღალი ხარისხის იქნება, როგორიც ევროპის ყველაზე ცნობილ სტადიონებზეა. ასეთი საფარია "დინამოს" დიღმის ბაზაზე, რომელიც სპეციალისტებს ძალიან მოეწონათ.

**- სტადიონის განახლება კიდევ რას ითვალისწინებს?**

- სამუშაოები არენის შიდა და გარე პერიმეტრებზეც იწარმოებს. სტადიონზე ფეხბურთელებიც და გულშემატკივრებიც მაქსიმალურად კარგ პირობებში უნდა იყვნენ. უკვე დასრულებულია პროექტირებაც. რომან ფიფიას სურს, რომ თბილისში ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონი გვქონდეს, თანაც, იგი დედაქალაქის ცენტრში მდებარეობს და არ შეიძლება, ცუდად გამოიყურებოდეს.



ზურაბ პოლოლიკაშვილი (მარცხნივ) და გიორგი ცხაკაია ფოტო: www.fcdinamo.ge

**- როდისთვის გეგმავთ სამუშაოების დასრულებას?**

- გვინდა, ერთ თვემდე ვადაში ჩავეტიოთ, რადგან დღეს თუ ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდით, თამაშები სექტემბრის შუა რიცხვებისთვის გველის და სამუშაოების დასასრულებლად ძალიან ცოტა დრო დაგვრჩება. ამ გადაუდებელი საქმის დამთავრებას სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში ვგეგმავთ. რომან ფიფია რეკონსტრუქციის სწრაფი დასრულებითაა დაინტერესებული.

**- სკამების შეცვლაც თუ იგეგმება?**

- ჯერ მათი შეცვლის აუცილებლობა არ არის, თუმცა, მოგეხსენებათ, სტადიონი უზარმაზარი ობიექტია, ასე რომ, მისი განახლება მუდმივი პროცესია.

**- 28 აგვისტოს "დინამო"-"ზესტაფონი" ეროვნულზე გაიმართება თუ გადაიდება?**

- ჯერ ვერ გეტყვით. არადა, ორივეს უმნიშვნელოვანესი შეხვედრები გველის, რომლებშიც მოთამაშეები უდიდეს ემოციურ და ფიზიკურ ენერგიას დახარჯავენ. ჩვენი აზრით, საქართველოს ჩემპიონატის უმთავრესი შეხვედრა უფრო დამშვიდებულ გარემოში უნდა ჩატარდეს. გუნდებისთვისაც ასე აჯობებს და მაყურებლებისთვისაც.

**- რეკონსტრუქციის პერიოდში "დინამო" სად ითამაშებს?**

- ალბათ, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე. სექტემბერში ორი შეხვედრა გველის და იმედია, ოქტომბერში მეტოქეებს საკუთარ სტადიონზე მივიღებთ.

**- საფრის შეცვლისას სარბენი სექტორი არ დაზიანდება?**

- არ დაზიანდება, რადგან ეს ტექნიკურად არის გათვლილი. თანაც, 2015 წელს ეროვნული სტადიონი ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს და მანამდე ახალი სარბენი ბილიკებიც დაიგება, რომლისთვისაც ცალკე მოეწყობა განათების სისტემა. ეს სტადიონის მთლიანი განათების ხარისხსაც გააუმჯობესებს.

**- სათადარიგო მოედნის განახლებას თუ აპირებთ?**

- მოგეხსენებათ, ჩვენ დიდ საფეხბურთო აკადემიას ვაფუძნებთ, სადაც ბევრი ბავშვი ივარჯიშებს, ასე რომ, „დინამოს" მცირე არენის განახლებაც კარგი იქნება. მაგრამ იქ მხოლოდ ერთი მოედანია და ეს აკადემიის მთლიანად ეროვნულ სტადიონზე გადატანის საშუალებას არ იძლევა.

**- აკადემია ეროვნული სტადიონისა და დიღმის ბაზის მოედნებზე რომ გადანაწილდეს?**

- აკადემია ცალკე დაფუძნდება და თუ სად განთავსდება, მალე შეიტყობთ.

**მერაბ მამულაშვილი**

საყურადღებოა

# ახალი ლოგო სამზეოზე

**„ლელოს" არქივში დროდადრო არაერთ საინტერესო მასალას წავაწყდებით ხოლმე. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, რაც ჩვენი გაზეთის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა, ცნობილ მხატვარ ვახტანგ რურუას ეთხოვა შეესრულებინა თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის ემბლემის ახალი ვარიანტი ტრადიციულ ფერში და ქართული აქცენტით. მხატვარმა თხოვნა შეასრულა, მაგრამ მაშინ გუნდისთვის სახელის გადარქმევის გამო „დინამოს" ახალი ლოგო რედაქციის არქივში დარჩა. და აი, ახლა მხატვრის იმ ნამუშევრის დედანი გულშემატკივრებისა და, რა თქმა უნდა, „დინამოს" დღევანდელი ხელმძღვანელების წინაშეა.**

იმრავლოს!

# ვარსკვლავის სახელობის სტადიონი მეოთხე ვარსკვლავის მოლოდინშია

ივლისში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გადაეცა და ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** თაოსნობით ივლისშივე ამორტიზებული არენის რეკონსტრუქცია დაიწყო.

საფარი უკვე დაგებულია, შეიცვალა პრესლოჟის ადგილი და ის დასავლეთ ტრიბუნის ნაცვლად აღმოსავლეთისაზე მოეწყო, განახლდა გასახდელები, მსაჯთა და დელეგატთა ოთახები. სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ დასრულებულა – ახლიდან კეთდება საპრესკონფერენციო დარბაზი, იგეგმება ინდივიდუალური სკამების შეცვლა...

ტრადიციაა – სტადიონზე, რომელზეც მსგავსი მასშტაბის რეკონსტრუქცია ტარდება, უეფა თავის წარმომადგენელს აგზავნის, გაწეულ სამუშაოებს ამოწმებს და ხარისხის შესაბამის ვარსკვლავს ანიჭებს.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, 24 აგვისტოს თბილისს უეფას სტადიონებისა და უსაფრთხოების კომიტეტის წევრი **ტრიგვე ბორნო** და უეფას "ჰეთ თრიქის" პროექტის გენერალური მენეჯერი და ამ ორგანიზაციის ადმინისტრაციის წარმომადგენელი **დავით პეტრიაშვილი** "მიხეილ მესხს" ესტუმრნენ და სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაათვალიერეს.



*"სავარაუდოდ, ეს სამუშაო ვიზიტი ძალზე მნიშვნელოვანი უნდა აღმოჩნდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის, ვინაიდან ძალიან მალე, მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, "მიხეილ მესხის" განახლებულ არენას ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოსგან ოთხი ვარსკვლავის მიღების შანსი აქვს.*

*ტრიგვე ბორნო თითქმის ორი საათის განმავლობაში ყურადღებით ეცნობოდა სტადიონზე მიმდინარე და უკვე დასრულებულ სამუშაოებს. სტუმარმა დაწვრილებით გამოიკითხა ყველაფერი, თითოეული დეტალი და წვრილმანი. ბორნოს ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა აღნიშნა, რომ სამუშაოები ძალზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მაქსიმალურად იცავს უეფას მიერ დადგენილ წესებსა და ნორმებს.*

*ახლა წინაა ერთი მნიშვნელოვანი ეტაპიც — ბორნო და პეტრიაშვილი შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც ორი სახის იქნება. პირველი – რა უნდა გააკეთოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, 2 სექტემბერს „მიხეილ მესხზე" ევროშესარჩევი მატჩის სათანადოდ მასპინძლობა რომ შეძლოს; მეორე — რა უნდა გაკეთდეს ზოგადად საიმისოდ, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ სტადიონმა უპრობლემოდ მიიღოს ოთხი ვარსკვლავი" –* იუწყება ფედერაციის პრესსამსახური.

უეფას წარმომადგენლები ზესტაფონშიც გაემგზავრებიან, საქართველოს მოქმედი ჩემპიონის საშინაო არენასაც დაათვალიერებენ და რეკომენდაციებს მისცემენ — "ზესტაფონის" პრეზიდენტ **ილია კოკაიასაც** ოთხვარსკვლავიანი არენის მშენებლობა სურს. ასეთივე სურვილი ამოძრავებს თბილისის "დინამოს" მეპატრონე **რომან ფიფიასაც**, რომელსაც გუშინ ეროვნული სტადიონი გადაეცა და მალე მისი განახლებაც დაიწყება. ბათუმში ყოფნისას საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** თქვა, რომ ბათუმში იწყება სტადიონის მშენებლობა, რომელიც 2012 წლის ბოლოს დასრულდება.

საერთოდ, ქვეყნისა და ჩვენი ფეხბურთის პრესტიჟის საქმეა, საქართველოში მინიმუმ სამი-ოთხი მაღალი კატეგორიის სტადიონი რომ გვქონდეს. თქმულა ჩვენში, უეფას ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის ფინალური მატჩების, აგრეთვე, ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების მასპინძლობა გვსურსო, მაგრამ, ვიდრე ისეთი სტადიონები არ გვექნება, უეფას მოთხოვნებს რომ დააკმაყოფილებს, ჩვენი სურვილი ოცნებად დარჩება.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გაფიცვა

# სერია A-ს სტარტი გადადების პირას

წელი არ გავა, რომ იტალიის სერია ა-ს გათამაშების სტარტის გადადების საკითხი არ დადგეს დღის წესრიგში, ასე რომ, არ გვიკვირს, ამჯერადაც ანალოგიური ვითარება რომ შეიქმნა. იტალიელ ფეხბურთელთა პროფესიული კავშირი და „ლეგა კალჩო“ კვლავ ვერ თანხმდებიან მთელ რიგ საკითხებზე და შესაბამისად, ფეხბურთელთა დიდი ნაწილი უარს აცხადებს პირველ ტურში მონაწილეობის მიღებაზე. ვერ გეტყვით, საბოლოოდ რით დასრულდება ეს ყველაფერი, მაგრამ თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, ამჯერად ყველაფერი ბევრად უფრო სერიოზულად არის, ვიდრე წინა წლებში. სკეპტიციზმს არ იზიარებს „იუვენტუსის“ პრეზიდენტი **ანდრეა ანიელი** და შემდეგს აცხადებს:

*„ფეხბურთელთა ნაწილის პროტესტი ჩემთვის სრულიად გასაგებია, მაგრამ უმჯობესია სიმშვიდე შევინარჩუნოთ და ისე გადაწყვიტოთ მთელი რიგი პრობლემები. სიმართლე გითხრათ, პირადად მე ამ საკითხებზე ყველაზე ნაკლებად ვფიქრობ და ახალი სეზონის სტარტზე ვარ კონცენტრირებული. ასეა „იუვენტუსის“ თითოეული ფეხბურთელი, რაც ძალიან მახარებს. პირველ ტურში, ურთულესი მატჩი გველის „უდინეზესთან“ და მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ წარმატებული სტარტი ავიღოთ. ანტონიო კონტეს ვესაუბრე, ისიც მხოლოდ უშუალოდ ფეხბურთზეა კონცენტრირებული და გაფიცვის დეტალებით არც კი ინტერესდება“.*



ანიელის თქმით, „იუვენტუსის“ არც ერთი ფეხბურთელი არ აპირებს გაფიცვაში მონაწილეობის მიღებას, თუმცა ეს ისედაც ცხადი იყო. როგორც წესი, გაფიცვას საშუალო დონის გუნდების მოთამაშეები აწყობენ, რომლებიც ფინანსური პირობებით არიან უკმაყოფილონი. თუ საიდან მოდის ფინანსური პრობლემები, ესეც ყველასთვის კარგად არის ცნობილი - საუბარია ტელეტრანსლირებიდან შესული თანხების გადანაწილებაზე, რომელთა კოლოსალური ნაწილი გრანდებს ხვდებათ, ნარჩენები კი ე.წ. პატარა კლუბებს. კიდევ ერთი პრობლემა, რის გამოც დგას დღის წერსიგში სერია A-ს სტარტის გადადება, ფეხბურთელთა უფლებების შეზღუდვაა. ამ შემთხვევაში, ყველა გუნდის მოთამაშე დაახლოებით თანაბარ მდოგომარეობაშია - საუბარია იმაზე, რომ „ლეგა კალჩოს“ გადაწყვეტილებით, კლუბებს ფეხბურთელის აზრის გაუთვალისწინებლად შეუძლიათ მათი ბედის გადაწყვეტა. გარდა ამისა, კიდევ შვიდი სადავო საკითხი არსებობს, რომლებიც განხილვას და შეთანხმებას საჭიროებს.

პრაქტიკულად წარმოუდგენელია, რომ ორ დღეში ყველა ეს საკითხი დადებითაც გადაწყდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ანიელის მსგავსად, **ადრიანო გალიანიც** ოპტიმისტურად არის განწყობილი: *„სადავო საკითხებზე აუცილებლად უნდა ვიმსჯელოთ და მათ გადაჭრას ვეცადოთ, მაგრამ ეს ყველაფერი აუცილებლად სეზონის სტარტის გადადების გარეშე. იტალიურ ფეხბურთს ისედაც არ აკლია სკანდალები და გაფიცვა არაფრის დიდებით არ უნდა დავუშვათ. პირადად მე შევხვდები თითოეულ უკმაყოფილო მოთამაშეს და პირობას მივცემ, რომ სადავო საკითხებზე „ლეგა კალჩოს“ დირექტორთა საბჭო დეტალურად იმსჯელებს. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ სერია A დროულად დაიწყება“.*

ფეხბურთელთა პროფესიული კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **დამიანო ტომაზი** გახლავთ, რომელიც აქტიურად არის ამ პროცესებში ჩაბმული და კომენტარს კომენტარზე აკეთებს: *„ჩემპიონატის ჩაშლა ჩვენი მიზანი ნამდვილად არ არის, მაგრამ რადიკალური ნაბიჯების გარეშე კონფლიქტის გადაჭრის გზებს ვერ ვხედავთ. თითქმის ორი წელია ეს საკითხები სადავოა და „ლეგა კალჩოს“ მესვეურებს შეთანხმებისკენ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგავთ. სწორედ ამიტომ, პროტესტის ახალმა ტალღამ იფეთქა და ძნელი სათქმელია რით დასრულდება ეს ყველაფერი. მოთამაშეთა ნაწილი კატეგორიულად ითხოვს პირველი ტურის გადადებას და მათ დათანხმებას კონსტრუქციული ნაბიჯების გადადგმა დასჭირდება. პირადად მე თითქმის დარწმუნებული ვარ, სერია ა ამ უქმეებზე ვერ დაიწყება“.*

გალიანის და ანიელის ოპტიმიზმს არც „ლეგა კალჩოს“ დირექტირი **მაურიციო ბერეტი** იზიარებს და აცხადებს, რომ სერია ა-ს პირველი ტური სავარაუდოდ გადაიდება: *„ჩემზე უკეთ ვერავინ ფლობს ინფირმაციას და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვითარება იმაზე უფრო რთულია, ვიდრე ბევრს ჰგონია. ფეხბურთელია დიდი ნაწილია გაფიცული და მათი შემორიგების შანსი ამ ეტაპზე ძალიან მცირეა. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია, რომ იტალიის ჩემპიონატის სტარტი სავარაუდოდ გადაიდება“.*

აი ასე თავდაყირა დააყენა ყველაფერი ბერეტიმ - უფრო სწორად იმ გაუგებრობამ, რომელიც ფეხბურთელთა ასოციაციასა და „ლეგა კალჩოს“ შორის არსებობს. სერია ა-ს დაწყებამდე მხოლოდ ერთი დღეა დარჩენილი და ჯერ კიდევ გაურკვეველია, აიღებს თუ არა იტალიის ჩემპიონატი სტარტს.

● მილანური ამბები

# აკვილანი უკვე მილანელია

## გალიანი: სატრანსფერო ბაზარი აღარ გვაინტერესებს

მოსახდენი მოხდა, დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ იმის შესახებ, რომ **ალბერტო აკვილანი** „მილანის“ ფეხბურთელია. „როსონერის“ და „ლივერპულის“ მესვეურებს შორის მიმდინარე მოპლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ იტალიის ნაკრების 24 წლის ნახევამცველი „მილანში“ იჯარის წესით ითამაშებს. თუმცა, საარენდო ხელშეკრულებაში არის ერთი პუნქტი, რომლის მიხედვითაც მილანური გრანდი ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლებას იტოვებს. უფრო სწორად, თუ აკვილანიმ ამ სეზონში „შავ-წითელი“ მაისურა მინიმუმ 25-ჯერ მოირგო, ფეხბურთელი ავტომატურად გახდება „როსონერის“ სრულფასოვანი მოთამაშე, ინგლისური კლუბი კი მის სანაცვლოდ 6 მილიონ ევროს მიიღებს. ანუ, უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ აკვილანი „როსონერის“ სრულფასოვანი მოთამაშეა, რადგან 25-მატჩიან რუბიკონს დიდი ალბათობით გადალახავს. აკვილანიმ უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და პრესასთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

*„არაერთხელ ვთქვი, რომ „მილანში“ გადასვლის დიდი სურვილი მქონდა, რაც რეალობად იქცა. როდესაც ასეთი დიდი გუნდის ნაწილი ხდები, არ შეიძლება რომ ენთუზიაზმით არ აღივსო და სწორედ ეს განცდა მაქვს მეც. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს კარიერის პირველ ნაბიჯებს ვდგამდე. თუმცა, პირობას გაძლევთ, რომ ეს ჩემს თამაშზე უარყოფითად არ აისახება. პირიქით, ერთი სული მაქვს როდის მოვირგებ ახალი გუნდის მაისურს და „სან სიროს“ მოედანზე“ გავალ. ვეცდები, რომ მასიმილიანო ალეგრის თავი მოვაწონო და ძირითად შემადგენლობაში დავიმკვიდრო ადგილი. გამომდინარე იქიდან თუ რა შემადგენლობა ჰყავს „მილანს“, ეს ურთულესი ამოცანა იქნება, თუმცა ვგრძნობ, რომ ამას შევძლებ. რაც მთავარია, მწვრთნელი მენდობა და ამის შესახებ პირად საუბარში განმიცხადა“.*

ალეგრი მართლაც დიდ იმედებს ამყარებს ახალ შეგირდზე, რაც მისი სიტყვებით დასტურდება: *„ნახევარდაცვაში ისედაც არ გვაკლდა მაღალი კლასის ფეხბურთელები, მაგრამ ალბერტო აკვილანისთან ერთად, შუა ხაზი კიდევ უფრო ძლიერი იქნება. ბევრი ამბობს, რომ მისი სახით ახალი პირლო ვიყიდეთ, რასაც ვერაფრით ვერ დავეთანხმები. პირლო უფრო ტექნიკური და რბილი ფეხბურთელია, ალბერტო კი ყველა სიკეთესთან ერთად მებრძოლი ხასიათით გამოირჩევა და მოედანზე დაუღალავად დარბის. დაიმკვიდრებს თუ არა ადგილს ძირითად შემადგენლობაში? - მხოლოდ იმის თქმა შემიძლოია, რომ აკვილნი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელი იქნება“.*

ჟურნალისტები „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტს, **ადრიანო გალიანისაც** გაესაუბრნენ და მისგან შემდეგი მოისმინეს: *„აკვილანი უკვე „მილანის“ ფეხბურთელია, რაც იმას ნიშნავს, რომ სატრანსფერო ბაზარი ჩვენთვის სრულიად უინტერესო ხდება. შეიძლება გავაწბილო გულშემატკივრები, მაგრამ ტყუილს ნამდვილად ვერ ვიტყვი - ვერც კაკას დავიმატებთ და ვერც განსოს. ჩემი პირადი აზრით, გუნდი საგრძნობლად გავაძლიერეთ, რაც მწვერვალზე შენარჩუნების საშუალებას მოგვცემს. ამასთან, ჩემპიონთა ლიგაში გაცილებით უკეთ უნდა გამოვიდეთ, ვიდრე გასულ სეზონში“.*

„მილანთან“ დაკავშირებით იტალიურ სპორტულ პრესაში არაერთი სტატია იბეჭდება, რომლებიც ძირითადად გუნდის საახალსეზონო გეგმებს ეხება - ბუნებრივია, ჟურნალისტები არც ანალიზს ერიდებიან. ყველაზე საინტერესო მაინც ის გახლავთ, როგორ შეუტევს მასიმილიანო ალეგრის გუნდი, მის განკარგულებაში ხომ ერთბაშად ხუთი უმაღლესი კლასის თავდამსხმელია. მართალია, **ფილიპო ინძაგი** უკვე ასაკშია და „მილანის“ დარ გუნდში წესით მისი ხნის ფეხბურთელის იმედი არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ მეორე მხრივ, საუბარია სუპერპიპოზე, თანამედროვეობის უდავოდ ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდზე. და მაინც, როგორ შეუტევს „მილანი“? - თუ გასულ სეზონს გავიხსენებთ, აქცენტი **ზლატან იბრაჰიმოვიჩის, ალეშანდრე პატოსა** და **რობინიოსგან** შემდგარ ტრიოზე კეთდებოდა; დიდია შანსი, ვითარება არც წელს შეიცვალოს, მაგრამ მეორემ მხრივ, მოსამზადებელ შეკრებაზე ალეგრი ყველაზე მეტს **ანტონიო კასანოს** ათამაშებს. ვერ ვიტყვით, რომ კასანომ მთები გადაატრიალა და გოლს გოლზე იტანს, მაგრამ არც ურიგოდ ირჯება და რაც მთავარია, გუნდის ლიდერის როლში გვევლინება როგორც მოედანზე, ისე გასახდელში. ანუ, გამოდის, რომ კასანოს შანსებიც ძვირად ფასობს, რაც კონკურენციას უკიდურესად ამძაფრებს. კასანოს ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა ასეთმა კონკურენციამ გუნდში ვითარება დაძაბოს, თუმცა მოვლენათა ასეთ განვითარებას ანტონიო კატეგორიულად გამორიცხავს:




*„მილანურ გრანდში თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ და აქედან იმ შემთხვევაშიც კი არ წავალ, თუ სათადარიგოთა სკამზე მომიწევს ჯდომა. არა იმიტომ, რომ ამბიციები არ მაქვს, უბრალოდ, მასიმილიანო ალეგრის ბოლომდე ვენდობი და ვიცი, დაუმსახურებლად არავის განირავს. და თუ კი თადარიგში ყოფნას დავიმსახურებ, ყველაფერს ვილონებ, რომ არსებული ვითარება გამოვასწორო. რაც შეეხება თანაგუნდელებთან ურთიერთობას, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იდეალურია და ჩვენ შორის არასდროს არანაირი გაუგებრობა არ მომხდარა. შესაბამიუსად, არც არანაირი განცდა არ მაქვს იმის, რომ შეიძლება მოხდეს. ის კასანო აღარ ვარ, რომელიც უხიაგი ხასიათით გახლდათ ცნობიული. ჩემი ბოლო ინციდენტი „სამპდორიაში“ ასპარეზობისას მოხდა და იმ შემთხვევაშიც 100%-ით მართალი გახლდით“.*

ამასობაში, სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის საუბრები იმის შესახებ, რომ **ლუკა ანტონინი** დატოვებს გუნდს და კარიერას ან „ჯენოაში“, ანაც „იუვენტუსში“ გააგრძელებს. მართალია, მასიმილიანო ალეგრიმ ერთხელ უკვე გამორიცხა მოვლენათა ასეთი განვითარება, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნულ თემაზე ლაპარაკი არ წყდება. რაც მთავარია, ლაპარაკობს თავად ანტონინი და აცხადებს, რომ დიდია შანსი კარიერა სხვაგან გააგრძელოს: *„მილანური გრანდის დატოვების სურვილი არ მაქვს, მაგრამ არ არის გამორიცხული, ჩემი სურვილის საწინაალმდეგოდ მომიწიოს წასვლამ. ესეც იმიტომ, რომ თამაში მსურს და არა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა. არ იფიქროთ, ალეგრის ვსაყვედურობდე - პირიქით, მასიმილიანო შესანიშნავი სპეციალისტია და იმ ფეხბურთელებს ეყრდნობა, რომლებიც კონკრეტული მომენტისთვის საუკეთესო ფორმაში არიან. უახლოეს პერიოდში მთავარ მწვრთნელთან დალაპარაკებას ვგეგმავ და ყველაფერი ამ შეხვედრის შემდეგ გადაწყდება - შემოთავაზებები არ მაკლია და თუ წასვლის გადაწყვეტილება მივიღე, უგუნდიოდ ნამდვილად არ დავრჩები“.*

ამის თქმა იყო და „გაძეტა დელო სპორტის“ ვებგვერდზე **ენრიკო პრეციოზის** კომენტარი გამოჩნდა - „ჯენოას“ პრეზიდენტმა ანტონინი კიდევ ერთხელ მიიპატიჟა სკუთარ გუნდში და ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობის გარანტია პრესის ფურცლებიდან მისცა: *„მთავარი მწვრთნელის ფუნქციებში ნამდვილად არ ვიჭრები, მაგრამ მისი მოსაზრება ვიცი და ამიტომ, ვიტყვი, რომ ანტონინი სასტარტო შემადგენლობისთვის გვყავს შეგულებული. ბუნებრივია, ეს იმ შემთხვევაში თუ „მილანიდან“ წასვლის გადაწყვეტილებას მიიღებს და კარიერას ჩვენთან გააგრძელებს. დაცვის მარცხენა ფრთა გაძლიერებას საჭიროებს, ამასთან, ლუკას მარჯვნივაც შეუძლია თამაში“.*

ერთი სიტყვით, არის შანსი ლუკა ანტონინი „ჯენოაში“ გადაბარგდეს და **კახა კალაძის** მხარდამხარ იასპარეზოს.

გვედრი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

# უცხოური ფეხბურთი

არსენალი

## უარი მადრიდიდან

„არსენალს" „რეალიდან" 29 წლის ბრაზილიელი ვარსკვლავის, **კაკას** იჯარით გადაყვანა უნდოდა, მაგრამ მადრიდელებმა უარი შეუთვალეს. **სესკ ფაბრეგასისა** და **სამირ ნასრის** გაყიდვით გაბრაზებული ფანების დასამშვიდებლად „მეთოფეთა" თავკაც **არსენ ვენგერს** მალევე სურდა რაიმე ელონა და კაკა გაახსენდა, თუმცა აქაც მოეცარა ხელი. მსოფლიოს 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელის გაქირავებაზე „სამეფო კლუბი" უარს აცხადებს. კაკას ხელში ჩასაგდებად ერთადერთი ვარიანტი მისი ყიდვააო, თქვეს მადრიდელებმა. ცნობილია, რომ „რეალის" პორტუგალიელი მწვრთნელი **ჟოზე**




**მოურინიო** ბრაზილიელის თავიდან მოშორებას ცდილობს, ვენგერმა კი უნდა აწონ-დაწონოს, უღირს თუ არა ამ ფეხბურთელის ყიდვა.

„რეალის" ჩანაფიქრი ნათელია — „სანტიაგო ბერნაბეუზე" კაკას, ინგლისურად თუ ვიტყვით, კვირაში 153 ათას ფუნტს უხდიან, ეს კი ძალიან დიდი ხელფასია კაცისთვის, რომელსაც არ ათამაშებენ. და რა თანხა უნდათ მადრიდელებს ფეხბურთელის სანაცვლოდ? რამდენადაც ინგლისური გაზეთები ამბობენ, ისინი 17,5 მილიონ ფუნტს ანუ 20 მილიონ ევროს ითხოვენ.

რასაკვირველია, ფანების დაწყნარების თვალსაზრისით ვენგერის მხრიდან კაკას ყიდვა საინტერესო ნაბიჯი იქნებოდა, მაგრამ რამდენად სწორი საქციელი იქნებოდა ეს კომერციულად? ბრაზილიელი ხომ ის ფეხბურთელია, რომელსაც იყიდი და ძვირად ველარ გაყიდი. სხვა სიტყვებით, მისი შეძენა მატერიალური ზარალია.

კაკა გასულ სეზონში „რეალის" ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ოცჯერ გამოჩნდა. მისი შეძენა „პარი სენ ჟერმენსა" და „სან პაულუსაც" უნდათ.

**ილია ბაბუნაშვილი**

ჩელსი

# მატა ჩელსიშია, ტორესს ეშველა?




**ხუან მატა** გარანტიას იძლევა, რომ მისი თანამემამულე **ფერნანდო ტორესი** კვლავ გაიტანს გოლებს. 23 წლის ესპანელმა ნახევარმცველმა „ჩელსისთან" ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. დასავლეთლონდონელებმა მასში „ვალენსიას" 26 მილიონი ფუნტი ანუ თითქმის 30 მილიონი ევრო გადაუხადეს.

საინტერესოა, რომ მატას იმედი თავად ტორესსაც აქვს. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ „სტემფორდ ბრიჯზე" საინტერესო ესპანური წყვილი შეიკვრება. შეგახსენებთ, რომ მატამ ბრიტანულ პრესაში განაცხადა, „ჩელსიში" გადასვლის გამო „არსენალისა" და „ტოტენჰემ ჰოთსპურის" წინადადებებზე უარი ვთქვიო.

მატამ თქვა: *„აქ გადმოსვლის იდეა ფერნანდომ ჩამაწვეთა და მეც ალვფრთოვანდი. მან მითხრა, რომ „ჩელსიში" თამაში ჩემი კარიერისთვის იქნებოდა ძალიან კარგი და დასძინა, რომ ჩვენ შესანიშნავი პარტნიორობა შეგვიძლია".*

ინგლისური მასმედიაც ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მატას „სტემფორდ ბრიჯზე" გადასვლა ფერნანდო ტორესს ძალიან წაადგება. შეგახსენებთ, რომ „ელ ნინიოდ" წოდებული ტორესი „ლივერპულიდან" „ჩელსიში" იანვარში გადავიდა. მისი ყიდვა „ლურჯებს" 50 მილიონი ფუნტი დაუჯდათ, მაგრამ ოდესლაც მრისხანე თავდამსხმელს კარიერაში ცუდი პერიოდი უდგას. გასულ სეზონში, უფრო ზუსტად კი იანვრიდან მაისამდე, ტორესმა „ჩელსის" შემადგენლობაში მისი რანგის თავდამსხმელისთვის უჩვეულოდ ცოტა, მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა.

მატამ განაგრძო: *„მწვრთნელმა, ანდრე ვილაშ-ბოაშმა თქვა, რომ სურს „ჩელსი" უფრო შემტევ ფეხბურთზე გადაიყვანოს და მე ამ პროექტის ნაწილად განმიხილავს. ვილაშ-ბოაში ის ადამიანია, რომელმაც გასულ სეზონში „პორტუს" ლამის ყველაფერი მოაგებინა და მეც, როგორც ის, „ჩელსიში" ტიტულების მოსაპოვებლად გახლავართ ჩამოსული. ჩემი „ჩელსიში" თამაშის იდეა ასეთია: უნდა ვიმოქმედო ნახევარდაცვის ორივე ფრთაზე, თუ საჭირო იქნება ცენტრშიც და რგოლებს შორისაც. ასეთ დროს არც გამოკვეთილი ნახევარმცველი ვიქნები და არც გამოკვეთილი ფორვარდი. ძალიან მიყვარს, როდესაც ბურთი ფეხში მაქვს და თავად ვთამაშობ. ბუნებით შემტევი ფეხბურთელი გახლავართ. მეხერხება საგოლე პასების ჩაწოდება, თუმცა თავადაც გამაქვს გოლები.*

*მინდა ახალ ლიგას, თანაგუნდელებს და გარემოს რაც შეიძლება მალე შევეგუო. ვოცნებობ პირველსავე სეზონში რაიმე ჯილდოს მოპოვებაზე. თუ ეს პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული იქნება, ამას რა აჯობებს.*

*ლონდონში ფეხი დავადგი თუ არა ვიგრძენი, რომ კეთილგანწყობილ გარემოში მოვხვდი. ძალიან მომეწონა ვარჯიშიცა და ფეხბურთელების ამ ვარჯიშისადმი დამოკიდებულებაც. „ვალენსია" დიდი კლუბია, მაგრამ მე უფრო დიდ კლუბში გადმოვედი და მინდა ჯილდოების მოგების შესაძლებლობა ხელიდან არ გავუშვა".*

მატამ აღიარა, რომ „მესტალიასთან" განშორება გაუჭირდა, მაგრამ მის კარიერაში უკვე სხვაგან გადასვლის დრო დამდგარიყო. ბოლოს და ბოლოს, მისი მეშვეობით „ვალენსიამ" გვარიანი ფული იშოვა - „ღამურებმა" 2007 წელს მატა „რეალისგან" ფაქტობრივად კაპიკებად გადაიბირეს და, ოთხი წლის შემდეგ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 30 მილიონ ევროდ გაყიდეს. შესაბამისად, მატა ესპანურ გუნდთან პირნათელია.

*„ჩემს ცხოვრებაში ახალი თავგადასავალი იწყება. ახლა პიროვნულად და პროფესიულად განვითარების ახალი ეტაპი მეწყება. ერთი სიტყვით, ძალიან ლოგიკური გადაწყვეტილება მივიღე. როდესაც „ჩელსისგან" წინადადება მივიღე, „ვალენსიას" პრეზიდენტ მანუელ ლორენტეს შევხვდი და ვკითხე, ჩემი გაყიდვა კლუბისთვის ეკონომიკური თვალსაზრისით რამდენად მომგებიანი იქნებოდა. მე „მესტალიაზე", ფაქტობრივად, ცენტის დაუხარჯავად გადამიყვანეს, გაყიდვით კი მილიონებად გამყიდეს. მინდა დიდი მადლობა შევუთვალო კლუბს, რომელმაც 19 წლისა ამიყვანა და მათამაშა".*

**ილია ბაბუნაშვილი**

მანჩესტერ იუნაიტედი

# რიოს და ნემანიას სკამი ემუქრება

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** თავის ვეტერან მცველებს, დიდ ვარსკვლავებად აღიარებულ **რიო ფერდინანდსა და ნემანია ვიდიჩს** გამოუცხადა, რომ ძირითად შემადგენლობაში დასაბრუნებლად გვარიანი ბრძოლა მოუწევთ. შეგახსენებთ, რომ როგორც 32 წლის ფერდინანდი, ასევე 29 წლის ვიდიჩი ამჟამად დაშავებულები არიან, თუმცა ფერდინანდი კვირისთვის უკვე ჯანმრთელად იქნებაო, ამბობენ ინგლისის ჩემპიონთა ექიმები. კვირას „მანჩესტერ იუნაიტედი" „არსენალს" მასპინძლობს. რაც შეეხება ვიდიჩს, მას გამოჯანმრთელებამდე სამი კვირა აკლია.

ორი გამოცდილი ვარსკვლავის არყოფნაში „იუნაიტედის" დაცვაში ახალგაზრდა ფეხბურთელებმა, 19 წლის **ფილ ჯონსმა**, 23 წლის **ჯონი ევანსმა** და 21 წლის **კრის სმოლინგმა** იყოჩაღეს. მათ, პრემიერლიგის ერთ-ერთ წამყვან გუნდად მიჩნეულ „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" შეხვედრაში გამოიჩინეს თავი — მანჩესტერელებმა ჩრდილოლონდონელებს 3:0 მოუგეს. გუშინაც მოგახსენებდით, რომ იმ დღეს ფერგიუსონმა მოედანზე გაიყვანა შემადგენლობა, რომელიც, ინგლისელი სტატისტიკოსების ცნობით, ამ დიდი მწვრთნელის მიერ „ოლდ ტრეფორდზე" გატარებულ 23 წელიწადსა და 191 დღეში ახალგაზრდობის მიხედვით მეორე იყო. ამ დღის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ფერდინანდსა და ვიდიჩს ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებისთვის გვარიანი ოფლის დენა მოწუევთ.



ფერგიუსონმა თქვა: *„რიომ და ნემანიამ კარგად იციან ამ ყმაწვილების მონაცემებისა და ნიჭის ამბავი. მათი უნარები ეჭვს არ იწვევს. როდესაც ისინი ან ერთ-ერთი მათგანი გამოჯანმრთელდება, მე დაფიქრება მომიხდება, დავაბრუნო ასე პირდაპირ ძირითად შემადგენლობაში თუ კვლავ რომელიმე ახალგაზრდა ვათამაშო".*

მანჩესტერელმა ყმაწვილებმა, რასაკვირველია, ინგლისის ნაკრები გუნდების მწვრთნელთა ბლოკნოტებშიც განსაკუთრებულ გვერდებზე გადაინაცვლეს. ასე მაგალითად, კრის სმოლინგს დიდი ნაკრების თავკაცი, **ფაბიო კაპელო** ოქტომბერში დანიშნულ შესარჩევ შეხვედრებში უპირებს გამოძახებას, ჯონსი კი **სტიუარტ პირსის** 21-წლამდელთა გუნდის წევრია.

სმოლინგმა თქვა: *„მე ინგლისის ნაკრებში გამოძახებას პრემიად აღვიქვამ, ჯერჯერობით კი „მანჩესტერ იუნაიტედში" დამკვიდრებას ვცდილობ. თუ „იუნაიტედის" ძირითადი შემადგენლობის მუდმივი წევრი გავხდები, ნაკრების კარი ჩემთვის უფრო იოლად გაიხსნება".*

**ილია ბაბუნაშვილი**

კვირის ფრაზები და ფაქტები




დანიელე დე როსი

## სად რომა და სად სიტი

„რომას" თავკაცი **ლუის ენრიკე** დაჟინებით აცხადებს, რომ მისი გუნდის ნახევარმცველი, უმნიშვნელოვანესი ფიგურა **დანიელე დე როსი** არ გადავა „მანჩესტერ სიტიში" — იუწყება გაზეთი „სანი". თავის მხრივ, ისტლენდელთა მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** 28 წლის ფეხბურთელს მისი კლუბისთვის „აბსოლუტურად ბრწყინვალე ვარიანტი" უწოდა. ლუის ენრიკე ამბობს: *„დანიელეს კონტრაქტი შემდეგ ზაფხულს ეწურება, ასე რომ, ჩვენ იმაზე უნდა შევთანხმდეთ, რომ იგი კლუბს არ შეიცვლის — ჩვენც ძალიან გვინდა მისი დატოვება. მას რომი მანჩესტერზე მეტად უყვარს".*

## მოდრიჩი და მატა ჩელსისთვის მეტისმეტია

„ტოტენჰემ ჰოთსპურის" მთავარი მწვრთნელი **ჰარი რედნაპი** იმედოვნებს, რომ „ჩელსის" ხელმძღვანელობას **ხუან მატას** ყიდვის შემდეგ, სულ მთლად დაავიწყდებათ ჰარის ჯილა **ლუკა მოდრიჩი**. რედნაპმა განაცხადა: *„რა ბრძანეთ? „ჩელსიმ" მატა დაიმატა?! არ ვიცოდი, არ ვიცოდი. ახლა კი დიდი იმედი მაქვს, რომ ლუკა მოდრიჩის ტრანსფერს დაივიწყებენ — შეხედეთ, მატა და მოდრიჩი, უკვე მეტისმეტია".*

## ტრანსფერი ტორესის დამსახურებაა

„ჩელსის" ახალწვეულმა **ხუან მატამ** იმის შესახებ ისაუბრა, თუ ვინ ურჩია მას „არისტოკრატებში" გადასვლა. ყველაფერი მარტივია — ესპანელს თანამემამულე **ფერნანდო ტორესმა** გაუწია რეკომენდაცია. მატამ ალალად განაცხადა: *„როდესაც „ჩელსიდან" წინადადება მივიღე, ტორესმა დამირეკა და მითხრა, რომ მათ გუნდში გადასვლა ჩემთვის უდიდესი ნაბიჯი იქნებოდა და აი, მეც აქ ვარ".* 23 წლის ფეხბურთელი არც კი ფიქრობდა „ვალენსიას" დატოვებას, მაგრამ 30 მილიონი ევრო ის თანხა იყო, რომლითაც კლუბმა მის დატოვებაზე უარი თქვა.

## კვირის მოვლენა

ცნობილი კამერუნელი ვარსკვლავი, ერთ დროს „რეალში", „ბარსელონასა" და ბოლოს მილანის „ინტერში" მოთამაშე **სამუელ ეტო'ო** ორი დღის წინ 28 მილიონ ევროდ... მახაჩყალის „ანჟიში" გადავიდა. აფრიკელმა სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა, სამწლიანი კონტრაქტიც გააფორმა და იგი 99-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს. პრინციპში, ეტო'ოს არც სახელი აკლია და არც ტიტულები და სწორედ ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ძალების მოსინჯვა ოდნავ სუსტ ლიგაში მოინდომა, სადაც მას გაცილებით მეტს გადაუხდიან.

**გიორგი ფულარიანი**

ტრანსფერის გარშემო




# ნასრი ვიეირამ წაახალისა

„არსენალიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ ამ დღეებში გადასულმა 24 წლის ფრანგმა ვარსკვლავმა **სამირ ნასრიმ** ჟურნალისტებს უამბო, როგორ აქეზებდა „მეთოფეთა“ ლეგენდა, მისი თანამემამულე **პატრიკ ვიეირა** ისტლენდზე გაქცევისაკენ. თურმე სწორედ ვიეირა ეუბნებოდა ნახევარმცველს, გუნდი, რომელიც ახლა ალმავლობას იწყებს, „მანჩესტერ სიტია“, „არსენალი“ კი კრიზისში შედის და ჯობს გაერიდო, კარიერა გადაირჩინოო. ნასრიმაც დაუჯერა და **არსენ ვენგერის** სამყაროდან **რობერტო მანჩინის** ამბიციურ და მდიდარ ფეხბურთელთა ჯგუფში მოყო თავი. ნასრიმ თქვა:

*„უდიდესი როლი პატრიკ ვიეირამ ითამაშა. ის ლეგენდაა და საფრანგეთში ყველა განსაკუთრებულ პატივს სცემს. როდესაც მისი კალიბრის ფეხბურთელი, რომელსაც „არსენალში“, „ინტერსა“ და „იუვენტუსში“ უთამაშია, გეუბნება, რომ დღეს მომავლის გუნდი, რომელსაც ყველაფრის მოგება უნდა, „მანჩესტერ სიტია“, უნდა დაუჯერო“.*

ნასრიზე ჩრდილოლონდონელთა კიდევ ორი ფეხბურთელის, **კოლო ტურესა** და **გაელ კლიშის** გადაწყვეტილებამაც იმოქმედა — მოგეხსენებათ, ორივე „მეთოფე“ იყო, მაგრამ მანჩესტერის ლურჯ ნახევარში გადაბარგდა. ზემოხსენებულმა ვიეირამაც კარიერა გასულ სეზონში სწორედ „მანჩესტერ სიტიში“ დაასრულა, თუმცა ისევ ისტლენდზეა და გუნდში რაღაც თანამდებობაზე მუშაობს. ნასრიმ დასძინა:

*„ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია რას გირჩევენ ის ფეხბურთელები, რომლებმაც უკვე დააჭაშნიკეს გუნდი, რომელშიც შენ აპირებ გადასვლას. კლიშიმ და ტურემ ორივე კლუბი კარგად იციან და „არსენალსა“ და „მანჩესტერ სიტის“ შორის განსხვავების თქმაც შეუძლიათ. ჩემზე მათმა მონაყოლმაც ძალიან იმოქმედა“.*

ვენგერი ვიეირას მადლობას ნამდვილად არ ეტყვის. მან ნასრი „სიტიში“ მაშინ გადაიტყუა, როდესაც ფრანგ პედაგოგს გუნდი საშინელი დაღმავლობისა და უილბლობის გზაზე ჰყავდა და თან **სესკ ფაბრეგასი** გაექცა „ბარსელონაში“. მაგრამ, თუკი „მეთოფეებისგან“ საუკეთესონი გარბიან, „სიტიში“ პირიქით, მჯობნის მჯობნი იკრიბებიან: ნასრის მისვლამდე ცოტა ხნით ადრე „ეტიჰედ სთედიუმზე“ მადრიდის „ატლეტიკოდან“ **სერხიო აგუერო** გადავიდა.

*„როდესაც ფეხბურთელი ახალ გუნდში მიდის, საუკეთესოების მხარდამხარ უნდა თამაში. „მანჩესტერ სიტიში“ სწორედ, დიდი ფეხბურთელები თამაშობენ. აგუერომ სადებიუტო შეხვედრაში გოლები გაიტანა და საგოლე პასი გადააწოდა. ასეთ ფეხბურთელებს უდიდეს პატივს ვცემ. მეც ასე მიყვარს თამაში: სწრაფად და ტექნიკურად.*

*ასეთ თანაგუნდელებთან ერთად, რასაკვირველია, ნებისმიერ სიმაღლეს შეეჭიდები. იაია, ჯეკო, კარლოს ტევესი... ოღონდ თუ დარჩება გუნდში. ძალიან მიხარია მათი გუნდის წევრი რომ გავხდი და ერთი სული მაქვს, როდის ვითამაშებ მათთან ერთად“* - თქვა ნასრიმ.

კიდევ, ნასრი ამბობს, რომ მის სამშობლოში, საფრანგეთში, „სიტის“ ათი წლის წინანდელ „რეალს“ ადარებენ:

*„ჩვენთან „სიტის“ გალაქტიკოს უძახიან. ამ გუნდის შემყურე ხალხს ის „რეალი“ ახსენდება, რომელშიც ზინედინ ზიდანი თამაშობდა“.*

გამთამაშებელს გული წყდება, რომ ისტლენდელებს ზაფხულშივე ვერ შეუერთდა. არადა, მან მაშინვე ზუსტად იცოდა, რომ „არსენალიდან“ წასვლა უნდოდა და ამის შესახებ არსენ ვენგერს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უთხრა.

*„გული მწყდება, რადგან მწვრთნელს მაშინვე ვუთხარი, რომ წასვლა მინდოდა. მინდოდა სეზონისწინა პერიოდი ახალ თანაგუნდელებთან ერთად გამეტარებინა და შევგუებოდი მათ. ასეა თუ ისე, საბოლოოდ ყველაფერი მაინც ისე დამთავრდა, როგორც მე მინდოდა და დღეს ჩემთვის დიდი დღეა. კარიერას თითქოსდა ახლიდან ვიწყებ“.*

ნასრისთან კონტრაქტის გაფორმებით ძალიან კმაყოფილი გახლდათ რობერტო მანჩინიც. იტალიელმა თქვა:

*„ის შესანიშნავი ფეხბურთელია, ტექნიკური და მებრძოლის მენტალიტეტით დაჯილდოვებული. მე მის თამაშს კარგა ხანია ვიცნობ. ნასრი პირველად „არსენალში“ როდი ვნახე, „ინტერის“ მწვრთნელი რომ ვიყავი და ის „მარსელში“ გამოდიოდა, მაშინ მინდოდა მისი „სან სიროზე“ გადაყვანა. რასაკვირველია, პრემიერლიგამ ნასრი სულ სხვა დონეზე აიყვანა და დღეს ის უმაღლესი დონის ფეხბურთელია“.*

სამირ ნასრიმ „მანჩესტერ სიტისთან“ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ისტლენდზე მას კვირაში 175 ათას ფუნტს გადაუხდიან ანუ სამჯერ მეტს ვიდრე „მეთოფეები“ უხდიდნენ. ფრანგს მანჩესტერელი ქომაგი „ეტიჰედ სთედიუმის“ გარეთ დახვდა, დიდი ოვაციით შეეგება და მასთან სურათებიც გადაიღო. „სიტის“ პატრონებს ამ ზაფხულში მისი, აგუეროს, კლიშისა და **სტეფან სავიჩის** ყიდვა ჯამში 75 მილიონი ფუნტი დაუჯდათ.

24 წლის შემტევი ნახევარმცველი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ფრთაზე გადასვლა და ჰავბეკობაც შეუძლია, მანჩინის გუნდის შემოქმედებით ნაწილს სრულად კრავს — ახალ სეზონში „სიტი“ იბრძვის პრემიერლიგის ჩემპიონობისთვის, პირველად მონაწილეობს ჩემპიონთა ლიგაში და შეეცდება შარშან მოპოვებულ ფეხბურთის ასოციაციის თასს რომელიმე შინაური თასი კიდევ დაამატოს. შეგახსენებთ, რომ ამ ჯილდოს მოგებამდე „მანჩესტერ სიტის“ 35 წლის განმავლობაში არაფერი მოეპოვებინა. აღსანიშნავია, რომ ინგლისში არც სამირ ნასრის მოუგია რაიმე ჯილდო. ის „მეთოფეებს“ 2008 წელს შეუერთდა, როდესაც ისინი უკვე ველარაფერს იგებდნენ.

ტოტენჰემ ჰოტსპური

# ისევ მოდრიჩის შესახებ

„ტოტენჰემ ჰოტსპურის“ მეპატრონე **დენიელ ლივი** თავისი 25 წლის გამთამაშებლის, ხორვატი **ლუკა მოდრიჩის** შენარჩუნებისთვის ბრძოლაში უკან დახევას არ აპირებს. მან „ჩელსის“ ოფისშიც კი დარეკა და კოლეგებს უთხრა, მის ფეხბურთელებს თავი დაანებონ, რადგან ის არ იყიდება. შემდეგი ნაბიჯი თავად მოდრიჩთან ლაპარაკი იქნება.

„ტოტენჰემის“ კლუბში მომუშავე წყარომ „სანს“ ასე უამბო:

*„ლუკამ ორშაბათს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და ევროლიგაში „ჰარტსთან“ თამაშზეც უარი თქვა. ის „სფურზის“ საქმეებს უბრალოდ გულს ვერ უდებს, რადგან გონებაში სულ ის უტრიალებს, რომ მას რეალური შანსი აქვს იყოს არა „უაით ჰართ ლეინზე“, არამედ „სტემფორდ ბრიჯზე“, სადაც გაცილებით მეტ ხელფასს მიიღებს და ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. ამიტომაც გადაწყვიტა ჩვენმა თავმჯდომარემ, რომ დროა საქმეს სერიოზულად მოკიდოს ხელი და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინოს.*

*უპირველეს ყოვლისა, დენიელ ლივიმ „ჩელსიში“ დარეკა და სთხოვა, მოდრიჩის ყიდვაზე ფიქრს თავი დაანებონ, ახლა კი თავად ფეხბურთელთან აპირებს დალაპარაკებას. მთელი ზაფხულის განმავლობაში ლივი ამბობდა, რომ ლუკას არანაირ ფასად არ გაყიდიდა და როგორც ხედავთ, პოზიცია ერთი წუთით არ შეუცვლია“.*



ოდნავ ეჭვნარევია „დეზების“ მწვრთნელის, **ჰარი რედნაპის** დამოკიდებულება. ის ამბობს:

*„მე ლუკა გუშინ დილითაც ვნახე. ის აშკარად რთულ დღეშია. ჩემი თანაშემწე, ჯოი ჯორდანიც იმავეს ფიქრობს: ძნელია, როდესაც გუნდში გყავს კაცი, რომელიც ზის და ფიქრობს, ბედი რომ ჰქონოდა, ახლა ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში უნდა ეთამაშა ან კვირაში 100 ათასი ფუნტი უნდა აეღო. იქნებ მართლა ლუკას გაყიდვა და შემოსული ფულით სამი-ოთხი კარგი მოთამაშის ყიდვა სჯობდეს“.*

ქუინზ პარკი

# ცუდი ბიჭი ლონდონშია



„ქუინზ პარკ რეინჯერსის“ მცდელობები ინგლისური ფეხბურთის ცუდი ბიჭი, „ნიუკასლის“ ნახევარმცველი, 28 წლის **ჯოი ბარტონი** „ლოფტუს როუდზე“ გადაეყვანა, წარმატებით დასრულდა — „ცხელთავიანმა ხულიგანმა“ დასავლეთლონდონური კლუბის ექიმებთან სამედიცინო შემოწმება გაიარა. რამდენს უხდის „რეინჯერი“ „კაჭკაჭებს“? არაფერს! გეხსომებათ, რომ ივლისში ბარტონმა „ნიუკასლის“ ხელმძღვანელები „ტვიტერში“ გააკრიტიკა, რამაც ისინი გააბრაზა და გარდა იმისა, რომ ნახევარმცველს ორი კვირის ხელფასი დაუქვითეს, გამოუცხადეს, რომ შეუძლია კაპიკის გარეშე გადავიდეს ნებისმიერ კლუბში — სხვა სიტყვებით, ოღონდ შენ წადი და არაფერი გვინდაო.

ბარტონმა ლონდონში ჩასვლისა და „ქუინზ პარკთან“ ურთიერთობის“ შესახებ საზოგადოებას კვლავ „ტვიტერის“ საშუალებით ამცნო: *„ლონდონში სამედიცინო შემოწმებაზე ჩავედი, „ნიუკასლ იუნაიტედს“ კი ამის მიუხედავად ახალი კონტრაქტი არ შემოუთავაზებია. ადრეც ბევრჯერ ვთქვი და ახლაც იმავეს ვიმეორებ — „ნიუკასლიდან“ წასვლა არ მინდა, მაგრამ როგორც ხედავთ, კლუბი სხვა გზას არ მიტოვებს“.*

შეგახსენებთ, რომ „რეინჯერსმა“ პრემიერლიგის ჩემპიონატი მეტისმეტად კონტრასტულად დაიწყო. ჯერ იყო და, პირველ ტურში შინ „ბოლტონთან“ 4:0 წააგო, შემდეგ კი, მეორეში, ლივერპულში „ევერტონს“ 2:0 აჯობა. დაგვეთანხმებით, ასეთი შედეგებით ცოტა ძნელია დაადგინო, როგორი გუნდი ჰყავთ დასავლეთლონდონელებს, მაგრამ შუა კვირაში, „ქარლინგის“ თასზე, „რეინჯერსმა“ შინ „პირველი ლიგის“ „როჩდეილთან“ 0:2 წააგო და გამოჩნდა, რომ გუნდს დასაკვეხნი ბევრი არაფერი აქვს. შესაბამისად, „ლოფტუს როუდზე“ მაღალი დონის ფეხბურთელების მიყვანა ნამდვილად არ იქნებოდა ზედმეტი.

„ქუინზ პარკ რეინჯერსს“ ახალი მეპატრონე, **ტონი ფერნანდესი** ჰყავს, რომელიც მწვრთნელ **ნილ უორნიკს** სამ ახალ ფეხბურთელს დაჰპირდა. მოგეხსენებათ, სატრანსფერო ბაზარი მომდევნო კვირაში დაიხურება. ამბობენ, რომ დარჩენილ დღეებში „რეინჯერსი“ შეეცდება „მანჩესტერ სიტისგან“ 24 წლის **ნედამ ონუოჰა**, ხოლო „ასტონ ვილასგან“ **ლუკ იანგი** იყიდოს. თუ „ვესტ ჰემის“ ნახევარმცველის, 30 წლის **სკოტ პარკერის** გადაბირებასაც მოასწრებს, ფერნანდესის ბედს ხომ საერთოდ, ძაღლი არ დაჰყეფს.

მოსაზრება

# ჰოჯსონი საშობაო არდადეგებს ითხოვს

„ვესტ ბრომვიჩის“ თავკაცი **როი ჰოჯსონი** ამბობს, რომ გაცილებით აჯობებს, თუკი პრემიერლიგა ზაფხულის არდადეგებს შეამცირებს და მის ხარჯზე საშობაო შესვენებას შემოიღებს. მოგეხსენებათ, ჰოჯსონი 1990-იან წლებში მილანის „ინტერს“ ედგა სათავეში და საახალწლო არდადეგების ყადრი კარგად იცის.

*„ზამთარში დასვენება აუცილებელია* — ამბობს „ლივერპულის“ ყოფილი თავკაცი — *ინგლისური სეზონი აგვისტოს შუაში იწყება და როდესაც იანვარი დგება, კლუბში ყველა თანამშრომელი გრძნობს, რომ გადაღლილია. არადა, ზაფხულში ძალიან დიდხანს ვისვენებთ. სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ორთვიანი საზაფხულო არდადეგების მოწყობა კარგი აზრია. ძალები ზამთარსა და ზაფხულში უკეთ უნდა გადავანაწილოთ. ეს გაცილებით სწორი დამოკიდებულება იქნება. არ გეგონოთ, რომ მე ერთადერთი ვარ, ვინც ამას ამბობს. უამრავი კოლეგისგან მსმენია იგივე. იტალიაში მუშაობისას დავრწმუნდი, რომ ზამთარში ორ-სამკვირიანი დასვენება ძალების აღდგენის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**


როი ჰოჯსონი

მალაგა · პრიმერადივიზიონი. კლუბების წარდგენა



# ნაპოლეონური გეგმები

## შეიხის პროტექტორატი

გასულ სეზონში **მანუელ პელეგრინის** გუნდმა მე-11 ადგილი დაიკავა. ეს, შესაძლოა, სხვა დროს ნორმალური შედეგი იყოს, მაგრამ არა ახალი სეზონიდან - ამ კლუბს უკვე სულ სხვა გეგმები და მიზნები აქვს.

მზიური მალაგა, ათობით მაღალი დონის პლაჟით, მხოლოდ ტურისტული მექა არ არის, ეს ქალაქი კარგი სატყუარაა უცხოელი ინვესტორებისთვის. და აი, ყატარის ყველაზე მდიდარმა ადამიანმა **აბდულა ბენ ნასერ ალ-ტანიმ** ზუსტად ერთი წლის წინათ შეიძინა საფეხბურთო კლუბი „მალაგა". შეიხმა ფინანსურ კრიზისში მყოფი კლუბის ყველა ვალი გაისტუმრა და კლუბში დაახლოებით იმდენი გადაიხადა, რაც ახლახან „ანჟიმ" **სამოელ ეტოოში**. პირველი სეზონი დალაგებას დასჭირდა, ახალმა მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ წარმატებით გადაწყვიტა ლიგაში დარჩენის საკითხი, უკვე გამოჩნდა რამდენიმე ვარსკვლავი. მთავარი „მალაგას" ამ სეზონში ელის, რადგან შეიხმა ქისას თავი მოხადა - და ანდალუსიისკენ დაიძრნენ მაღალი დონის შემსრულებლები, ისეთი, როგორიც ფრანგი **ჟერემი ტულალანია**, ან ნავარელი **ნაჩო მონრეალი**, არგენტინელი **დიეგო ბუონანოტე**, თუ ვალენსიელი **ხოაკინ სანჩესი, სანტი კასორლა**, გამოცდილი **რუუდ ვან ნისტელროი** და სხვები.

ერთი ხელის დაკვრით, კლუბი აუტსაიდერთა კლასიდან ფავორიტებში გადაბარგდა. ანდალუსიელებს განსაკუთრებით ჰოლანდიელი ვან ნისტელროის ეიმედებათ, ვეტერანში ალ-ტანის ევროც კი არ დაუხარჯავს, უბრალოდ, მას კარგი ხელფასი შესთავაზა. ესპანეთში კი ვან ნისტელროი ძალიან უყვართ, ფორვარდიც ჯერჯერობით ამართლებს - წინასასეზონო მატჩებში მან 7 გოლი გაიტანა, ყველაზე მეტი გუნდში.

სანტი კასორლას გადმოსვლამ კლუბს პრესტიჟი დაუბრუნა, ნახევარმცველი ხომ ესპანეთის ნაკრების წევრია. ბოლოს „მალაგაში" ესპანეთის ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელი 2004 წელს თამაშობდა.

**ციტატები**

**რუუდ ვან ნისტელროი**: *„ჩვენ ძალზე სერიოზულად მოვემზადეთ. შემიძლია თამამად ვთქვა - საჩემპიონატო ბატალიებისთვის სრულ მზადყოფნაში ვართ".*

**სანტი კასორლა**: *„დიდებული შემადგენლობა გვყავს. ახლა მშვიდად და ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა წავიწიოთ წინ".*

**მანუელ პელეგრინი**: *„არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახელები მატჩს არ იგებენ".*

### სეზონის ამოცანა: ევროთასების საგზურისთვის ბრძოლა

ჩილელი სპეციალისტი ოპტიმისტურად არის განწყობილი, გუნდი თამაშს ხვეწს. „კოსტა დელ სოლის" თასის ფინალში „მალაგამ" „პენიაროლს" მოუგო და გამოჩნდა, რომ გუნდი მართლაც ბრწყინვალედ არის მომზადებული ჩემპიონატისთვის. შეიხს არ მოსწონს, რომ „ლა როსალედა" ცოტა მაყურებელს იტევს. ის დარწმუნებულია, რომ სულ მალე უფრო დიდი სტადიონი იქნება საჭირო, რომლის მშენებლობაც მალე დაიწყება.

**ტრანსფერები**

**მივიდნენ**: რუუდ ვან ნისტელროი („ჰამბურგი", თავ. აგენტი), **ნაჩო მონრეალი** („ოსასუნა", 6 მლნ. ევრო), **ისკო** („ვალენსია ბ", 6 მლნ.), **დიეგო ბუონანოტე** („რივერ პლეიტი", 4,5 მლნ.), **ხოაკინ სანჩესი** („ვალენსია", 4,2 მლნ.), **სერხიო სანჩესი** („სევილია", 2,8 მლნ.), **იორის მატეისენი** („ჰამბურგი", 2,5 მლნ.), **სანტი კასორლა** („ვილიარეალი", 21 მლნ.), **ჟერემი ტულალანი** („ლიონი", 11 მლნ.), **ედინიო** („მარიტიმუ").

**წავიდნენ**: მანუ, გასპარი, ტორიბიო, ედუ რამოსი, პაბლო, არნაუ, მტილიგა, ფერნანდო, ხ. ლოპესი, სანდრო სილვა, ასენხო, ოვუსუ-აბეიე.

**ლისტი**

**მალაგა კლუბ დე ფუტბოლ**
**დაარსდა**: 1948 წ.
**სტადიონი**: ლა როსალედა, 28 960
**პრეზიდენტი**: აბდულა ალ-ტანი
**მწვრთნელი**: მანუელ პელეგრინი
**კლუბის წევრი**: 20 400
20 სეზონი პრიმერაში
ინტერტოტოს თასი (2002)
**მეტსახელი**: ლოს ბოკერონესი
**გასულ სეზონში**: მე-11 ადგილი
**ოფიციალური საიტი**: hppt://www.malagacf.com/

**ყველაზე მეტი თამაში 2010/11**: ელიზეუ (35), ველიგტონი (31), ს. ფერნანდესი (30), გამესი (30), რონდონი (30).

**ყველაზე მეტი გოლი 2010/11**: რონდონი (14), ბაპტიშტა (9), ს. ფერნანდესი (7), ხუანმი (4), ელიზეუ (4).

**გუნდი 2011/12**

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. რუბენი | 22.06.1984 |
| 13. ვილი კაბალიერო (არგენ.) | 28.09.1981 |
| **მცველები** | |
| 2. ხესუს გამესი | 10.04.1985 |
| 3. რონსონ ველიგტონი (ბრაზ.) | 26.08.1979 |
| 4. კრის სტადსგაარდი (ნორვ.) | 01.08.1985 |
| 5. მარტინ დემიქელისი (არგ.) | 20.12.1980 |
| 14. იორის მატეისენი (ჰოლან.) | 05.04.1980 |
| 15. ნაჩო მონრეალი | 26.02.1986 |
| 21. სერხიო სანჩესი | 03.04.1986 |
| ელდერ როსარიო (პორტუგ.) | 09.03.1980 |
| ხავიერ მალაგუენო (არგენ.) | 27.10.1982 |
| **ნახევარმცველები** | |
| 6. ნაჩო კამაჩო | 04.05.1990 |
| 7. ხოაკინ სანჩესი | 21.07.1981 |
| 8. ჟერემი ტულალანი (საფრ.) | 10.09.1983 |
| 10. ანტონიო ბენიტეს ამონიო | 13.02.1984 |
| 12. სანტი კასორლა | 13.12.1984 |
| 16. ენცო მარესკა (იტალია) | 10.02.1980 |
| 17. სერჟიო პაულუ ბარბოზა დუდა (პორტუგალია) | 27.06.1980 |
| 18. ელიზეუ პერეირა (პორტ.) | 01.10.1983 |
| 22. ფრანსისკო სუარესი | 21.04.1992 |
| 27. ფრანსისკო პორტილიო | 13.06.1990 |
| 28. ხოსე ლუის რესიო | 11.01.1991 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლ.) | 01.07.1976 |
| 11. სებასტიან ფერნანდესი (ურუ.) | 23.05.1985 |
| 19. ჟულიო ბაპტიშტა (ბრაზილია) | 01.10.1981 |
| 20. დიეგო ბუონანოტე (არგ.) | 19.04.1988 |
| 23. ხოსე სალომონ რონდონი (ვენ.) | 28.04.1989 |
| 26. ხუანმი ლოპესი | 20.05.1993 |
| არნალდო ედინიო (პორტუგ.ა) | 07.07.1982 |

ოსასუნა (პამპლონა)

# რეინო დე ნავარა მტკიცედ დგას

## საშიში და გამოუცნობი, როგორც ენსიერო

გასული სეზონის ბოლო ტურში „ოსასუნამ" მოუგო „ვილიარეალს" და დარჩა ელიტაში (თანაც მე-9 ადგილი დაიკავა!). თუმცა პამპლონური კლუბი ძნელბედობას შეგუებულიც კია, ნავარელები პირველად არ იბრძოდნენ მზის ქვეშ ადგილის შენარჩუნებისთვის.

საქვეყნოდ ცნობილი პამპლონური ენსიერო (ხარების გარბენა) უკვე იყო, ახლა „ოსასუნას" მოელის თავისი „ენსიერო" - ესპანეთის ჩემპიონატი იწყება. ხართა გარბენას ქალაქის ქუჩებში და „ოსასუნას" თამაშს პრიმერაში, აქვს რაღაც საერთო - არასოდეს იცი, რა მოხდება უახლოეს მომავალში, რით დასრულდება ყველაფერი.

მაგრამ შარშან „ოსასუნამ" თავისსავე არასტაბილურობას აჯობა - პირველ წრეში, როცა გუნდს **კამაჩო** წვრთნიდა (ახლა ის ჩინეთის ნაკრების თავკაცია) ნავარელებს სტუმრად ერთი მატჩიც არ ჰქონდათ მოგებული. კლუბში **ხოსე ლუის მენდილიბარის** მისვლით, ფეხბურთელები, თითქოს, გამოცოცხლდნენ - მის ხელში „ოსასუნამ" 15 თამაშში 25 ქულა მოაგროვა (კამაჩომ 23 მატჩში 22 ქულას მოუყარა თავი). მენდილიბარმა შანსი მისცა **კიკე სოლას**, ფეხბურთელს, რომელსაც ორი წელი თვალით არ ენახა პრიმერა და მანაც გაამართლა - 7 გოლი გაიტანა.

ნავარელებს ერთ-ერთი ყველაზე მცირე ბიუჯეტი აქვთ პრიმერაში, თუმცა მიუხედავად ამისა, ერთი-ორი კარგი ფეხბურთელი მაინც შეიძინეს (მაგრამ ძირითადის რამდენიმე წამყვანი მოთამაშეც დაკარგეს). გულშემატკივრები ოპტიმისტურად არიან განწყობილი - ყოველ შემთხვევაში, შინიდან ქულების განიავებას არ აპირებენ, „ოსასუნა" ყოველთვის ძლიერია მშობლიურ სტადიონზე.

ახალწვეულთაგან აღვნიშნავთ „ატლეტიკოს" ნახევარმცველ **რაულ გარსიას**, რომელიც ადრე უკვე თამაშობდა „ოსასუნაში" 4 სეზონის განმავლობაში, **როლან ლამას და იბრაჰიმა ბალდეს**.

**ციტატები**

**როვერსიო როდრიგესი**: *„ჩემთვის „ოსასუნა" ყოველთვის პირველ ადგილზე იყო, მაშინაც კი, როცა გუნდი თავიდან მიშორებდა. ახლა დავბრუნდი, რათა ბევრი ვიმუშაო და განახოთ, რა შემიძლია".*

**ხოსე ლუის მენდილიბარი**: *„შეკრებაზე ჩემი გუნდის ფორმით კმაყოფილი ვარ".*

**რიკარდო ლოპესი**: *„კლუბში მხოლოდ ნაღდი პროფესიონალები არ არიან, ისინი აგრეთვე ძალიან კარგი ადამიანები არიან".*

### სეზონის ამოცანა: პრიმერაში ადგილის შენარჩუნება

სეზონის წინ ბოლო რეპეტიციაში „ოსასუნამ" 3:0 დაამარცხა „რასინგი", თუმცა ოპტიმისტურ პროგნოზს ვერ შემოგთავაზებთ - ნავარელებს ისევ მოუწევთ გადარჩენისთვის ბრძოლა, თუმცა სავარაუდოდ, ამ ბრძოლიდან კვლავ გამარჯვებულები გამოვლენ.

**ტრანსფერები**

**მივიდნენ**: რუბენ გონსალესი („მალიორკა", თავ. აგენტი), მარკ ბერტრანი („ტენერიფე", თავ. აგენტი), **როლან ლამა** („ლე მანი", 1,5 მლნ. ევრო), **იბრაჰიმა ბალდე** („ატლეტიკო", 1 მლნ.), **ნინო** („ტენერიფე"), **ხავიერ ანუნზიატა** („ოსასუნა ბ"), **დავიდ ტიმორი** („ოსასუნა ბ"), **იუკა რაიტალა** („ჰოფენჰაიმი", იჯარა), **რაულ გარსია** („ატლეტიკო"), **ხორხე გალანი** („უესკა"), **ანდრეს ფერნანდესი** („უესკა"), **როვერსიო** („ბეტისი"), **იონ ეჩაიდე** („უესკა").

**წავიდნენ**: პანდიანი, ხოსეჩო, არანდა, სორიანო, მონრეალი, კამუნიასი, ესპარსა, ზაბალი, ოიერი, ნელსონი, კორომინასი.

**ლისტი**

**კლუბ ატლეტიკო ოსასუნა**
**დაარსდა**: 1920 წ.
**სტადიონი**: რეინო დე ნავარა, 19 550
**პრეზიდენტი**: პაჩი იზკო
**მწვრთნელი**: ხოსე ლუის მენდილიბარი
**კლუბის წევრი**: 15 800
34 სეზონი პრიმერაში
**მეტსახელი**: ლოს როხილიოსი, გორიჩოაკი
**გასულ სეზონში**: მე-9 ადგილი
**ოფიციალური საიტი**: http://www.osasuna.es/

**ყველაზე მეტი თამაში 2010/11**: რიკარდო (38), პუნიალი (33), კამუნიასი (31), მონრეალი (31), ვადოცი (31).

**ყველაზე მეტი გოლი 2010/11**: კიკე სოლა (7), ნეკუნამი (6), არანდა (4), კამუნიასი (4), ვადოცი (3).

**გუნდი 2011/12**

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. რიკარდო ლოპეს ფელიპე | 30.12.1971 |
| 13. ასიერ რიესგო | 06.10.1983 |
| ანდრეს ფერნანდესი | 17.12.1986 |
| **მცველები** | |
| 2. მარკ ბერტრანი | 22.05.1982 |
| 3. იუკა რაიტალა (ფინეთი) | 15.09.1988 |
| 4. მიგელ ფლანიო | 19.08.1984 |
| 5. მანუელ ლოლო | 22.08.1984 |
| 20. რუბენ გონსალესი | 29.01.1982 |
| 23. სერხიო გონსალესი | 23.05.1977 |
| 24. დამია პერესი | 15.04.1982 |
| იონ ეჩაიდე | 05.01.1988 |
| როვერსიო როდრიგესი (ბრაზ.) | 17.01.1984 |
| **ნახევარმცველები** | |
| 6. ჯავად ნეკუნამი (ირანი) | 07.09.1980 |
| 8. მასუდ შოჯაეი (ირანი) | 09.06.1984 |
| 10. პაჩი პუნიალი | 06.09.1975 |
| 14. რაულ გარსია | 11.07.1986 |
| 16. ალვარო სესუდო | 29.01.1984 |
| 19. ხავიერ კალეხა | 12.05.1978 |
| 21. კრისტიან ვადოცი (უნგრეთი) | 30.05.1985 |
| 22. რობერტო ლოპეს რუფერი | 04.06.1987 |
| ხავიერ ანუნზიატა | 31.08.1987 |
| როლან ლამა (ბელგია) | 31.12.1987 |
| დავიდ ტიმორი | 17.10.1989 |
| **თავდამსხმელები** | |
| 7. ხუან ფრანსისკო ნინო | 10.06.1980 |
| 9. დეიან ლეკიჩი (სერბეთი) | 07.06.1985 |
| 11. იბრაჰიმა ბალდე (სენეგალი) | 01.09.1990 |
| 18. კიკე სოლა | 25.02.1986 |



ესპანიოლი (ბარსელონა)



# ახალგაზრდობა და ტალანტი

## როცა რეზერვი არ ილევა

ახალგაზრდა არგენტინელი სპეციალისტი **მაურისიო პოჩეტინო** კვლავ ხელმძღვანელობს მოკრძალებულ, მაგრამ ამბიციურ ბარსელონურ კლუბს, რომლის მიზნად კვლავ ევროთასების საგზურისთვის ბრძოლა რჩება. გუნდი ახალგაზრდულია, მაგრამ გამოუცდელობას ფეხბურთელები ნიჭიერებითა და მონდომებით ინაზღაურებენ.

გასული სეზონის პირველი ნაწილი „ესპანიოლმა" კარგად განვლო, გუნდი ცხრილის ზედა ნაწილში იყო, მაგრამ ზამთრის სატრანსფერო პერიოდმა და ტრავმებმა ბარსელონელები დააზარალეს. ზამთარში გუნდს ორი ნიჭიერი მცველი **ვიქტორ რუისი** (ნაპოლი) და **დიდაკ ვილა** (მილანი) გამოეთხოვა, რითაც მოირღვა ეს რგოლი. მხოლოდ მეორე წრის მიხედვით „ესპანიოლმა" ბოლოსწინა, მე-19 შედეგი აჩვენა!

მაგრამ იმედგაცრუება მალე გავიდა და ახალგაზრდებმა ახალი შემართებით დაიწყეს მზადება, წლეულს პოჩეტინოს გუნდი კიდევ ერთხელ შეეცდება ევროთასების ზონაში შეღწევას. „ესპანიოლის" ცხოვრებაში კვლავ დიდ როლს თამაშობს კანტერა, ტალანტები მოდიან და მოდიან გუნდში.

გუნდი დატოვეს გამოცდილებმა, მაგალითად, **ივან დე ლა პენია** და **დავიდ გარსია** გუნდის სიმბოლოებადაც მიიჩნეოდნენ. მოკლედ, გუნდიდან მეტი წავიდა, ვიდრე მივიდა. პოჩეტინომ კი ისევ მხსნელ კანტერას მიაკითხა ტალანტების ახალი „პარტიისთვის". გუნდში ახლა სამი სრულფასოვანი მეკარეა და პოჩეტინოს ჯერ არ გაუკეთებია არჩევანი, ვინ იქნება პირველი.

გუნდს ალბათ დატოვებს **დანიელ ოსვალდო**, მთავარი დამრტყმელი ძალა, რომელსაც ბევრი მთხოვნელი ჰყავს ევროპაში.

**ციტატები**

**ექტორ მორენო**: *„აქ მხოლოდ მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან, შესაბამისად ადგილიც ცხრილის მაღალ ზონაში უნდა დავიმკვიდროთ".*

**რუი ფონტე**: *„პოჩეტინომ ჩემ კარიერაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მან ჩემი ძალების ირწმუნა და პრიმერაში თამაშის შანსი მომცა".*

**მაურისიო პოჩეტინო**: *„დღეისათვის მიჭირს „ესპანიოლის" წარმოდგენა ოსვალდოს გარეშე. არადა, მომიწევს".*

### სეზონის ამოცანა: ევროთასების საგზურისთვის ბრძოლა

ამაზე ზემოთაც ბევრი ვილაპარაკეთ და აღარ გავიმეორებთ.

**ტრანსფერები**

**მივიდნენ**: რუი ფონტე („სპორტინგი", თავ. აგენტი), **ექტორ მორენო** („ალკმაარი", 4 მლნ. ევრო), **ხუან ანხელ ალბინი** („ხეტაფე", 3 მლნ.), **დიდაკ ვილა** („მილანი", იჯარა დაუსრულდა), **კიკო კასილია** („კარტახენა"), **კორომინასი** („ოსასუნა").

**წავიდნენ**: ჩიკა, დუშერი, დ. გარსია, ი. ალონსო, ა. მარტინესი, რ. მარტინესი, სმილიანიჩი, კალეხონი, დე ლა პენია, შაარი, მოლინა.

**ლისტი**

**რეიალ კლუბ დეპორტიუ ესპანიოლ**
**დაარსდა**: 1900 წ.
**სტადიონი**: კორნელია ელ პრატი, 40 500
**პრეზიდენტი**: რამონ კონდალი
**მწვრთნელი**: მაურისიო პოჩეტინო
**კლუბის წევრი**: 29 500
75 სეზონი პრიმერაში
თასი (1929, 1940, 2000, 2006)
**მეტსახელი**: პერიკიტოსი, ბლანკიბლაუსი
**გასულ სეზონში**: მე-8 ადგილი
**ოფიციალური საიტი**: http://www.rcdespanyol.cat/

**ყველაზე მეტი თამაში 2010/11**: ვერდიუ (37), ლუის გარსია (37), კალეხონი (37), კამენი (33), ალვარო (30).

**ყველაზე მეტი გოლი 2010/11**: ოსვალდო (13), კალეხონი (6), ლუის გარსია (6), ვერდიუ (5), ალვარო (4).

**გუნდი 2011/12**

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. კარლოს იდრის კამენი (კამერ.) | 18.02.1984 |
| 13. ფრანსისკო კიკო კასილია | 02.10.1986 |
| 25. კრისტიან ალვარესი (არგ.) | 13.11.1985 |
| **მცველები** | |
| 2. ფელიპე მატიონი (ბრაზილია) | 15.10.1988 |
| 3. რაულ როდრიგესი | 22.09.1987 |
| 5. ხორდი ამატი | 21.03.1992 |
| 14. ერნესტო გალანი | 17.06.1986 |
| 15. ექტორ მორენო (მექსიკა) | 17.01.1988 |
| 18. ხუან ფორლინი (ურუგვაი) | 10.01.1988 |
| 22. დიდაკ ვილა | 09.06.1989 |
| **ნახევარმცველები** | |
| 4. ხავი მარკესი | 11.05.1986 |
| 7. რაულ ბაენა | 02.03.1989 |
| 11. იოან ვერდიუ | 05.05.1983 |
| 16. ხავი ლოპესი | 21.01.1986 |
| 23. ხესუს დატოლო (არგენტინა) | 19.05.1984 |
| 24. ხუან ალბინი (ურუგვაი) | 17.07.1986 |
| **თავდამსხმელები** | |
| 6. რუი ფონტე (პორტუგალია) | 23.04.1990 |
| 8. ალვარო ვასკესი | 27.04.1991 |
| 9. სერხიო გარსია | 09.06.1983 |
| 10. ლუის გარსია | 06.02.1981 |
| ფერან კორომინასი | 05.01.1983 |

**შენიშვნა**: გუნდების განაცხადებში მუქი შრიფტით - ნარწერა მაისურზე



### ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა

| | |
|---|---|
| **A ჯგუფი** | |
| ბაიერნი (გერმანია) | |
| ვილიარეალი (ესპანეთი) | |
| სიტი (ინგლისი) | |
| ნაპოლი (იტალია) | |
| **B ჯგუფი** | |
| ინტერი (იტალია) | |
| ცსკა (რუსეთი) | |
| ლილი (საფრანგეთი) | |
| ტრაბზონი (თურქეთი) | |
| **C ჯგუფი** | |
| იუნაიტედი (ინგლისი) | |
| ბენფიკა (პორტუგალია) | |
| ბაზელი (შვეიცარია) | |
| ოცელული (რუმინეთი) | |
| **D ჯგუფი** | |
| რეალი (ესპანეთი) | |
| ლიონი (საფრანგეთი) | |
| აიაქსი (ჰოლანდია) | |
| დინამო (ხორვატია) | |
| **E ჯგუფი** | |
| ჩელსი (ინგლისი) | |
| ვალენსია (ესპანეთი) | |
| ლევერკუზენი (გერმ.) | |
| გენკი (ბელგია) | |
| **F ჯგუფი** | |
| არსენალი (ინგლისი) | |
| მარსელი (საფრანგეთი) | |
| ოლიმპიაკოსი (საბერ.) | |
| დორტმუნდი (გერმანია) | |
| **G ჯგუფი** | |
| პორტუ (პორტუგალია) | |
| შახტარი (უკრაინა) | |
| ზენიტი (რუსეთი) | |
| აპოელ (კვიპროსი) | |
| **H ჯგუფი** | |
| ბარსელონა (ესპანეთი) | |
| მილანი (იტალია) | |
| ბატე (ბელარუსი) | |
| პლზენი (ჩეხეთი) | |

უეფა. აღიარება

# მესი

## ევროპის საუკეთესო ფეხბურთელია

წლეულს უეფამ ახალი პრიზი შემოიღო - ჟურნალისტებმა ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელი აირჩიეს. კანდიდატი სამი იყო: **ჩავი ერნანდესი, ლეო მესი** (ორივე „ბარსელონა") და **კრიშტიანო რონალდო** („რეალი"). გუშინ მონაკოში გამოცხადდა, რომ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი მესია. მან ამ სამეულიდან ყველაზე მეტი ქულა, 38 მიიღო, მეორეზე ჩავი გავიდა 11 ქულით, რონალდომ კი მხოლოდ 3 ქულა მიითვალა.



მესი პლატინიმ დააჯილდოვა

ლა ლიგა. გაფიცვა

# გაფიცვა შეწყდა, პირველი ტური გაიმართება



როგორც იქნა, დაპირისპირებულმა მხარეებმა, ესპანეთის ფეხბურთის პროფესიულმა ლიგამ (LFP) და ფეხბურთელთა ასოციაციამ (AFE) ორკვირიანი გაფიცვის შემდეგ საერთო ენა გამონახეს, რამაც გადაარჩინა ლა ლიგის მეორე ტური, რომელიც შაბათ-კვირას გახსნის კიდევაც სეზონს. ინტენსიური მოლაპარაკებები ზედიზედ 7 დღის განმავლობაში ეწყობოდა, თუმცა გუშინდლამდე ამას შედეგი არ მოჰყოლია - მხარეებს შორის მთავარი შემაფერხებელი კლუბების გაკოტრების კანონი იყო, რომელიც ცუდ დღეში აგდებს უხელფასოდ დარჩენილ ფეხბურთელებს.

სამშაბათს მოლაპარაკებამ 6 საათს გასტანა, თუმცა ეს რეკორდი სულაც არ ყოფილა, მეორე დღეს მხარეები ერთსაათიან შესვენებას თუ გამოვაკლებთ, 12 საათის განმავლობაში უხსნიდნენ ერთმანეთს თავიანთ სიმართლეს (მათ მოლაპარაკების მაგიდასთან დაათენდათ - დილის 6-ის ნახევარზე დაიშალნენ). დღეს, ესპანეთის დროით ნაშუადღევს, პროფესიული ლიგის პრეზიდენტი **ხოსე ლუის ასტიაზარანი** და ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტი **ლუის რუბიალესი** ერთობლივად წარუდგნენ მედიას. მათ განაცხადეს, რომ გაფიცვა შეწყვეტილია და რომ ორივე მხარე კმაყოფილია მიღწეულით. პრინციპული საკითხები შეთანხმებულია და ახლა ორივე მხარე უფრო მშვიდ ვითარებაში ჩაამთავრებს ერთობლივ ხელშეკრულებაზე მუშაობას.

პირველი ტური, რომელიც გასულ უქმეებზე უნდა გამართულიყო, 21-22 იანვარს გაიმართება, II წრის პირველი ტურის მაგივრად, რომელიც, თავის მხრივ, მაისში გადაიწევს და ბოლოსწინა ტურად მოგვევლინება. მოკლედ, ესპანური ფეხბურთი პარასკევს სეგუნდადივიზიონის მატჩით (ხირონა-ელჩე) განახლდება.

ევროპის სუპერთასის წინ

# იქ, სადაც მესის ჯერ არ გაუტანია

დღეს, საქართველოს დროით, 22:45 საათზე მონაკოში ევროპის სუპერთასის მატჩი დაიწყება, რომელშიც ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული „ბარსელონა" და ევროპის ლიგის ტრიუმფატორი „პორტუ" დაუპირისპირდებიან.

გუშინ **ხოსეპ გვარდიოლამ** მონაკოში პრესკონფერენცია გამართა: *„ეს არის ფინალი ორ კლუბს შორის, რომელთაც სრულიად დაიმსახურეს სუპერთასისთვის ბრძოლა. ჩვენ ახლახან გვქონდა მძიმე ბატალიები ესპანეთის სუპერთასისთვის, ახლა კიდევ ერთი ტიტულისთვის მოგვიწევს ბრძოლა. „პორტუს" თამაშით აღფრთოვანებული ვარ, ჩვენი მეტოქე ძალიან ძლიერი გუნდია. ისინი ცვლიან ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, თუმცა მაინც აგრძელებენ მოგებებს. ძალიან მაღალ დონეზე უნდა ვითამაშოთ, თუკი მათი დამარცხება გვინდა".*



გვარდიოლას მონაკოში არ ეყოლება ცენტრალურ მცველთა წყვილი - **კარლეს პუიოლი** და **ჟერარდ პიკე**, ორივე ტრავმირებულია.

ეს მატჩი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს **ლეო მესისთვის** და აი, რატომ - ევროპის სუპერთასი ერთადერთი ოფიციალური შეჯიბრებაა, სადაც არგენტინელს ჯერ გოლი არ გაუტანია, არადა, მესამედ თამაშობს.

**ვიტორ პერეირას** გუნდს მხოლოდ ერთი ფეხბურთელი დააკლდება ტრავმის გამო: ახალწვეული **ალექს სანდრო**, რომელმაც ტრავმა მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე მიიღო. **ალვარო პერეირა** გუნდთან ერთად არ არის, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს, რომ მარცხენა მცველი „ჩელსიში" გადადის.

*„ბარსელონა" (სავარაუდო): ვალდესი - დანი ალვეში, მასკერანო, აბიდალი, ადრიანო - ბუსკეტსი, ჩავი, ფაბრეგასი - პედრო, მესი, ვილია.*

*„პორტუ": (სავარაუდო): ელტონი - ფუსილე, ოტამენდი, როლანდო, სეპუნარუ - სოუზა, გუარინი, მოუტინიო - ჰალკი, კლებერი, ვარელა.*

ფურია როხა

# დელ ბოსკეს სიურპრიზი – მონტოია



მარტინ მონტოია

2 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები ჩილესთან ამხანაგურ მატჩს გამართავს, 4 დღის შემდეგ კი ევრო-2012-ის შესარჩევ მატჩში „ფურია როხა" ლიხტენშტაინის ნაკრებს ხვდება.

**ვისენტე დელ ბოსკემ** შემადგენლობა გამოაცხადა და ესპანეთში გაოცება გამოიწვია **მარტინ მონტოიას** გამოძახებამ. ის ხომ „ბარსელონას" სარეზერვო გუნდის წევრია. აქამდე ასეთი რამ ერთხელ მოხდა, როცა დანიური წარმოშობის **ტომას კრისტიანსენი** ესპანეთის ნაკრებში მიიწვიეს, ეს იყო 1993 წელს, კრისტიანსენი მაშინ სარეზერვო გუნდში ირიცხებოდა.

მეკარეები: *იკერ კასილიასი (რეალი), პეპე რეინა (ლივერპული), ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა).*

მცველები: *სერხიო რამოსი (რეალი), ალვარო არბელოა (რეალი), რაულ ალბიოლი (რეალი), ალბერტო ბოტია (სპორტინგი), მარტინ მონტოია (ბარსელონა ბ), ალვარო დომინგესი (ატლეტიკო).*

ნახევარმცველები: *ჩავი ერნანდესი (ბარსელონა), ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), ტიაგო ალკანტარა (ბარსელონა), სერხიო ბუსკეტსი (ბარსელონა), ჩაბი ალონსო (რეალი), სანტი კასორლა (მალაგა), დავიდ სილვა (სიტი), ხავი მარტინესი (ბილბაო).*

თავდამსხმელები: *ხუან მატა (ჩელსი), ფერნანდო ტორესი (ჩელსი), პედრო როდრიგესი (ბარსელონა), დავიდ ვილია (ბარსელონა), ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), ალვარო ნეგრედო (სევილია).*

გვერდები მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცინცხალი რეპორტაჟები ევროპასკეტიდან ქართველი გულშემატკივრისთვის

ევროპის ჩემპიონატის გახსნამდე ერთი დღით ადრე, 30 აგვისტოს, კლაიპედაში „ლელოს" კორესპონდენტი - **ვაჟა სიმონიშვილიც** ჩავა. საქართველოს ნაკრების მსგავსად, ისიც სასტუმრო „ამბერტონში" იცხოვრებს და მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდებას არა მხოლოდ კლაიპედის საკალათბურთო დარბაზიდან, არამედ ჩვენი ქვეჯგუფის ყველა ბინადრის დისლოკაციის ადგილიდან, ანუ შიდა სამზარეულოდანაც შეძლებს. გარდა ამისა, „ლელოს" ჟურნალისტი რეპორტაჟებს „პალიტრა TV"-სთვისაც მოამზადებს, საქართველოს ნაკრების მატჩების მსვლელობისას კი რადიო „პალიტრის" პირდაპირ ეთერში რამდენჯერმე ჩაერთვება. სპორტული გაზეთის კორესპონდენტის „ცინცხალი" რეპორტაჟები ქართველი გულშემატკივრისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება.

● საქართველოს ნაკრები



## მწვრთნელები ოფიციალურებში სხვა, უკეთეს კალათბურთს გვპირდებიან

**ლატვიასთან 73:84 წაგების შემდეგ კალათბურთის ფედერაციის ვებ საიტზე გამოქვეყნდა ინტერვიუ ნაკრების მეორე მწვრთნელ დავით უსტიაშვილთან. მისი მონათხრობი ჩვენი გაზეთის მკითხველსაც დააინტერესებს.**

**- ლატვიასთან მარცხს უარყოფითად ხომ არ უმოქმედია ნაკრების წევრებზე?**

- ეს ხომ არ იყო ოფიციალური შეხვედრა. ლატვიას წინა შეხვედრა მოვუგეთ, ახლა კი შედეგს ნაკლები ყურადღება მივანიჭეთ და მატჩის დაწყებამდე გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ყველა კალათბურთელს ვათამაშებდით და ასეც გავაკეთეთ.

**- ბოლო მეოთხედში საკმაოდ რეალური იყო, რომ ლატვიელები დაგვემარცხებინა, თუმცა გადამწყვეტი ათწუთეული მთლიანად სათადარიგო კალათბურთელებს დაუთმეთ. გიორგი შარაბიძე, ლაშა ფარლალავა, ანატოლი ბოისა და ნაკრების სხვა სათადარიგოები საკმაო ხნით იმყოფებოდნენ მოედანზე...**

- მთავარმა მწვრთნელმა თავიდანვე გადაწყვიტა, რომ მოედანზე ყველა გასულიყო, რათა ბოლომდე დარწმუნებულიყო თითოეული მოთამაშის შესაძლებლობაში. ეს იყო საკონტროლო მატჩი, წინა ამხანაგური ლატვიას მოვუგეთ და ამ შეხვედრაში შედეგზე მეტად სხვა მომენტებზე ვიყავით ორიენტირებულნი. თამაში ძირითადი კალათბურთელებით დავიწყეთ და საკმაოდ კარგი თამაშიც ვაჩვენეთ, 10 ქულით დავწინაურდით, თუმცა შემდეგ შეცვლების დრო დადგა. ეს იმანაც განაპირობა, რომ ორმა კალათბურთელმა თამაშისას ტრავმა მიიღო. საბედნიეროდ, **თორნიკე შენგელიას** და **ვლადიმერ ბოისას** დაზიანებები სერიოზული არ აღმოჩნდა. შენგელია მოედანზე მატჩის მეორე ნახევარში დავაბრუნეთ, ხოლო ბოისას, ისევე როგორც ხუთეულის დანარჩენ წევრებს, დასვენების საშუალება, სათადარიგოებს - თავის გამოჩენის შანსი მივეცით.

**- ვლადიმერ ბოისა ლიტვასთან მომავალ სპარინგ-მატჩში ითამაშებს?**

- იგი მწყობრშია და ლიტვასთან მოედანზეც გავა. ისეთი ტრავმა არავის არწუხებს, რომ თამაშში ხელი შეეშალოს.

**- ლიტვასთან შეხვედრას როგორი განწყობით ხვდებით და ამჯერად რას აპირებს სამწვრთნელო შტაბი?**

- ლიტვასთან მატჩსაც ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ. ვფიქრობ, არ არის გამართლებული რომ ასეთ შეხვედრებში ბოლომდე დაიხარჯო და ამით რისკზე წახვიდე. ეს იქნება ბოლო საკონტროლო შეხვედრა ევროპის ჩემპიონატამდე და რა თქმა უნდა, მოედანზე კარგი კალათბურთის სათამაშოდ გავალთ. აღვნიშნავ, რომ საქართველო ოფიციალურ მატჩებში სხვაგვარ კალათბურთს ითამაშებს. მწვრთნელებმა განვლილი მატჩებიდან ბევრი დასკვნა გამოვიტანეთ და ვეცდებით, ოფიციალურ შეხვედრებში ეს მასქიმალურად გამოვიყენოთ.

**- შეკრებას ლიტვაში აგრძელებთ?**

- 25 აგვისტოს დღის პირველ ნახევარში უკვე ვილნიუსში ვიქნებით. იქ 3 დღე დავრჩებით, 27-ში ლიტვის ნაკრებს ვეთამაშებით, 28-დან კი უკვე კლაიპედაში გადავინაცვლებთ.

**P.S. გუშინ ქართველი გულშემატკივრისთვის სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ: შაბათს დაგეგმილ ლიტვასთან მატჩს „პირველი არხი" პირდაპირ ეთერში გადასცემს. შეხვედრა 20 საათზე დაიწყება.**

● საქართველოს ნაკრების მეტოქეები. საკონტროლო მატჩები

## კასტელსმა მბენგა დაითხოვა

ევროპასკეტზე საქართველოს ნაკრების მეტოქე ბელგიამ ის შემადგენლობა გამოაქვეყნა, რომლითაც ევროპის ჩემპიონატზე გამოვა. საინტერესოა, რომ გუნდში ვერ მოხვდა NBA-ში ბელგიელთა ერთადერთი წარმომადგენელი, გოლიათი ცენტრი **დიჯეი მბენგა**. შავკანიან ცენტრთან ერთად ბელგიელთა მწვრთნელმა **ედი კასტელსმა** კიდევ ერთი მოთამაშე დაიწუნა - „ანტვერპენის" წევრი **ჟან მარკ მვემა**. ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ოპონენტის საბოლოო შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**დიმიტრი ლაუერსი** (აველინო, იტალია), **როელ მოორსი** (ანტვერპენი), **გაი მუია** (ლიეჟი), **იორნ სტეინბახი** (ალსტარი), **ჯონათან ტაბუ** (კანტუ, იტალია), **სემ ვან როსომი** (სარაგოსა, ესპანეთი), **მაქსიმ დე ზეეუვი** (პეპინსტერი), **მარკუს ფეისონი** (ოსტენდე), **აქსელ ერველე** (ბილბაო, ესპანეთი), **რენდი ოვენეკე** (ანტვერპენი), **კრისტოფ ბეგინი** (შარლერუა), **ტომას ვან დენ შპიგელი** (ოსტენდე).

სწორედ ბელგიასთან მოუწევს ევროპის ჩემპიონატზე პირველი მატჩის გამართვა ჩვენს ნაკრებს. შეხვედრა 31 აგვისტოს, თბილისის დროით 16:30 საათზე დაიწყება.

### უკრაინა ჩერნოგორიამ იმსხვერპლა

უკრაინის ეროვნული ნაკრები სტამბოლში „ადიდასის თასის" გათამაშებაში ჩაება, რომელშიც მასპინძელთა ნაკრებთან ერთად ჩერნოგორია და ახალი ზელანდიაც გამოდიან. პირველ ტურში თურქეთმა 70:65 მოუგო ზელანდიელებს, თუმცა ჩვენ უკრაინის შედეგი უფრო გვაინტერესებს - სლავები ხომ საქართველოს ნაკრების ჯგუფში არიან ევროპის ჩემპიონატზე.

ტურნირზე გუნდები ნახევარფინალში იყვნენ დაწყვილებულნი. **მაიკ ფრატელოს** გაწვრთნილი უკრაინა ჩერნოგორიას შეხვდა და კარგად ჩატარებული პირველი ტაიმის მიუხედავად მაინც დამარცხდა - 67:80. სლავებმა პირველი მეოთხედი 23:16 მოიგეს, დიდი შესვენებისთვის კი 7-ქულიანი უპირატესობა ოთხამდე შეუმცირდათ - 45:41. მეორე ტაიმიდან მატჩის სადავეები ჩერნოგორიელებმა მოიხელთეს და უკვე მესამე მეოთხედის ბოლოს მოიპოვეს ლიდერობა. საბოლოოდ კი ექსიუგოსლაველებმა დამაჯერებელი სხვაობით გაიმარჯვეს.

**ადიდასის თასი**

**სტამბოლი**

**24 აგვისტო**

**უკრაინა–ჩერნოგორია 67:80**

**23:16, 22:25, 9:17, 13:22**

**უკრაინა:** პეჩიროვი (19ქ, 8მ), ბურტი (13ქ, 5პ, 4მ), ლიშჩუკი (10), ფესენკო (6), კოზლოვი (6), ლიპოვიი (5)

**ჩერნოგორია:** კუკი (20), ვუჩევიჩი (15), დაშიჩი (11), დრაგიჩევიჩი (11), პეკოვიჩი (9)

### რუსეთი ისრაელთან დამარცხდა

თბილისში 6 ქულით დამარცხებულმა ისრაელმა ანდრეი კირილენკოიან რუსეთს 89:79 მოუგო. მატჩის პირველი მეოთხედი ფრედ (20:20) დასრულდა, მეორეში კი მასპინძლებმა 23:18 იმარჯვეს. შესვენების შემდეგ სიტუაცია არ შეცვლილა. რუსებმა ვერაფერი დაუპირისპირეს გამართულად მოთამაშე ებრაელებს და დარჩენილი 2 მეოთხედიც მასპინძელთა სასარგებლოდ დასრულდა: 24:22 და 22:19.

ებრაელებს ულიდერა **ლიორ ელიაჰუმ**, რომელმაც 27 ქულა დააგროვა. თბილისური მატჩის ბომბარდირმა **გაი პნინმა**, რომელმაც ქართველებს 7 სამქულიანი ჩაუგდო, რუსებთან მხოლოდ 4 შორი სროლა გამოიყენა და 17 ქულას დასჯერდა. რაც შეეხებათ რუსებს, მათ **ანდრეი კირილენკო** გაუძლვა - 29 ქულა. უკანახაზელ **სერგეი ბიკოვს** 11 ქულა დაუგროვდა, **ვიქტორ ხრიაპასა** და **ტიმოფეი მოზგოვს** შესაბამისად 9 და 6.

ერთი დღით ადრე რუსები ქართველთა შარშანდელ მეტოქე პოლონეთს გაეჯიბრნენ და დიდი გაჭირვებით, 80:76 გაიმარჯვეს. პოლონური პრესა კმაყოფილი იყო თავიანთი ნაკრების თამაშით და წაგების ფაქტს აინუნშიც არ აგდებდა - მთვარია, რომ გუნდი კარგ ფორმაშია და ბოლომდე ბრძოლა შეუძლიაო.

რუსები **ანდრეი კირილენკოს** გარეშე თამაშობდნენ. პირველი მეოთხედი პოლონეთმა 25:19 მოიგო, ხოლო დიდი შესვენების შემდეგ **ალეშ პიპანის** გუნდი 2 ქულით ჯაბნიდა რუსებს. მესამე მეოთხედში უპირატესობას **დევიდ ბლატის** შეგირდები დაეუფლნენ - 23:19, თუმცა პოლონელებმა ბოლო მეოთხედში მოინდომეს და თამაში ბოლო წუთამდე თანაბარ ბრძოლაში გაგრძელდა. გადამწყვეტ მომენტში დაცვაში კარგმა თამაშმა და ზუსტად შესრულებულმა საჯარიმოებმა რუსებს გამარჯვება მოუტანა.

საყურადღებო ფაქტია, რომ რუსეთის ნაკრებში 22 ქულით ბომბარდირი **ალექსეი შვედი** გახდა. ეს მოთამაშე სათადარიგოა და აქამდე ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებში შედეგიანობით ვერ გამოირჩეოდა. ყველაზე ხშირად სპარინგ-მატჩებში კირილენკო და **ვიტალი ფრიდზონი** გამოირჩეოდნენ, თუმცა ბომბარდირები შედარებით უკანა პლანზე მდგომი კალათბურთელებიც ხდებოდნენ - **ნიკიტა შაბალკინი, ანტონ პონკრაშოვი**. ეს ფაქტი რუსეთის ნაკრების დაბალანსებულობაზე მიუთითებს. მათ კი ჰყავთ გამოკვეთილი ლიდერი კირილენკოს სახით, თუმცა სხვა კალათბურთელებიც საკმაოდ საშიშნი არიან და ნებისმიერს შეუძლია ლიდერობა იკისროს.

**თელ ავივი**

**24 აგვისტო**

**ისრაელი–რუსეთი 89:79**

**20:20, 23:18, 24:22, 22:19**

**ისრაელი:** ელიაჰუ 27, პნინი 17, ჰალპერინი 13, ბლუ 10

**რუსეთი:** კირილენკო 29, ბიკოვი 11, ხრიაპა 9, მოზგოვი 6

**თელ ავივი**

**23 აგვისტო**

**რუსეთი–პოლონეთი 80:76**

**19:25, 16:12, 23:19, 22:20**

**რუსეთი:** შვედი (22), ხრიაპა (12), მონია (10), მოზგოვი (8), ფრიდზონი (8), ბიკოვი (6), შაბალკინი (6), ვორონცევიჩი (5), ანტონოვი (2), პონკრაშოვი, ვიალცევი, ვორონოვი

**პოლონეთი:** ბერიშა (21), შევჩიკი (12), ჰრიჩანიუკი (8)

### ლიტვა საქართველომდე სლოვენიას დაეჭიდა

ლიტვას მორიგი საკონტროლო მატჩი 27 აგვისტოს ვილნიუსში საქართველოსთან აქვს, მანამდე კი სტუმრად ლიუბლიანაში სლოვენიას დაუპირისპირდა. შეხვედრა მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით 80:66 დასრულდა.

პირველი მეოთხედი სლოვენიელებმა 26:12 მოიგეს, დიდი შესვენებისთვის კი უპირატესობა 19 ქულამდე გაზარდეს - 52:33. ამის შემდეგ მასპინძლებმა თავს მოდუნების საშუალება მისცეს, თუმცა ლიტველებს საბოლოოდ მაინც იოლად მოუგეს.

- დაცვაში კარგად ვითამაშეთ. საკმაოდ კონცენტრირებული იყო თითოეული მოთამაშე, რაც იმ შრომის შედეგია, რაც მოსამზადებელ პერიოდში გავწიეთ. ჩვენი გუნდი ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს და დღევანდელმა მატჩმა ეს ყველასთვის ცხადი გახადა, - განაცხადა მატჩის შემდეგ სლოვენიელთა ბომბარდირმა **ერაზმ ლორბეკმა**.

**ლუბლიანა**

**24 აგვისტო**

**სლოვენია–ლიტვა 80:66**

**26:12, 26:21, 10:13, 18:20**

**სლოვენია:** ლაკოვიჩი (10), სმოდიში (5), უდრიჰი (1), გ. დრაგიჩი (8), იაგოდნიკი (6), ბეგიჩი (7), ლორბეკი (13), მურიჩი (2), ოზბოლტი (10), ზ. დრაგიჩი (6), სლოკარი (12), რუპნიკი

**ლიტვა:** კაუკენასი (9), დელინინკაიტისი (8), სონგაილა (6), იასაიტისი (5), იასიკევიჩუსი (2), პეტრავიჩუსი (15), იავტოკასი (4), ვალანჩიუნასი (7), პოციუსი (1), იანკუნასი (9), ლუკაუსკისი



www.gbf.ge

● კალათბურთი

# სოხუმი ამერიკულად ითამაშებს



გრეგორი სტიემსმა

წლეულს დიდი მიზნები აქვს დასახული საკალათბურთო კლუბ „სოხუმს", რომელიც ეროვნული ჩემპიონატის პარალელურად ევროჩელენჯში მონაწილეობისთვისაც ემზადება. კონტინენტის საკლუბო ტურნირში წარმატებით გამოსასვლელად სოხუმელებმა გუნდის გაძლიერება გადაწყვიტეს: აგვისტოს დასაწყისში ერთწლიანი კონტრაქტები გაუფორმეს ამერიკელ კალათბურთელებს - ბრენდონ გაის, ფრენკ რობინსონსა და პიერ პირსს. ისინი უკვე თბილისში არიან და „სოხუმთან" ერთად ვარჯიშობენ. კლუბის საიტი - www.sokhumibc.com და www.sokhumibc.ge იუწყება, რომ სექტემბერში მათ რიგებს კიდევ ორი გამოცდილი ამერიკელი მოთამაშე შეუერთდება - **გრეგორი სტიემსმა** და **მარკ სალიერსი.** ისინიც ერთი წლით დაეხმარებიან სოხუმელებს.

გრეგორი სტიემსმა 26 წლისაა, ვისკონსინის შტატიდან (აშშ), 211 სმ სიმაღლის. სხვადასხვა დროს თამაშობდა Wisconsin-ში, თურქეთისა და კორეის გუნდებში, იცავდა Memphis Grizzlies-ის (NBA), Minnesota Timberwolves-ისა (NBA) და სხვა კლუბების ღირსებას.

გასული სეზონის სტატისტიკა: 2010-2011 Turk Telekom Ankara (თურქეთის საკალათბურთო ლიგა, სასტარტო ხუთეული): 29 თამაში, საშუალო შეფასება თამაშისთვის - 6,0, მოხსნა - 4,0, დაფარება-1 (1,8), 2-ქულიანი-60,3% საჯარიმო ტყორცნა-69,7%, ევროჩელენჯი: 5 მატჩი: საშუალო ქულა-6,6, მოხსნა-5,6, გადაცემა-3,4, დაფარება-1,8, 2-ქულიანი-70,6%, საჯარიმო ტყორცნა-64,3%.

ჩიკაგოელი (აშშ) მარკ სალიერსი 32 წლისაა, 205 ს სიმაღლის. სხვადასხვა წლებში იცავდა შამფორდ-ის, იტალიის, თურქეთის, (თურქეთის ლიგა, ევროპის ლიგა), საფრანგეთის (საფრანგეთის ლიგა, ევროჩელენჯი), უკრაინის (უკრაინის სუპერლიგა, ევროთასი), ლიბანის (A დივიზიონი) გუნდების სპორტულ ღირსებას.

გასული სეზონის სტატისტიკა: 2010-2011. Angelico Biella (Italy-Serie A): 29 მატჩი, საშუალო ქულა თამაშისათვის-11,1, მოხსნა-4,6, გადაცემა-1,6, დაფარება-1,3, 2-ქულიანი-54,3%, 3-ქულიანი-31,7%, საჯარიმო ტყორცნა-63,1%.

**ვაჟა დანელია**



მარკ სალიერსი

● მშვილდოსნობა. ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობა

# გუნდური მარცხი პოლონეთში




პოლონურ ლეგნიცაში მიმდინარე ჭაბუკ მშვილდოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ გამართულ პლეი ოფებში ყველა ქართველი დამარცხდა. ჩვენებურებიდან ერთი წრის გავლა მხოლოდ **ლაშა ფხაკაძემ** მოახერხა, რომელიც საკვალიფიკაციო ეტაპზეც საუკეთესო იყო გუნდში. მას პირველ წრეში მეტოქედ ბრიტანელი **აშე მორგანი** ერგო, რომელმაც შესარჩევი ეტაპი ჩვენებურზე ბევრად უკეთ ჩაატარა - 33-ე იყო (ფხაკაძე მე-80-ე). თუმცა პლეი ოფი სხვაა და აქ ქართველმა გაცილებით მეტი შეუპოვრობა გამოავლინა - სამ პერიოდში მშრალი ანგარიშით, 6:0 დაამარცხა. ასეთმა დასაწყისმა წარმატების იმედი ჩაგვისახა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფხაკაძემ მეტის გაკეთება ვერ შეძლო და მომდევნო წრეში უკვე თვითონ წააგო სამივე პერიოდი შვეიცარიელ **ალექსანდრ კურჩოდთან.**

ამ დროს ჩვენი გუნდის სხვა წევრები გავარდნილები იყვნენ. **გიორგი წიბლიაშვილმა** მალაიზიელ **ადამ ვონგთან** ასევე სამივე პერიოდი დათმო, **ირაკლი ქვლივიძემ** ავსტრიელ **ალექსანდერ ბერჩლერს** პირველი პერიოდი კი მოუგო - 27:25, მაგრამ მომდევნოები წააგო და გავარდა.

თუმცა გუშინ ლეგნიცაში ქართველებიდან ყველაზე დასანანი მარცხი მაინც **თეონა კუტალაძემ** იწვნია, რომელსაც პირველ გამარჯვებამდე ცოტა დააკლდა. მან პლეი ოფი გამარჯვებით დაიწყო - თურქ **ილგინ კიზილგუნესლერს** ორი პერიოდი მოუგო (28:27; 28:26). ამის შემდეგ რაც მოხდა, ცოტა ძნელი წარმოსადგენი იყო - თურქმა ზედიზედ იმარჯვა მომდევნო სამ სეტში. არადა, კუტალაძემ მესამე პერიოდი მინიმალური სხვაობით დათმო - 26:27, მომდევნოებში კი ფარ-ხმალი დაყარა - 24:29 და 24:25 წააგო. როგორც ვხედავთ, მას შეხვედრის მეორე ნახევარში გაუჭირდა. ასევე დაემართა გუშინწინაც, საკვალიფიკაციო ეტაპზე - თავიდან გრძელ დისტანციებზე ბევრად უკეთ გამოვიდა, ვიდრე ბოლოსკენ, შედარებით ახლოებზე.

ამით ჩვენთვის პოლონური ტურნირიც დასრულდა, რადგან გუნდურ პირველობაში პლეი ოფებში ვერ გავედით.

**ირაკლი თავაძე**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. კვასხვაძე; 6. ალური; 7. სკვო; 9. ტაეკვონდო; 10. ყაზბეგი; 12. მეხიკო; 13. ბატერფლაი; 16. ეკიპაჟი; 18. იმნაიშვილი; 19. ეტლი; 21. ფრე; 22. კოვალენკო;; 24. ოლე; 25. რაუნდი; 26. ლევან.

**შვეულად:** 2. ველოტრიალი; 3. სარაევო; 4. ძეკონსკი; 5. კოკოშკოვი; 8. სვანეთი; 10. ყაბახი; 11. ებრალიძე; 14. ტრანსფერი; 15. იევლევა; 17. ანტონოვი; 20. დოლი; 22. კედი; 23. „ლელო".

● ძიუდო. მსოფლიოს პირველობა




# ჭრიკიშვილის დასანანი მარცხი

**პარიზში მიმდინარე ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინაც უმედლოდ დავრჩით, თუმცა ამჯერად ჯილდოს მოპოვება ყველაზე რეალური ჩანდა, ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81) სამი წრე იმდენად კარგად გაიარა...**

ახალგაზრდა ტალანტი ჩვენი გუნდის სხვა წევრებზე უკეთ კი გამოიყურებოდა, ვინც აქამდე იჭიდავა, მაგრამ ოლიმპიურ იმედებზე რა გითხრათ... ის ჯერ ახალგაზრდაა და ცხადია, კიდევ აკლია რალაც-რალაცები, უპირველესად კი გამოცდილება, დალვინება, დადინჯება... მისი მარცხის მიზეზადაც ეს მიგვაჩნია. ის კარგად კი გრძნობს ილეთს, ტექნიკური არსენალიც აქვს, თუმცა ცოტა მეტი მრავალფეროვნება მაინც მართებს და თან უნდა ისწავლოს ტაქტიკური ჭიდაობა, დაცვაშიც მეტი ყურადღებით უნდა იყოს. ტურნირზე რამდენიმე კონტრშეტევა გაატარა, რომელიც მეტოქეთა სისუსტის გამო შერჩა. ალბათ, მსაჯთა მიკერძოებისთვისაც უნდა იყოს მზად და ასეთ შემთხვევაში სათანადოდააწყოს გამოსვლა... ამას კრიტიკად ნუ ჩაგვითვლით - მხოლოდ რჩევა და სურვილია იმის დიდი წადილით განპირობებული, რომ მან თავისი ნიჭი, მონაცემები სრულად გამოიყენოს და მომავალში დიდ წარმატებებს მიაღწიოს. პარიზში ის მერვედფინალში მასპინძელ **ლუის პიეტრისთან** დამარცხდა, რომელიც მსაჯთა აშკარა სიმპათიით სარგებლობდა. ვერ ვიტყვით, რომ ჭრიკიშვილმა ცდა დააკლო, მაგრამ მაინც წააგო. თან ვერც ამ ხელმოცარვას დავაბრალებთ არბიტრს, რადგან ჩვენებური იმ საბედისწერო ეპიზოდში ნამდვილად შეცდა და მეტოქემ ვაზარი დამსახურებულად მოიპოვა.

გუშინ ტურნირზე ვაჟებშიც და ქალებშიც მხოლოდ თითო წონის წარმომადგენლები ჭიდაობდნენ - 81 და 63-ში. ჩვენი გუნდის მეორე წევრი, ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი **ლევან წიკლაური** პირველ წრეში ისვენებდა, ჭრიკიშვილმა კი სუსტი მეტოქე, ბურკინა ფასოელი **ჰერმან მონე** იოლად დააიპონა. მეორე წრეში მას თავიდანვე ელოდა უნგრელი **შანდორ ნაგისოლიმოში,** რომელიც აფრიკელზე ბევრად გამოცდილია, თუმცა ჩვენებურს არც მისი დამარცხება გასჭირვებია. შეხვედრის შუაწელში მსაჯებმა ჭრიკიშვილს იპონი გაუუქმეს, მერე კი ორჯერაც გააფრთხილეს, მაგრამ საბედნიეროდ, ჩვენებური ამან კი არ დააბნია, პირიქით, გააბრაზა და პირველივე მისვლაზე უნგრელი ვაზარიზე დააგდო. მას ტემპი არც მერე შეუნელებია და დამთავრებამდე წამებილა რჩებოდა, როცა მშვენიერი ამოსმულით ბეჭებზე დასცა. ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ ვფიქრობთ, მაინც რისკი იყო - იმ დროს ისედაც იგებდა, დროც იწურებოდა და ტაქტიკური ჭიდაობა უფრო უსაფრთხო, უფრო გამართლებული იქნებოდა. გვესმის, რომ შეტევებით გატაცება ახალგაზრდული ასაკის ბრალია, მაგრამ ასეთ შემთხვევებში შედეგის შენარჩუნებაზე ზრუნვა ბევრად უფრო პრაქტიკულია და ეს უნდა ისწავლოს.

ვიდრე ჭრიკიშვილი უნგრელს ამარცხებდა, ამასობაში წიკლაური უზბეკ **იაკიო იმამოვთან** აგებდა - მეტოქემ ვარდნაში გარეფეხით გამოცელა და თან მყარად აღებული ჩავლებით მარცხენა მკლავით ისე ლონივრად დაქაჩა თავისკენ, იპონისგან თავის დაღწევა მხოლოდ სასწაულს შეეძლო.

მესამე წრეში ჭრიკიშვილს კიდევ ერთი დასვენებული მეტოქე ელოდა - ყაზახი **საიატ შამშიევი,** რომელსაც მანამდე მოწინააღმდეგე არ ჰყავდა და იქამდე უბრძოლველად გავიდა. ამის მიუხედავად, ქართველის უპირატესობა მაინც დიდი იყო - გაფრთხილებებიც მიაღებინა და ვაზარიც აართვა. ამ შეხვედრას წინ საინტერესო ორთაბრძოლა უძღოდა პიეტრისა და ჰოლანდიელ მსოფლიოს ჩემპიონ **ხიიომ ელმონტს** შორის - აქ ჭრიკიშვილის მეტოქე ირკვეოდა, თუმცა ჩვენთვის ეს შეხვედრა უფრო მსაჯთა ქმედებით გახდა საინტერესო, როგორც არასასურველი მესიჯი. იქ უკვე ლიად დაფიქსირდა, რომ პიეტრი ყურადღების ცენტრში იყო. ეგ კი არა, შეხვედრის დაწყებამდე არბიტრებმა ტატამს რალაც ზადი შეამჩნიეს და ტექნიკური სამსახურის 6 თანამშრომელი ბარე 5 წუთი ასწორებდა ლეიბს, ლამის მთელი ტატამი აშალეს, მერე კი ელმონტი ორჯერ ისეთ ვითარებაში გააფრთხილეს, შეჯიბრება საფრანგეთის გარეთ რომ ყოფილიყო, არც მისცემდნენ. პიეტრი აგრესიული სტილის მოჭიდავე კი არის და ბევრს მოძრაობს, ეტანება მოწინააღმდეგეს, რითაც აქტიურობის იმიტაციას ქმნის, მაგრამ არც ელმონტი ყოფილა პასიური, თუმცა მაინც გააფრთხილეს. მასპინძელმაც ასე ნაჩუქარი იუკოთი მოიგო, თუმცა მაინც ლვიოდა იმედი, რომ მსაჯები უფრო მეორე ფრანგს - **ალაინ შმიტს** მიემხრობოდნენ. გასაგებია, რომ მთელი ტურნირის განმავლობაში ვერავინ დაგეხმარება და როგორც წესი, უშუალოდ ასპარეზობისას, წილისყრის მერე მიდის გათვლები, ვის ვისთან შეიძლება დასჭირდეს ხელის წაკვრა, ვინაა შენთვის ყველაზე საშიში მეტოქე... „მამლების კრებულში" შმიტი ისედაც წონის ლიდერი იყო და თან მანამდე ბრწყინვალე იპონებით მოიგო. ამიტომ არსებობდა რალაც შანსი, რომ მსაჯთა მთელი ყურადღება უფრო მისკენ იქნებოდა მიმართული, ვიდრე შედარებით გამოუცდელი პიეტრისკენ, რომელსაც ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე გამარჯვების გარდა სხვა მიღწევა არც უმაგრებდა ზურგს, მაგრამ ბედი არ გინდა? ზუსტად იმ დროს, როცა ჭრიკიშვილი პიეტრის ხვდებოდა, შმიტი ბრაზილიელ მსოფლიოს ვერცხლისა და ოლიმპიური ბრინჯაოს ორგზის მფლობელ **ლეანდრო გილეიროსთან** აგებდა!

ჭრიკიშვილმა ორჯერ გააკეთა გდება, რომელთაგანაც პირველი თუ არა, მეორე ნამდვილად იმსახურებდა შეფასებას, თუმცა არბიტრებმა ყურიც არ შეიბერტყეს. სამაგიეროდ, მანამდე ქართველი გააფრთხილეს - ისე, ყოველი შემთხვევისთვის თავი დაიზღვიეს

სამწუხაროდ, პიეტრისთან შეხვედრაში ჩვენი შიში პირველივე წამებიდან გამართლდა - მსაჯთა სიმპათია ფრანგისადმი აშკარად იგრძნობოდა. ჭრიკიშვილმა ორჯერ გააკეთა გდება, რომელთაგანაც პირველი თუ არა, მეორე ნამდვილად იმსახურებდა შეფასებას, თუმცა არბიტრებმა ყურიც არ შეიბერტყეს. სამაგიეროდ, მანამდე ქართველი გააფრთხილეს - ისე, ყოველი შემთხვევისთვის თავი დაიზღვიეს. მართალია, ერთხელ ფრანგსაც გაუუქმეს იუკო, მაგრამ ის თავიდანვე არ იყო მისაცემი. ამის მიუხედავად, ჭრიკიშვილმა წაგება მხოლოდ საკუთარ შეცდომას უნდა დააბრალოს - რალაც ნასწრაფევად მიახტა და ფეხის გარედან ჩახვევა მოინდომა, მაგრამ ფრანგი დაუსხლტა და წელში ისე უპრობლემოდ შეუვარდა, ილეთის გაკეთება დროის ამბავი იყო და არც გასჭირვებია ვაზარის მოპოვება... არადა, ამ დროს ჭრიკიშვილი მყარად იდგა ფეხზე და დაღლა არ ეტყობოდა, პიეტრი კი ლამის მთელი შეხვედრა ტატამზე გორავდა. მას იღბალმაც გაუღიმა, რადგან მეოთხედფინალში აზერბაიჯანელ **ელხან რაჯაბლისაც** ასე წვალებ-წვალებით მოუგო, თუმცა იქაც უფრო რაჯაბლი შეცდა - ვაზარით დაწინაურებულმა ძალიან ადრე დაიწყო დროის გაყვანაზე ფიქრი, თან ისიც არანაკლებად დაიღალა და პიეტრიმ ჯერ ვაზარიზე გადააგორა, მერე კი შებოჭა. ოღონდ იმდენი წახმარება არც მასპინძელს შერჩა - ჯერ ნახევარფინალში მომავალმა ჩემპიონმა, კორეელმა **ჯაე-ბუმ კიმმა** აყარა შავი დღე, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი მოლდოველმა **სერგიუ ტომამ** ახეხინა ბეჭებით ტატამი.

უზბეკ **რიშოდ სობიროვის** (60) შემდეგ კიმი მეორე ძიუდოისტი გახდა, ვინც შარშან მოპოვებული ტიტული შეინარჩუნა. ბოლო ორი წელიწადია ის, პრაქტიკულად დაუმარცხებელია და კარგად დაწყებული წლევანდელი სეზონიც შედეგიანად დაასრულა. ახლა მის კოლექციაში აზიის თამაშებისა და პირველობის თითო ოქრო, მსოფლიოს ორი ოქრო და ოლიმპიური ვეცხლის მედალია. ალბათ, სრული მოულოდნელობა იყო ფინალში ჩერნოგორიელი **სრდჯან მრვალჯევიჩის** გასვლა. არადა, აქამდე უტიტულო ფალავანმა (მას მსოფლიოს თასიც კი მხოლოდ ორჯერ მოუგია) ნახევარფინალში ჩინებულად მოუგო გილეიროს და ზედიზედ მეორედ ფინალში გასვლა არ დაანება. კიმმა ვაზარით მოიგო ფინალი, თუმცა შებოჭვამდე სულ ცოტა დააკლდა - ჩერნოგორიელი ისეთი მარწუხიდან დაუძვრა, დარბაზი ფეხზე წამოუდგა ოვაციით. შეხვედრის დასრულების შემდეგ, როცა კიმმა საკმაოდ ემოციურად გამოხატა გამარჯვება და ლამაზი ყირაც გააკეთა, მრვალჯევიჩს ხელიც აუწია, ღირსეული მეტოქე იყავიო. ასევე დიდი წარმატებაა მედალი ტომასთვისაც, მასპინძლებს კი ვაჟთა გუშინდელი წარუმატებლობა მათივე ქალმა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა **ემანე გევრისემ** დაავიწყა - ფინალში იაპონელი მსოფლიოს ორგზის გამარჯვებული **იოშიე უენო** დაამარცხა. მან ნახევარფინალშიც ფრიად იყოჩალა ჰოლანდიელ მსოფლიოს ვერცხლისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსან **ელიზაბეტ ვილბოორდესეს** ძლევით.

პარიზში ვაჟთაგან დღესაც ერთი წონის ფალავნები იჭიდავებენ - 90-ისა, **ვალერი ლიპარტელიანი** კი არც მეტი, არც ნაკლები, პირველ შეხვედრას იაპონელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **დაიკი ნიშიამასთან** ჩაატარებს. იაპონელი უხერხულ მეტოქედ ექცა ჩვენებურს - შარშან ორჯერ დამარცხდა მასთან. შედარებით გაუმართლა დებიუტანტ **ზვიად გოგოჭურს** - შვედ **იოაკიმ დვარბის** ხვდება.

### კვარცხლბეკი

#### ვაჟები

**81 კგ.** 1. ჯაე-ბუმ კიმი (კორეა); 2. სრდჯან მრვალჯევიჩი (ჩერნოგორია); 3. სერგეიუ ტომა (მოლდავეთი), ლეანდრო გილეირო (ბრაზილია).

#### ქალები

**63 კგ.** 1. ემანე გევინსე (საფრანგეთი); 2. იოშიე უენო (იაპონია); 3. ელიზაბეტ ვილბოორდესი (ჰოლანდია), ურსკა ზოლნირი (სლოვენია).

**ირაკლი თავაძე**

ძალოსნობა

# ისევ მცირე ბრინჯაოს ავიტაცეთ




პოლონურ ჩეხანოვოში ჭაბუკ ძალოსანთა ევროპის პირველობაზე გუშინ მედლებისათვის 69 კილოგრამი წონითი კატეგორიის 23 სპორტსმენი იბრძოდა, მათ შორის - ორი საქართველოდან. ჩვენი სპეციალისტები იმედოვნებდნენ, რომ ჩაქველი **ჯაბა ჩიბურდანიძე,** რომელიც შარშანაც მონაწილეობდა მსგავს შეჯიბრებაში, კვარცხლბეკზე ავიდოდა. მან მართლაც შედგა ფეხი მესამე საფეხურზე, ოღონდ - ატაცში. ჯაბამ 123-კილოგრამიანი შტანგა მხოლოდ მეორე ცდაზე დაძლია, მესამეზე 128 კილო ასწია და, შოთა მიშველიძის მსგავსად, მცირე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ჩვენებურს ორი კილოთი აჯობა სომეხმა ანდრანიკ კარაპეტიანმა, რომელსაც ვერცხლი ერგო, ოქრო კი 131 კილოთი ბელარუს ივან კლიმს დარჩა.

აკვრაში 160 კილოთი უძლიერესი იყო რუმინელი ალექსანდრუ პინტეა, რომელსაც ჩიბურდანიძემ ატაცში 5 კილოთი გაუსწრო. სამწუხაროდ, ჩაქველ ათლეტს პირველი ცდა აკვრაშიც გაუცუდდა, რამაც საბოლოო შედეგზე უარყოფითად იმოქმედა: ჯაბამ მესამე ცდაზე მხოლოდ 152 კილოს დამორჩილება შეძლო, ორჭიდში 280 კილოგრამი მოაგროვა, ეს კი მე-4 ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი - მეორე-მესამეადგილოსნებს 3-3 კილოთი ჩამორჩა. ვერცხლი და ბრინჯაო, შესაბამისად, პინტეამ და კარაპეტიანმა გაინაწილეს: პირადი წონით კარპატელი ჩვენს სამხრეთელ მეზობელზე 80 გრამით ნაკლები აღმოჩნდა. ორჭიდში 289 კილოგრამით პირველი ადგილი კლიმმა დაიკავა. მასვე აკვრაში 158 კილოთი მცირე ვერცხლი ერგო, მესამე იყო (155 კგ) სომეხი ვარდან მილიტოსიანი, რომელმაც ატაცში საწყისი წონა (125 კგ) ვერ დაძლია და ორჭიდში 0 ქულა მიიღო. აკვრაში, ასევე, 155-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა რუსმა ალექსეი ოსიპოვმა, მაგრამ იგი სომეხზე 90 გრამით მძიმე იყო და მე-4 ადგილი ერგო.

ამავე წონაში გამოდიოდა ზუგდიდელი დებიუტანტი **ბაჩანა ქუხილავა**, რომელმაც ორჭიდში 248 კილოგრამით (111+137) მერვე ადგილი დაიკავა.

დღეს 77 კილოში ზუგდიდელი **თემურ პერტაია** ისასპარეზებს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ჭადრაკი

# ჯავახიშვილი ქალებში პირველია

კორინთოში (საბერძნეთი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალზე ბოლო ტურის წინ რვა დიდოსტატს 6-6 ქულა ჰქონდა და მთავარი პრიზის მფლობელიც მათ შორის უნდა გამოვლენილიყო. გუშინ ლიდერთა ოთხი პარტიიდან ორი აღმოჩნდა შედეგიანი: ტურნირის რეიტინგფავორიტმა, 2008 წლის ევროპის ჩემპიონმა სერგეი ტივიაკოვმა (ჰოლანდია) შავი ფიგურებით მასპინძელი ათანასიოს მასტროვასილისი დაამარცხა და 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მართალია, მოლდოველი დმიტრი სვეტუშკინის მძლეველმა სალვადორ დელ რიომაც (ესპანეთი) შვიდ ქულას მოუყარა თავი, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი ხვდა. 6,5-6,5 ქულით მესამე-მეშვიდე ადგილები ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა სერგეი ვოლკოვმა (რუსეთი), დრაგან სოლაკმა (სერბეთი), იოანის ნიკოლაიდისმა (საბერძნეთი), **კონსტანტინე შანავამ** (საქართველო) და ფერნანდო პერალტამ (არგენტინა) გაინაწილდეს. სამხრეთამერიკელმა გუშინ ლელა ჯავახიშვილს აჯობა, შანავა კი სოლაკს დაუზავდა, ვოლკოვი - ნიკოლაიდისს. **დავით ჯოჯუამ** ფილიპოს კუვაცუ (საბერძნეთი) დაჯაბნა და 6 ქულით მერვე-მეთექვსმეტე ადგილები გაიყო, 5,5 ქულით მე-17 იყო ჯავახიშვილი, თუმცა მან ქალებში დაიკავა პირველი ადგილი. ჩვენებურს ნახევარი ქულით ჩამორჩა მასპინძელი ელენი სტუმბუ, რომელსაც მანდილოსნებში მე-2 პრიზი ერგო. მესამე ადგილზეც მისი თანამემამულე ეკატერინი პავლიდუ (4,5) გავიდა.

**ვაჟა დანელია**

# აროშიძე ლიდერებშია

სამი ტურიც და ესპანეთში დამთავრდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით გამოდის **ლევან აროშიძე.** თბილისელმა დიდოსტატმა ზედიზედ სამი მეტოქე დაამარცხა. გუშინ მან მასპინძელ ორელავის პერესს სძლია და 6 ქულით მეორე-მერვე ადგილებს იყოფს. 6,5 ქულით პირველ ადგილზეა ინგლისელი მატეუ სადლერი. ბრიტანელმა მე-7 ტურში შავი ფიგურებით ანგელ არიბასს (ესპანეთი) აჯობა. მეწინავეთა დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: აბჯით კუნთე (ინდოეთი)-ედუარდო იტურისაგა (ვენესუელა) 0,5:0,5, ანტონ კოვალიოვი (არგენტინა)-ალონსო ბაკალაო (კუბა) 1:0, ემილიო კორდოვა (პერუ)-ხოზე გარსია გონსალესი (მექსიკა) 0,5:0,5, არამის ალვარესი (კუბა)-როდრიგეს კასტელანოსი (ესპანეთი) 1:0, ალვარ ალონსო (ესპანეთი)-მარკ ნარცისო (ესპანეთი) 0:1, ხაიმე კუარტასი (კოლუმბია)-ალეხანდრო ხიმენესი (კუბა) 0:1.

ბარსელონაში მცხოვრები ქართველი დიდოსტატი **ანა მათნაძე** გუშინ ინდოელ ადჰიბანს დაუზავდა და 5 ქულას მოუყარა თავი.

**ვაჟა დანელია**

კრივი

# მხოლოდ ერთი ნახევარფინალისტი

დუბლინში ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის პირველობაზე გუშინ მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართა. რინგზე საქართველოს სამი წარმომადგენელი გავიდა. 52 კილოში **ვენეტიკ ერანოსიანმა** იოლად მოუგო სლოვაკ რომან ფორმანეკს - 14:5 და დღეს ნახევარფინალში სერბ ვანია ვაჩიჩის მძლეველ გჟეგორჟ კოზლოვსკის (პოლონეთი) შეხვდება. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ირლანდიელი ჯოი ფიცპატრიკი და რუსი ვასილი ვეტკინი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ირაკლი მელიქიშვილმა** 12:26 წააგო რუმინელ ალექსანდრუ კუკიურეანუსთან და შეჯიბრებას გამოეთიშა. მისი ბედი გაიზიარა **ალექსანდრე დოკვაძემ** (81), რომელმაც მეოთხედფინალური პაექრობა მასპინძელ გარი სვინთან დათმო - 6:10.

**ვაჟა დანელია**

თავგადასავლები · ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვეტერანი ძიუდოისტი გურამ გოგოლაური

**მეშვიდე ათწლეულში გადამდგარი მოჭიდავისთვის, როგორც იტყვიან, წლებს ვერაფერი დაუკლია. „თუ საჭირო გახდა კიდევ მრავალ თანატოლს „ასწავლის ჭკუას“ ხალიჩაზე. ახლა კი მის მოგონებებს შემოგთავაზებთ.**

## როგორ „მომნათლეს“ კიევში

ძალიან რთულია მოჭიდავის რეჟიმი. ვარჯიში ვარჯიშად, დისციპლინა - დისციპლინად, მაგრამ არსებობს ყველაზე „ბოროტი“ მცნება - წონის შენარჩუნება. არადა, მოჭიდავე თუ ჯეროვნად არ იკვებება - ღონე არაა. იკვებები, და - წონაში იმატებ. მოკლედ, დილემაა რა... მოგეხსენებათ, თუ შეჯიბრებაზე 100 გრამითაც მეტი ხარ შენს წონით კატეგორიაზე - მოხსნილი ხარ და უყარე მერე კაკალი...

1971 წელია. კიევში ვართ შეკრებაზე. სასტუმროს ერთ ნომერში ვცხოვრობდით მე, გივი ონაშვილი და „ეშმაკის ფეხის მკვნეტელი“ ბუმბერაზი მოჭიდავე შოთა ჩოჩიშვილი. ჩემს გარდა თითქმის ყველა თავის წონაშია. მე ვარ 4-5 კილოგრამით მეტი ჩემს ნორმაზე. დავჯექი „უჭმელობით დიეტაზე“. მშიერი კაცი მგელზე უარესი და ბრაზიანია. ვითომ მიადვილებენ და ათასნაირ ვითომ ხუმრობებს იგონებენ ჩემი გუნდის წევრები. ხან რა „შტუკას“ ჩამიწყობენ, ხან რას. ერთი საღამოა და ცოტა გვიან მოვედი ნომერში. შოთა-გივის უკვე „დაუძინიათ“. მახსოვს, რომ გასვლისას (დილით) ვჩქარობდი და ჩემი ლოგინი აშლილი დავტოვე. რომ შემოვედი - განყობილ-განკრიალებულია, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. ბიჭები არ მინდა გავაღვიძო, ჩუმად ჩავაქრე შუქი და შევგორდი ლოგინში.

დავხუჭე თვალები და ჩემს თავს მამაპაპური ძილის „ზაკაზი“ შევუკვეთე. მალე წავედი ბურანში და... ჩემი ზეწრის ქვეშ რაღაც აფუთფუთდა... ამოძრავდა... ალბათ მომეჩვენა-მეთქი და ოდნავ შევსწორდი ლოგინში. ცოტაც და... ისევ აფუთფუთდა რაღაც... „ვააა, ნუთუ თაგვი?“ - ვფიქრობ, მაგრამ რომელი თაგვი გაუძლებდა ჩემი ტანის სიმძიმეს...

მოვლენებს წინ ნუ გადაუსწრებთ და ნუ იფიქრებთ, რომ რაღაც რეპტილია შემისვეს ლოგინში - ცოდვა არ მინდა.

ცოტა ხანში რომ ისევ აფუთფუთდა ჩემი ზეწარი, მაშინ კი წამოვვარდი და ავანთე შუქი. ზეწარზე არაფერია. არც საბანზე ჩანს რაიმე საეჭვო. „ოოოხ მე შენიო“! რომ უნდა ვთქვა და „მძინარე“ შოთა ყვირის:

- სტოპ! - არ შეიგინო კაცო! და გივი-შოთამ ისეთი ხარხარი ატეხეს მთელ შენობას გაეღვიძა.

...თურმე „კაპრონის ძაფები“ შეუმონტაჟებიათ ჩემი ზეწრის ქვეშ და მეორე ბოლო თითებზე მოუბამთ. ეწევიან და ეწევიან ჩუმ-ჩუმად თავიანთი ლოგინებიდან. იცოცხლეეე, გვარიანად „შემომელანძღა“ ორივე იმ ღამეს, მაგრამ „შემაბეს“, არ გაგვთქვა და მეზობელ ნომერში უნდა ჩავუტაროთ ბიჭებს ასეთი რამეო. მეორე დღეს მართლაც გაფართოებული მასშტაბით ჩატარდა ჩემზე უკვე აპრობირებული ღონისძიება. მეზობელ ნომერში გაეღვიძათ „ძაფნაფხაჭუნებ“ ფალავნებს შუაღამეზე. ოღონდ ერთი განსხვავებით, ძაფის დამონტაჟების დროს ამათ პატარა ტექნიკური შეცდომა მოსვლიათ და კვალმა მალე მოიყვანა „დაზარალებულები“ ჩვენს ნომერში. კინაღამ სერიოზულად იჩხუბეს, მაგრამ მოსაგონებლად ახლაც ღირს.

P.S. ამის შემდეგ კიდევ ბევრი „შუტკაშტუკები“ ჩამიტარეს ისედაც მშიერ და აღრენილ კაცს. ვითმინე, ვითმინე, ერთხელაც ველარ მოვითმინე და გვარიანად შემომელანძლა ორივე.

- რა იყო ჯოო - მეუბნება გივი - მასხრობა არ იცი კაცო, შენა!?

- რა მასხრობა - ვიღრინები და რა ვიღრინები - კაცი წონი დაკლებისთვის ვშიმშილობ, ძილში პურის და ყველის მეტი არაფერი მესიზმრება და თქვენ კიდევ!!!

... მოვდივარ საღამოს ჩემს ნომერში. კარები უნდა გავაღო, მაგრამ სიბნელეში კარებზე რაღაც თეთრი ლაქა დავლანდე. ამოვიღე ჯიბის სანათი, მივანათე - ვაა, ფურცელია... ნეტავ რა უნდა იყოს? მივედი უფრო ახლოს და ვკითხულობ: „ოსტოროჟნო, ვ კომნატე ზლაია სობაკა“ („ფრთხილად, ოთახში ავი ძაღლიაო!“), ჰმ! მეეე კაცო?!! აააბა მაშინ გენახააა, სუ ერთმანეთს ეფარებოდნენ... ესაო, ესაო, მე არაო, - კაცოოო!!!

## ნორმა

მეორე პიროვნება, რომელიც ჩემსავით იტანჯებოდა ზედმეტი წონით, ჩვენი უსაყვარლესი ფალავანი, მუდამ მხიარული ანზორ მარტყოფლიშვილი გახლდათ, მაგრამ ჩემთან შედარებით ის უფრო მკვირცხლი და მოხერხებული აღმოჩნდა. კაცო, ვუყურებ, რომ კაცი ნორმაზე 5-7 კილოგრამით მეტია, მაგრამ გგონია მარტვილობს? არაფერი შეგეშალოთ. „უბერავს“ ხან მწვადს, ხან ხაშლამას.

- კაცო - ვეუბნები - შენთვის დიეტა არ არსებობს თუ მარტო მე უნდა ვიტანჯო?

- მოგცლია ერთი... ჩაიცინა... („რისი იმედი აქვს?“)

მეორე დილაა, დაიწყო (წესისამებრ აწონვები). სასწორთან კომპეტენტური პიროვნება დგას. დადგება ერთი მოჭიდავე - გაკრავს ეს ხელს საწონის ღილაკს:

- ნორმა! - შემდეგი.

შედგება ახლა მეორე მოჭიდავე სასწორზე.



- ნორმა! - შემდეგი.

გული მისკდება, ჩემი რიგი მოდის, მაგრამ იმით ვმშვიდდები, რომ ჩემზე წინ ჩემზე მეტად მომატებული მარტყოფლიშვილია ჯერ. თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ანზორი არასდროს იბნეოდა. უარესი - წყლიდან მუდამ მშრალი გამოდიოდა და ასე მოხდა იმ შემთხვევაშიც.

- მარტყოფლიშვილი! - გამოაცხადა „მწონავმა“.

„ბედი მომეცი და სანაგვეზე დამაგდეო“ - ამბობს ანდაზა. გამოიძახეს თუ არა მარტყოფლიშვილი, მწონავს ვიღაცამ რაღაც დაუძახა. იმანაც მიხედა. მიხედვა ასე არ უნდაო ანზორმა - დაკრა ცალი ფეხი სასწორზე, „ნორმაო!“ დაიძახა თვითონვე და გადატანტალდა აწონილებში. მე კი... ეეეჰ!!!

## ჯაშუში თერმოსი

ჰოლანდიაში ვართ ტურნეზე, საბჭოთა ნაკრები. მკაცრი მწვრთნელი გვყავდა ანდრეევი. მისი შიშით და რიდით რომ იტყვიან, „სმენაზე“ ვიდექით. მაგრამ რომელი და რამდენი ანდრეევი გაუძლებს სიჭაბუკის ენერგიას. ის პერიოდია, ყველა რომ მაგარ ფორმაში ვართ და შინაგანი დევიზი გვაქვს: „ერთ ლუკმად არ მეყოფა!“ ეს მოწინააღმდეგის მიმართ, მაგრამ მწვრთნელი მაინც მოწოდების სიმაღლეზეა და შინაგანი წესის ყველა პუნქტს ზედმიწევნით აკურატულად იცავს.

...ბავშვობიდან მიყვარდა „მცირე ჩხირკედელაობა“. მცირე ზომის ელექტრონულ ტექნიკას (უთო, პლიტა, ტრანზისტორული მიმღები) ადვილად ვშლილი და ვაწყობ - ვარემონტებდი. ანდრეევ მწვრთნელსაც ერთი განუშორებელი ჩინური თერმოსი ჰქონდა, რომელიც ნაწილებად იშლებოდა, უფრო გასაგებად რომ ვთქვა - ცელულოიდის გარეგარსი შორდებოდა კორპუსის შიგ მოთავსებულ ვერცხლისწყლიან ბოთლს და მე ეს შესანიშნავად ვიცოდი.

მოკლედ, ჩავატარეთ ის ჩემპიონატი და ჩამოვფრინდით მოსკოვში. შედეგით კმაყოფილები ვართ. მწვრთნელი ხელისჩამორთმევით და პირზე კოცნით გვემშვიდობება თბილისისკენ მომავალ ქართველებს ვნუკოვოს აეროპორტში.

ჯერი ჩემზე რომ მოვიდა და რომ გადამეხვია - თუ შეიძლება, თქვენი თერმოსი მათხოვეთ, წყალს მოვსვამ, მომწყურდა-მეთქი. უყოყმანოდ მომაწოდა. სასწრაფოდ გავხსენი მწვრთნელის თერმული ჭურჭელი, მერე კიდევ გავხსენი და ... 4 ცალი, ჯერ კიდევ ჰოლანდიაში ჩემს მიერ ჩამონტაჟებული ტიტლიკანა ქალების 4 ფურცელი ამოვაძვრინე. კაცი კინაღამ შეიშალა. არადა, ფურცლები უკვე ჯიბეში მედო.

- ნუუუ! - გადააქნია თავი - ნუუუ „ფოკუზნიკ“! სანამ რაიმეს მისაყვედურებდა, ჩვენმა ლაინერმა თბილისისკენ აიღო გეზი.

## კორიდაა ეს, კორიდა

ესპანეთი ჩვენმა ახლანდელებმა მესით, გვარდიოლათი, კასილიასით და ა.შ. იციან, მაგრამ ბევრმა არ იცის, ჩვენ რა ამბავი გადაგვხადა.

იმ წელს გუნდური ჩემპიონები გავხდით (თუ ასე შეიძლება ითქვას), მაგრამ შეჯიბრების დაწყებამდე ხელმძღვანელობამ „საბრძოლო სული“ რომ აემაღლებინათ, ტურნეს გეგმაში ჩვენი კორიდაზე დასწრება დაგეგმა.

მთელი ნაკრები და ადგილობრივი მოჭიდავეებიც ერთად წავედით ამ უდიდებულესი სანახაობის სახილველად.

სიურპიზი თურმე იქ გველოდა:

გამორეკეს ეს „საბრძოლო ხარები“. შეაგდეს სპეციალურ ფარეხში და გრძელი, წვეტიანი კეტებით აღიზიანებენ... აღიზიანებენ და აღიზიანებენ, რომ მერე ეს უცოდველი, გაბოროტებული პირუტყვები არენაზე გამორეკონ და ა.შ. (ახლა, ცოტა თქვენც გეცოდინებათ).

ეს ჩვეულებრივი ამბავია და სასეირო ჯერ არაფერია.

სასეირო სულ 10 წუთში მოხდა.

- ვინაა მსურველი მსოფლიო მოჭიდავეთაგან, რომ არენაზე ჩამოვიდეს!!! მაყურებლებს მიმართავს ადგილობრივი ინფორმატორი... „ვაი, ჩვენს თავს! - როგორია!“ თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი ინგლისელი მოჭიდავე გადავიდა არენაზე და დანარჩენებს ხელებით ანიშნებს - მოდით, რისი გეშინიათ, მოჭიდავეები არ ხართო?! არა... რაღა ვქნათ ახლა? ჭიდაობა კი ვიცით, მაგრამ შავ ხარებთან რა იჭიდავებს კაცო! ცოტა ხანში ვიღაც რუსი ვიტიუშა მოჭიდავეც გადახტა - „ჩტო ბუდეტ-ბუდეტ, მატ რადნაია“-ო. გადავხედეთ ერთმანეთს. ამ დროს რამაზ ხარშილაძემ გამოიჩინა შესაშური გამბედაობა. „შენ დაუკარ“! არ უთქვამს, მაგრამ გაბედულად გადახტა და ამოუდგა გვერდში რუს-ინგლისელს. მეტი მსურველი არ აღმოჩნდა და დასცხეს დოლზე - „დრრრრრრრუუუ...- დრრრრრრრუუუ... და... გაუღეს კარები ამ გადარეულ ხარებს.

- რამაზ თავს უშველე! - ვიყვირეთ ჩვენ, მაგრამ ყიჟინაში ჩაინთქა. ხარმა ჰაერი დაყნოსა ავბედითად და რატომღაც ინგლისელი, უზარმაზარი წონის ლიპიანი „მოეწონა“! გაენთო რქებით. ინგლისელს სულ დაავიწყდა საერთოდ ვინ იყო და მოუსვა თავშესაფარიში. გაიქცა და მიიღო კიდევაც ორი ძლიერი რქა. მეორე ხარი რუსს გამოეკიდა, რუსმა იბლავლა და ისიც შეძვრა თავშესაფარში, ინგლისელ ლიპიანს ამოეფარა უკან. ამ ჩვენსას... ხარშილაძეს რატომღაც (იღბალი თუ რა, არ ვიცი) წითელი ჯემპრი ეცვა მაინცდამაინც იმ დღეს. ბღუუ-ო დაიძახა ხარმა და სანამ ხარი რაიმე უბედურებას მოიგონებდა ხარშილაძემ წუთში რვა წრე დაარტყა არენას. ბოლოს, რომ შეხედა ხარი აღარ ეშვებოდა, მანაც თავშესაფარს მიაშურა, მაგრამ ნურას უკაცრავად - ლიპიანმა ინგლისელმა არ შეუშვა - სადაა შენი ადგილიო, ჰკრა დაკუნთული ლიპი და ისროლა არენაზე. გადაირია მაყურებელი. როგორც იქნა „მაშველებმა“ ხარი დაიჭირეს და გადარჩა ჩვენი რამაზი. ოღონდ მთელი თვე რომ ეძინა ასე ხვრინავდა: - ხხხ-არი, ხხხ-არიი!!!

**მურმან მერკვილიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უილბლონი

# თვალებს დააკლდებიან, გულებს არა


უგო საუთვილი

**ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე ორი კვირაღა დარჩა. მსოფლიოს უდიდესი სარაგბო ფორუმის მონაწილეებმა თავიანთი საბრძოლო რაზმები უკვე განაცხადეს. ბოლო რამდენიმე კვირა განსაკუთრებით მძიმე იყო თითოეული ნაკრების მწვრთნელისთვის, არჩევანი მათ საუკეთესოებიდან კიდევ უფრი უკეთესებზე უნდა შეეჩერებინათ. ასეც მოხდა, თუმცა სამწუხაროდ, სრულიად ბანალური მიზეზის, ტრავმის გამო, მსოფლიოს თასს საკმაოდ ბევრი ძლიერი მოთამაშე დააკლდება. არადა, ისინი არა მარტო თავიანთ გუნდებს, არამედ მთლიანად ტურნირს დაამშვენებდნენ. ახლა, რამდენიმე მათგანზე გიამბობთ.**

## დენ კერი (ინგლისი)

ინგლისელ ცხრა ნომერს ეროვნულ გუნდში დებიუტი 2008 წელს, ახალი ზელანდიის ნაკრებთან მატჩში ჰქონდა. მაშინ, მართალია, „პომებმა“ 20:37 წააგეს, მაგრამ კერიმ შესანიშნავად ითამაშა და ინგლისელთა გუნდი მის გარეშე, თითქმის წარმოუდგენელი იყო. დენმა მას შემდეგ ინგლისის ნაკრების კვართი 32-ჯერ მოირგო, რაც 24 წლის მოთამაშისთვის საკმაოდ დიდი მიღწევაა.

ახალ ზელანდიაში გასამგზავრებლად დენ კერის კონკურენციას **რიჩარდ ვაიგლსვორსი** და **ჯო სიმპსონი** უწევდნენ. კიდევ ერთი ცხრა ნომერი **ბენ იანგზი,** მიუხედავად იმისა, რომ ტრავმირებული იყო, მაინც ძირითადის მოთამაშედ მიიჩნეოდა და კონკურენცია, ფაქტობრივად, არ ეხებოდა. წესით, კერის წინ ვერაფერი უნდა დადგომოდა, მაგრამ ფორტუნამ ზურგი აქცია და ფეხის თითი მოიტეხა. მას ოპერაცია გაუკეთეს და იძულებული გახდა თავისი მეგობრების თამაშს თვალი ტელევიზიით ადევნოს.

## ხუან მარტინ ერნანდესი (არგენტინა)

ის თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მგეზავია. ერნანდესს თავისი ელეგანტური, დახვეწილი თამაშით ყველაზე აგრესიულად განწყობილი მეტოქეც კი აღფრთოვანებაში მოჰყავს. ზედმეტად ვაქებთ? -არა.

აი, როგორ იხსენებს ერთ შემთხვევას თავად ერნანდესი:

*„2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ შინ ვბრუნდებოდით. აეროპორტში ვიყავით, როცა ჩემს ტელეფონზე ზარი გაისმა. ვუპასუხე, ყურმილში ხმამ მითხრა - მე დიეგო მარადონა ვარ. ცხადია, არ დავუჯერე. თუმცა ის მაინც ჯიუტად მიმტკიცებდა, რომ ნამდვილად დიეგო იყო. მან მომილოცა გუნდის წარმატება, შემაქო და ისიც კი გაიხსენა, მარცხენა ფეხით ირლანდიას არეკნი რომ გავუტანე. მითხრა, მარცხენა ფეხი მეც მაგარი მქონდაო. მე ავუხსენი, რომ ცაცია არ ვარ და მარჯვენას უკეთ ვხმარობ.*

*მას შემდეგ რაც საუბარი შევწყვიტეთ, ორი წუთი ხმას ვერ ვიღებდი, თითქოს ენა გადავყლაპე. ჩემი მეგობარი გოგონა შეშინდა, გაფითრებული მეკითხებოდა, ვინ იყო? რა უნდოდა? რამე ცუდი ამბავია? ვერაფრით ვიჯერებდი, რომ მარადონას ველაპარაკე“*

ერთი სიტყვით, „პუმები“ ახალ ზელანდიაში იძულებული იქნებიან თავიანთი საუკეთესო მორაგბის გარეშე ითამაშონ. ერნანდესმა ტრავმა ჯერ კიდევ გაზაფხულზე, „მეტრო რასინგის“ შემადგენლობაში საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩში მიიღო. მიუხედავად დიდი მცდელობისა, მან გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო და არგენტინელთა მწვრთნელმა მისთვის უმძიმესი გადაწყვეტილება მიიღო: არგენტინა -ერნანდესის გარეშე.

## უგო საუთვილი (შოტლანდია)

მისი არყოფნის მიზეზი მსოფლიოს თასზე ზემოთ მონათხრობისაგან აბსოლუტურად განსხვავებულია. საუთვილი „სკოტების“ შემადგენლობაში მთავარ მწვრთნელთან, ენდი რობინსონთან ორმხრივი შეთანხმების შედეგად ვერ მოხვდა.

უგომ ფეხი ჯერ კიდევ საფრანგეთის ჩემპიონატში, „სტად ფრანსეში“ თამაშისას დაიშავა. მკურნალობამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ ნათელი გახდა, რომ ის ნაკრების მოსამზადებელი ეტაპის საკმაოდ დიდ პერიოდს დააკლდებოდა და, გამორიცხული არ იყო, მსოფლიოს თასისთვის სათანადოდ მომზადება ვერ მოესწრო. ამიტომ საუთვილმა გადაწყვიტა ძირითადად ყურადღება საკლუბო კარიერისთვის დაეთმო.

მართალია, მას „სტად ფრანსემ“ კონტრაქტი აღარ გაუგრძელა, მაგრამ უმალვე შეძლო ინგლისურ „ვოსფსთან“ ხელშეკრულების გაფორმება.

## ჟუან სმიტი (სამხრეთ აფრიკა)

შესაძლოა, ის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფლანკერად მივიჩნიოთ. სმიტი თავისი თაობის ყველაზე გავლენიანი, სახელოვანი მოთამაშეა. 30 წლის მესამეხაზელმა ტრავმასთან ბრძოლა წააგო. წლეულს, თებერვალში მან ორი ოპერაცია გადაიტანა. ჯერ ზურგზე, მერე კი აქილევსის მყესზე.

ჟუანმა წინა ორ მსოფლიოს თასზე იასპარეზა და 2007 წელს სამხრეთ აფრიკის ნაკრების მიერ „ვებ ელისის“ თასის მოპოვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ცხადია, „ბოკეს“ მთავარ მწვრთნელს **პიტერ დე ფილიერსს** ძალიან უნდოდა სმიტი გუნდში ყოლოდა და შანსიც მისცა ნაკრებში ადგილი დაემკვიდრებინა, თუმცა სმიტმა თავად გადაწყვიტა ახალ ზელანდიაში გამგზავრებაზე უარი ეთქვა.

*„ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას არ მომცემს ახალ ზელანდიაში გუნდისთვის ბოლომდე დავიხარჯო. არ მინდა თანაგუნდელები დავალალატო და ნაკრებისთვის ზედმეტი ტვირთი გავხდე. ამიტომ, უმჯობესია გზა იმათ დავუთმო, ვისაც ამ ეტაპზე, „ბოკესთვის“ ჩემზე მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია.“* - თქვა მან.

სმიტთან ერთად მსოფლიოს თასის ბატალიებს ტელევიზორში უყურებს მეორეხაზელი **ანდრეას ბეკერიც.**

## გევინ ჰენსონი (უელსი)

ის ბოლო ხანს ტრავმებმა დატანჯა. ერთხანს, როგორც იქნა, გამოჯანმრთელდა და მსოფლიოს თასისთვის მზადებას შეუდგა. სამწუხაროდ, ჰენსონი იღბალმა ამჯერადაც დაალალატა. ორი კვირის წინ ინგლისის ნაკრებთან ტესტ მატჩში ისევ დაშავდა და საოპერაციო შეიქნა. 29 წლის ჰენსონს გამოსაჯანმრთელებლად ვადა ექვსიდან რვა კვირამდე დაუდგინეს და უელსელთა თავკაცმა **უორენ გეთლენმდა** ის სამსოფლიოთასო სიიდან ამოიღო.


ბურთით ხუან მარტინ ერნანდესი

საქართველოს ნაკრები



# ბორჯღალოსნების ფრანგული სურნელი

საქართველოს ნაკრები ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშებისთვის მზადებას საფრანგეთის ქალაქ კანთან ახლოს ორშაბათიდან განაახლებს. „ბორჯღალოსნების“ შოტლანდიელმა თავკაცმა **რიჩი დიქსონმა** სამსოფლიოთასო შემადგენლობა 21 აგვისტოს დაასახელა. 30-კაციან სიაში შვიდი საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდების წარმომადგენლები არიან. სხვა დანარჩენი კი საფრანგეთში თამაშობს.

სწორედ ამიტომ დაარქვა Planetrugby-მ სტატიას საქართველოს ნაკრების შესახებ სათაური „საქართველოს ნაკრების ფრანგული სურნელი“. აი, რას წერს ეს პოპულარული სარაგბო საიტი ჩვენი გუნდის შესახებ.

*„საქართველოს ნაკრების შერკინების სიძლიერე ყველასთვის მოულოდნელი ჯერ კიდევ 2003 წლის მსოფლიოს თასზე აღმოჩნდა. სადაც „ლელოსს“ (იქ ასე ეძახიან ქართველებს) დებიუტი ჰქონდა.*

*გუნდის 30-კაციან შემადგენლობაში, რომელიც ახალ ზელანდიაში ითამაშებს, აბსოლუტური უმრავლესობა საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის სხვადასხვა დივიზიონში მოთამაშე მორაგბეები არიან. რამდენიმე მათგანი კი ელიტური, პირველი დივიზიონის კლუბების „კასტრის“, „ტულონის“, „მონპელიეს“, „ბრივისა“ და „კლერმონის“ წამყვანი მოთამაშეები არიან.*

საქართველოს ნაკრები ჯგუფში, ისევე როგორც 2003 წელს, ინგლისის ეროვნულ გუნდთან ერთად მოხვდა. მაშინ, „პომების“ ამჟამინდელმა თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა,** რომელიც იმხანად გუნდის კაპიტანი იყო, ასე დაახასიათა მეტოქე:

- ისინი ფიზიკურად ძალიან ძლიერები იყვნენ, თავიდან ძალიან გაგვიჭირდა და მათთვის ჩვენი საკუთარი თამაშის თავს მოხვევა მხოლოდ პირველი ნახევრის მიწურულისკენლა შევძელით.

2007 წელს საფრანგეთში საქართველოს ნაკრებმა მშრალი ანგარშით 30:0 სძლია ნამიბიას, მრისხანე ირლანდიელები კი ლამის ბეჭებზე გააკრეს.

- ისინი სათამაშოდ დიდი შემართებით გამოვიდნენ. ძალ-ღონეს არ იშურებდნენ და მთლიანად დაიხარჯნენ. სასწაული იყო, სადაც უნდა გაგვეხედა, შეტევისთვის როგორი მიმართულებაც უნდა მიგვეცა, ყველგან ქართველი მორაგბეების გაშმაგებულ წინააღმდეგობას ვაწყდებოდით. - ეს უკვე ირლანდიელთა კაპიტნის, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო შუამარბის **ბრაიან ოდრისკოლის** სიტყვებია.

საქართველოს ნაკრებში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა მამუკა გორგოძე, რომელმაც წლეულს შესანიშნავი სეზონი ჩაატარა ფრანგულ „მონპელიეში.“ ის კლუბშიც და ნაკრებშიც ლიდერია. იმედი გვაქვს, რომ ქართველები განაგრძობენ თავიანთ აღმასვლას. მათ მსოფლიოს თასზე თამაშის უფლება ისე მოიპოვეს, რომ ევროპის ერთა თასზე მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს.“

ცხადია, საქართველოს ნაკრების სამსოფლიოთასო შემადგენლობის გამოქვეყნებას ფრანგული ყოველდღიური სარაგბო გაზეთი „მიდი ოლიმპიკიც“ გამოეხმაურა.

*„საქართველოს ნაკრების 30-კაციან შემადგენლობაში საკმაოდ ბევრი გამოცდილი მოთამაშეა. განსაკუთრებული სიძლიერით კი შერკინება გამოირჩევა. ამ გუნდში ისეთი ცნობილი მორაგბეები თამაშობენ, მამუკა გორგოძე, დავით ზირაქაშვილი და გოდერძი შველიძე რომ არიან. ასე რომ, საქართველოს ნაკრებისგან სიურპრიზებს ველით - წერს გაზეთი.“*

### საქართველოს ნაკრები

**I ხაზი: გოდერძი შველიძე (მონპელიე), დავით ხინჩაგიშვილი, ვასილ კაკოვინი (ბრივი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ჯაბა ბრეგვაძე (არმია), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი).**

**II ხაზი: ილია ზედგინიძე (კარკერენი) გიორგი ნემსაძე (ვალანსი), ვახტანგ მაისურაძე (ლა სეინი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი).**

**III ხაზი: ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (ობენა), გიორგი ჩხაიძე (ლელო), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი).**

**N:9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია).**

**N:10: მერაბ კვირკაშვილი (ფიჟაკი), ლაშა ხმალაძე (ლელო).**

**N:12-13: ლაშა მალაღურაძე (უგუნდო), რეზო გიგაური (ფიჟაკი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), დავით კაჭარავა (ნიცა).**

**N:11-14: ლექსო გუგავა, ალექსანდრე თოდუა (ორივე-ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი).**

**N:15: მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო).**

### მსოფლიოს თასი

| |
|---|
| 14 სექტემბერი |
| საქართველო-შოტლანდია |
| 18 სექტემბერი |
| საქართველო-ინგლისი |
| 28 სექტემბერი |
| საქართველო-რუმინეთი |
| 2 ოქტომბერი |
| საქართველო-არგენტინა |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

ტურნირები



სერენა უილიამსი

# ჯოკოვიჩი: დებიუტი პირველ ნომრად

## ამერიკული სერია მარდი ფიშმა და სერენა უილიამსმა მოიგეს

სეზონში რიგით მეოთხე „დიდი სლემის“ ტურნირის - აშშ-ის ღია პირველობის ორგანიზატორებმა განთესილი ჩოგბურთელების სია გამოაქვეყნეს.

პირველად კარიერაში, „დიდი სლემის“ ჩემპიონატზე პირველ ნომრად იქნება განთესილი სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. ასევე ATP-ის რეიტინგის მიხედვით პირველ ოთხეულში მოხვდნენ - ესპანელი **რაფაელ ნადალი** (2), შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** (3) და ბრიტანელი **ენდი მიურეი** (4).

ამ ოთხეულიდან მხოლოდ ორს - ნადალსა და ფედერერს აქვთ ადრე მოგებული ამერიკის ღია პირველობა. განთესილებს შორის კიდევ ორი ყოფილი ჩემპიონია: არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო** და ამერიკელი **ენდი როდიკი**. ისინი ძირითად ბადეში შესაბამისად, მე-18 და 21-ე ნომრებად არიან განთესილები.

შეგახსენეთ, რომ ამ მომენტისთვის სეზონის ლიდერს ნოვაკ ჯოკოვიჩს 57 მოგება და მხოლოდ ორი წაგება აქვს. სერბმა წელს ცხრა ტიტული მოიგო, მათ შორის ავსტრალიის ღია პირველობა, უიმბლდონი და ხუთი მასტერსი. ნოვაკი ამერიკის ღიას წაგებით ხვდება - ცინცინატის მასტერსზე მან ფინალში სეტი დათმო **ენდი მიურეისთან**, მეორეში კი ბრძოლა აღარ გააგრძელა.

ქალებს შორის განთესვის ლიდერი გახდა დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი**, რომელიც მწვრთნელის გარეშე და ცუდი ფორმით ხვდება ამერიკის ღიას. რეიტინგში წინსვლა მოასწრო და 28-ე ნომრად არის განთესილი ამერიკელი **სერენა უილიამსი**. ტურნირს ტოვებს მოქმედი ჩემპიონი **კიმ კლაისტერსი**, ხოლო, როგორც წესი, განთესილებს შორის ყველაზე მეტი წარმომადგენელი რუსეთს ჰყავს - ამჯერად მათი რიცხვი ექვსს შეადგენს.

ამერიკის ღია პირველობის ყველა განთესილი:

### კაცები

1. **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბეთი); 2. **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი); 3. **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია); 4. **ენდი მიურეი** (ბრიტანეთი); 5. **დავიდ ფერერი** (ესპანეთი); 6. **რობინ სიოდერლინგი** (შვედეთი); 7. **გაელ მონფილსი** (საფრანგეთი); 8. **მარდი ფიში** (აშშ); 9. **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი); 10. **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი); 11. **ჟო-ვილფრიდ ცონგა** (საფრანგეთი); 12. **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი); 13. **რიშარ გასკე** (საფრანგეთი); 14. **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია); 15. **ვიქტორ ტროიცკი** (სერბეთი); 16. **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი); 17. **იურგენ მელცერი** (ავსტრია); 18. **ხუან-მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა); 19. **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი); 20. **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი); 21. **ენდი როდიკი** (აშშ); 22. **ალექსანდრ დოლგოპოლოვი** (უკრაინა); 23. **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი); 24. **ხუან-იგნასიო ჩელა** (არგენტინა); 25. **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი); 26. **ფლორიან მაიერი** (გერმანია); 27. **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია); 28. **ჯონ ისნერი** (აშშ); 29. **მიკაელ ლოდრა** (საფრანგეთი); 30. **ივან ლუბიჩიჩი** (ხორვატია); 31. **მარსელ გრანოლერსი** (ესპანეთი); 32. **ივან დოდიგი** (ხორვატია).

### ქალები

1. **კაროლინ ვოზნიაცკი** (დანია); 2. **ვერა ზვონარევა** (რუსეთი); 3. **მარია შარაპოვა** (რუსეთი); 4. **ვიქტორია აზარენკა** (ბელარუსი); 5. **პეტრა კვიტოვა** (ჩეხეთი); **6. ნა ლი** (ჩინეთი); 7. **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია); 8. **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი); 9. **სამანტა სტოსური** (ავსტრალია); 10. **ანდრეა პეტკოვიჩი** (გერმანია); 11. **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი); 12. **აგნიეშკა რადვანსკა** (პოლონეთი); 13. **შუაი პენგი** (ჩინეთი); 14. **დომინიკა ციბულკოვა** (სლოვაკეთი); 15. **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი); 16. **ანა ივანოვიჩი** (სერბეთი); 17. **ანასტასია პავლიუჩენკოვა** (რუსეთი), 18. **რობერტა ვინჩი** (იტალია); 19. **იულია გორჯესი** (გერმანია); 20. **იანინა ვიკმაიერი** (ბელგია); 21. **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი); 22. **საბინ ლისიცკი** (გერმანია); 23. **შაარ პეერი** (ისრაელი); 24. **ნადეჟდა პეტროვა** (რუსეთი); 25. **მარია კირილენკო** (რუსეთი); 26. **ფლავია პენეტა** (იტალია); 27. **ლუსი საფაროვა** (ჩეხეთი); 28. **სერენა უილიამსი** (აშშ); 29. **იარმილა გაიდოშოვა** (ავსტრალია); 30. **ანაბელ მედინა გარიგესი** (ესპანეთი); 31. **კაია კანეპი** (ესტონეთი); 32. **მარია ხოსე მარტინეს-სანჩესი** (ესპანეთი).

■ ■ ■

ამერიკის სერიის ტურნირები ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ უკვე ცნობილია ამ სერიის გამარჯვებულები. რამდენიმე დღის წინ ვწერდით იმის შესახებ, რომ ამ კვირის ტურნირების შედეგების მიუხედავად, მამაკაცებს შორის ყველაზე მეტი ქულა ამერიკელმა **მარდი ფიშმა** მოიპოვა.

რაც შეეხება ქალებს, აქ გუშინ გამოვლინდა გამარჯვებული. ეს გახლავთ ასევე ამერიკელი **სერენა უილიამსი**. ცინცინატის ტურნირის დასრულების შემდეგ სერენას გასწრების შანსი ჰქონდათ **მარია შარაპოვასა** და **აგნიეშკა რადვანსკას**. რუსი ჩოგბურთელი არ გაემგზავრა ნიუ ჰევენში სათამაშოდ, პოლონელი კი ნახევარფინალში გასვლის შემთხვევაში ინაღდებდა პირველ ადგილს, მაგრამ აგნიეშკამ მეორე წრეში წააგო ჩეხ **პეტრა ჩეტკოვსკასთან** და უილიამსის გადასწრების ყველანაირი შანსი დაკარგა.

# ერთი სენსაცია მაინც იყო

უინსტონ-სალემის ტურნირზე მეოთხედფინალისტები გამოვლინდნენ. ზედიზედ მეორე მატჩში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა **ენდი როდიკმა**. ამერიკელს გრუნტის მოყვარული კოლუმბიელი **სანტიაგო ხირალდო** ხვდებოდა და თითქმის ყველა დარწმუნებული იყო ენდის გამარჯვებაში, თუმცა ასეთ იოლ გასეირნებას არავინ ელოდა.

ხირალდო ერთადერთხელ გავიდა წინ მატჩში. ეს მეორე სეტის სტარტზე მოხდა - 2:1, მაგრამ ენდიმ ზედიზედ სამი გეიმი აიღო და დაიბრუნა მატჩზე კონტროლი. საათიანი მატჩი ისე დასრულდა, რომ 23 წლის კოლუმბიელს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია, როდიკი კი მეოთხედფინალში არგენტინელ **ხუან მონაკოს** შეხვდება, რომელმაც კიდევ უფრო დამაჯერებლად მოუგო იაპონელ **კეი ნიშიკორის** - 6:0, 6:3.

მეორე ამერიკელმა **ჯონ ისნერმა** ზედიზედ მეორე მატჩი ერთნაირი სცენარით მოიგო - პირველ სეტში ტაი-ბრეიკი დასჭირდა, მეორეში კი გაანადგურა მეტოქე - 7:6(4), 6:2. ამჯერად გიგანტი ამერიკელის მსხვერპლი გახდა გამოცდილი ფინელი **იარკო ნიემინენი**. აღსანიშნავია, რომ მასპინძელმა მეორე პარტიაში 23 წუთში მოამთავრა საქმე. თავის მოწოდებაზე გათამაშებული 51 ქულიდან ისნერმა მხოლოდ შვიდი დათმო და ახლა, ნახევარფინალში გასასვლელად კვიპროსელ **მარკოს ბაღდატისს** შეხვდება. კუნძულელმა, თავის მხრივ, ორ სეტში მოუგო ბელგიელ **სტივ დარცისს** - 7:5, 6:0.

### ATP
### Winston Salem

უინსტონ სალემი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 618 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ, 1)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ, 15) 6:1, 6:3; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 3)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ, 14) 6:4, 1:6, 7:6(7); **ჯონ ისნერი (აშშ, 4)**-იარკო ნიემინენი (ფინ, 13) 7:6(4), 6:2; **სერგეი სტახოვსკი (უკრ, 9)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 5) 6:4, 6:4; **ხუან მონაკო (არგ, 7)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 6:0, 6:3; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 8)**-სტივ დარცისი (ბელ) 7:5, 6:0; **რობინ ჰაასე (ჰოლ, 10)**-პიერ ლუდოვიკ დუკლო (კან) 6:4, 7:5; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-იგორ ანდრეევი (რუს) 2:6, 6:1, 7:6(5).

■ ■ ■

მეორე წრე დასრულდა ნიუ ჰევენის ტურნირზე და ამჯერად სათამაშო დღეს განსაკუთრებული გართულებების გარეშე ჩაიარა. კვლავ გაუჭირდა როლან გაროსის ჩემპიონს **ნა ლის**, თუმცა ნიუ ჰევენის ტურნირი უკვე შეიძლება მის აქტივში შევიტანოთ, რადგან საფრანგეთის ღია პირველობის შემდეგ ჩინელმა პირველად გააღწია WTA-ის ტურნირის მეოთხედფინალში. როლან გაროსიდან მოყოლებული, ნიუ ჰევენი მისთვის რიგით მეოთხე ტურნირია.

ამისთვის ნა ლის რუსი **მარია კირილენკოს** დამარცხება დასჭირდა. მართალია, ჩინელმა ორ სეტში მოაგვარა საქმე, მაგრამ ეს დიდი ნერვების ფასად დაუჯდა. ორივე პარტიაში ნა ლი თავიდან კომფორტულად იგებდა (3:1 - პირველში, 4:1 - მეორეში) და შემდეგ თამაშის გადარჩენის საშუალებას აძლევდა მეტოქეს. თუმცა ბოლოსკენ ლი მაინც ახერხებდა კონცენტრაციას, რამაც მას მეოთხედფინალის საგზური მოუტანა - 6:4, 7:6(4). სხვათა შორის, აზიელმა ხუთი შეხვედრიდან მეოთხედ მოუგო კირილენკოს და შემდეგ წრეში მეორე რუსს **ანასტასია პავლიუჩენკოვას** შეხვდება.

ასევე გავიდა მეოთხედფინალში კიდევ ერთი ფავორიტი - ფრანგი **მარიონ ბარტოლი**. მან ჩეხ **კლარა ზაკოპალოვასთან** მატჩის პირველ სეტში სამი ბრეიკი გააკეთა, სამაგიეროდ, მეორეში იგივე შეძლო ზაკოპალოვამ, მაგრამ მესამე პარტიაში ჩეხს არაფერი გამოუვიდა და მხოლოდ ერთი გეიმის ამარა დარჩა.

### WTA
### New Haven Open

ნიუ ჰევენი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 618 000 დოლარი

**II წრე**

**ნა ლი (ჩინ, 2)**-მარია კირილენკო (რუს) 6:4, 7:6(4); **მარიონ ბარტოლი (საფ, 4)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:2, 2:6, 6:1; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 8)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:2, 6:4; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:2, 7:6(5).

■ ■ ■

ნაკლებად წარმომადგენლობითი ტურნირი მიმდინარეობს დალასში და აქ ყოველდღიურად ეთიშებიან ბრძოლას ფავორიტები. წინა დღეს წააგო გერმანელმა **იულია გორჯესმა**, რომელიც ბოლო დროს, აბსოლუტურად ამოვარდნილია ფორმიდან. გუშინ კი ტურნირის დატოვებამ მოუწია მეორე ნომრად განთესილ **დომინიკა ციბულკოვას**.

უკრაინელი **კატერინა ბონდარენკო** ხელწამოსაკრავი მეტოქე არასოდეს ყოფილა, მაგრამ მისგან არავინ ელოდა, რომ ნიჭიერ სლოვაკს ის მხოლოდ ოთხ გეიმს დაუთმობდა. ბონდარენკომ ასეთ იოლ გამარჯვებას ბრეიკ-პოინტების რეალიზაციის თითქმის ასპროცენტიანი მაჩვენებლით მიაღწია - შვიდიდან ექვსი ასეთი შანსი გამოიყენა. უკრანიელი წელს მეხუთე ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა, თუმცა უფრო შორს მხოლოდ ერთხელ შეძლო გასვლა. ახლა იმავეს გაკეთებას მეოთხედფინალში გერმანელი **საბინ ლისიცკის** წინააღმდეგ ეცდება.

### WTA
### Texas Tennis Open

დალასი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**II წრე**

**კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 2) 6:3, 6:1; **ანასტასია სევასტოვა (ლატ)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 7:6(4), 6:4; **ანჟელიკ კერბერი (გერ)**-მელანი იუდინი (აშშ) 6:3, 6:2; **არავან რეზაი (საფ)**-სორანა კირსტეა (რუმ) 6:2, 7:6(4).



ნა ლი ფორმაში არ არის

# ნოვაკი როლიდან ვერ გამოდის



მარია და მისი კლონი

სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და რუსი **მარია შარაპოვა** გულშემატკივრებსა და ჟურნალისტებს შეხვდნენ Head-to-Head-ის საპრეზენტაციო შოუში, რომელიც სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ცნობილი კომპანიის - Head-ის მიერ იყო ორგანიზებული. სწორედ ამ ფირმის ჩოგნებით თამაშობენ ჯოკოვიჩი და შარაპოვა. ღონისძიება გუშინ ნიუ იორკის „ბენჯამინ ოტელში“ ჩატარდა.

თავდაპირველად გულშემატკივრები მარიას გამოჩენას ელოდნენ, მაგრამ ძალიან გაკვირვებული დარჩნენ იმით, რომ სცენაზე გამოჩნდა ნოვაკი ქერა პარიკით. მან მაშინვე დაიწყო შარაპოვას პაროდირება და როლიდან არც მაშინ გამოსულა, როცა წამყვანის - **ბილ მაკეტის** კითხვებს პასუხობდა.

როცა გულშემატკივრების კითხვების ჯერი დადგა, ყველასთვის და, პირველ რიგში, ჯოკოვიჩისთვის გასაკვირად (ყოველ შემთხვევაში, მან გაკვირვება გამოხატა) დარბაზში შარაპოვა გამოჩნდა. მან ხუმრობით „გაკიცხა“ სერბი ცნობილი პაროდიების გამო.

ამის შემდეგ ჩოგბურთელები დასერიოზულდნენ და Head-ის ახალი კოლექციის პრეზენტაციაში მიიღეს მონაწილეობა, ბოლოს კი აუდიტორიის კითხვებს უპასუხეს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა

# ბოლტს პირდაპირ ოქრო უნდა მისცენ

## ტაისონ გაის შემდეგ მოკლე სპრინტს ასაფა პაუელიც დააკლდა



მსოფლიოს ჩემპიონატის უმთავრესი სტარტი - 100 მეტრზე მამაკაცებს შორის გარბენი, შესაძლოა, მომავალი ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე უინტერესო დისციპლინა გამოდგეს. ფავორიტ **უსაინ ბოლტს** კიდევ ერთი კონკურენტი ჩამოშორდა. გაირკვა, რომ საზარდულის ტრავმის გამო „მოკლე სპრინტში" ვერ ვიხილავთ ამ სეზონის ლიდერს **ასაფა პაუელს**.

თავდაპირველად ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს იამაიკის ნაკრების წევრმა **მაიკ ფრატერმა** მიაწოდა. მანვე განაცხადა, რომ სწორედ ის შეცვლის სარბენ ბილიკზე პაუელს. მოგვიანებით კი ეს უსიამოვნო ახალი ამბავი 28 წლის ასაფას მენეჯერმაც დაადასტურა.

თუმცა პაუელი მაინც გაემგზავრა ტეგუში, რადგან, შესაძლოა, მოასწროს გამოჯანმრთელება 4x100 მეტრი ესტაფეტისთვის, სადაც თანამემამულე ბოლტთან ერთად ეცდება ამ სახეობაში ზედიზედ მეორე ტიტულის მოპოვებას.

შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ დაზიანების გამო გამოტოვა პაუელმა „ბრილიანტის ლიგის" ბოლო ეტაპი. წელს ასაფას 100 მეტრზე სეზონის საუკეთესო დრო ეკუთვნის - 9,78 წამი.

როგორც იცით, ტრავმის გამო არ გამოდის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლტის კიდევ ერთი კონკურენტი, ამერიკელი **ტაისონ გაი**, აგრეთვე მესამე იამაიკელი **სტივ მალინგსი** - სეზონში მეოთხე დროის ავტორი. მას აკრძალული პრეპარატის მიღება დაუმტკიცეს.

კალათბურთი

# გალინარი და ჩენდლერი მილანში

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ლიდერი **ლამარკუს ოლდრიჯი** პესიმისტურად არის განწყობილი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მორიგი სეზონის მიმართ. მას არ სჯერა, რომ ლოკაუტი დროულად დასრულდება და კალათბურთელებს მოედანზე დაბრუნების საშუალება მიეცემათ.

*„ოპტიმიზმის საბაბი არ არსებობს. დღევანდელი მდგომარეობით ორივე მხარე საკმაოდ შორს არის კომპრომისიდან"*, - ამბობს ოლდრიჯი. მანვე ისიც დაამატა, რომ უკვე შეეგუა 2011-12 წლების სეზონის ჩაშლას.

■ ■ ■

„დენვერ ნაგეტსის" ორი კალათბურთელი გააგრძელებს კარიერას ევროპაში. იტალიური პრესის ინფორმაციით, კლუბის იტალიელი ლეგიონერი, 23 წლის ფორვარდი **დანილო გალინარი** მოკლევადიან კონტრაქტზე აწარმოებს მოლაპარაკებებს „მილანთან". მოთამაშის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება ლოკაუტის დასრულების შემდეგ NBA-ში დაბრუნების შესაძლებლობა.

გალინარის რეგულარულ სეზონში 171 მატჩი ჩაუტარებია „ნიუ იორკისა" და „დენვერის" შემადგენლობაში და საშუალო მონაგარი 13.8 ქულასა და 4.4 მოხსნას უდრის.

გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ „მილანი" მოელაპარაკა „დენვერის" ფორვარდს **უილსონ ჩენდლერს** და უკვე გადაწყვეტილია ამ კალათბურთელის იტალიურ კლუბში თამაში. კონტრაქტი ევროლიგის პირველი ეტაპის ბოლომდე იქნება ძალაში, რის შემდეგაც მხარეები განიხილავენ ლოკაუტთან დაკავშირებით შექმნილ სიტუაციას და გადაწყვეტილებას მიიღებენ.

24 წლის კალათბურთელი, რომელიც შარშან საშუალოდ 12.5 ქულასა და 5.0 მოხსნას აგროვებდა, ხელფასის სახით 500 ათას დოლარს მიიღებს.



უილსონ ჩენდლერი

ველოსპორტი. ვუელტა

# რუსი ესპანელები იგებენ

რუსულმა ველოსაჯინიბო „კატიუშამ" „ვუელტაზე" ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. და მეორედაც გუნდი ტრიუმფს ესპანელ ველომრბოლელებს უნდა უმადლოდეს. წინა დღეს ეტაპის ტრიუმფატორი გახდა **დანიელ მორენო**, ამჯერად კი პირველი მივიდა ფინიშთან **ხოაკინ როდრიგესი**. თუმცა ესპანური ველომარათონის ერთ-ერთი ფავორიტის გამარჯვების მიუხედავად, ლიდერის წითელი მაისურა შეინარჩუნა ფრანგმა **სილვენ შავანელმა**.

პრინციპში მეხუთე ეტაპზე გენერალურ კლასიფიკაციაში სერიოზული ცვლილებები არ იყო მოსალოდნელი, რადგან დისტანციაზე ველომრბოლელებს სერიოზული მთა არ ელოდათ. თუმცა ფინიშზე იყო ერთი მეტ-ნაკლებად რთული ამაღლება, სადაც შარშან ესპანელმა **იგორ ანტონმა** გაიმარჯვა, თუმცა დღეს „ეუსკატელ-ეუსკადის" კაპიტანი მთავარ ფავორიტებთან დაახლოებით წუთს აგებს.



როდრიგესის დამსახურებული ტრიუმფი

როგორც ყოველთვის, მაყურებელმა გაქცევა იხილა, თანაც საკმაოდ ფუნდამენტალური და მრავალრიცხოვანი. თუმცა ამ ჯგუფიდან, საბოლოოდ, სამი „გადარჩა" და სწორედ ამ ტრიომ შემოგვთავაზა რიგით მეორე გაქცევა. ეტაპის მოგებას ცდილობდნენ: შვეიცარიელი **მიხაელ ალბაზინი** „ჰაიროუდიდან", გერმანელი **იოჰანეს ფრელინგერი** „სკილიდან" და ესპანელი **ანხელ მანდრაზო** „მუვისტარიდან". თუმცა მალე გაირკვა, რომ ამ გაქცევიდანაც არაფერი გამოვიდა და წინ წასულებს პელოტონი ძალიან მალე დაეწია.

ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე, მეორე კატეგორიის სირთულის მთაზე რამდენიმე შეტევა ვიხილეთ. ერთ-ერთი ასეთი იერიშისას წინ წავიდა ფრანგი **დავიდ მონკუტიე** - ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა ვუელტას თანამედროვე ისტორიაში. მაგრამ ძირითადმა ჯგუფმა ისიც დააკავა.

ამასობაში, წინა ეტაპის გამარჯვებულმა დანი მორენომ შესანიშნავი დახმარება გაუწია ჯოაკინ როდრიგესს. ესპანელთან კონკურენცია სცადა ჰოლანდიელმა **ვოუტერ პოელსმა**, მაგრამ მას არანაირი შანსი არ ჰქონდა მასპინძლის წინააღმდეგ.

საბოლოოდ, ფავორიტთაგან როდრიგესთან ბევრი არავის წაუგია, გარდა **იგორ ანტონისა**. ლიდერის მაისურა კი, როგორც გითხარით, სილვენ შავანელმა შეინარჩუნა - მას ცხრაწამიანი უპირატესობა აქვს მორენოზე.

**V ეტაპი**

1. **ხოაკინ როდრიგესი** (ესპანეთი, „კატიუშა") - 4:42.52; 2. **ვიუტერ პოელსი** (ჰოლანდია, Vacansoleil) - +0.04; 3. **დანიელ მორენო** (ესპანეთი, „კატიუშა") - +0.05; 4. **ბოკ მოლემა** (ჰოლანდია, Rabobak) - +0.07; 5. **მიკელე სკარპონი** (იტა, Lampre-ISD) - იგივე დრო; 6. **აიმარ სუბელდია** (ესპ, RadioShack) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **სილვენ შავანელი** (საფრანგეთი, Quick Step) - 18:02.34; 2. **დანიელ მორენო** (ესპანეთი, „კატიუშა") - +0.09; 3. **ხოაკინ როდრიგესი** (ესპანეთი, „კატიუშა") - +0.23; 4. **იაკობ ფუგლსანგი** (დანია, Leopard-Trek) - +0.25; 5. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია, Liquigas) - +0.33; 6. **ფრედრიკ კესიაკოფი** (შვედ, „ასტანა") - +0.35...

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

**პლეი ოფი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| დინამო (ბ)-ვორსკლა | 2:3 (1:2) |
| სპარტაკი-ლეგია | 2:3 (2:2) |
| რენი-ცრვენა ზვეზდა | 4:0 (2:1) |
| ეინდჰოვენი-რიდი | 5:0 (0:0) |
| აეკ-რუსენბორგი | 2:1 (0:0) |
| ალანია-ბეშიქთაში | 2:0 (0:3) |
| დინამო (კ)-ლიტექსი | 1:0 (1:2) |
| გაზ მეთანი-აუსტრია | 1:0 (1:3) |
| ტრნავა-ლოკომოტივი (მ) | 1:1 (0:2) |
| ცსკა (ს)-სტიაუა | 1:1 (0:2) |
| ჰაპოელი (თ-ა)-ეკრანასი | 4:0 (0:1) |
| იანგ ბოიზი-ბრაგა | 2:2 (0:0) |
| რაპიდი (ბ)-შლიონსკი | 1:1 (3:1) |
| სპარტა-ვასლუი | 1:0 (0:2) |
| ჰელსინგბორგი-სტანდარდი | 1:3 (0:1) |
| პანათინაიკოსი-მაკაბი (თ-ა) | 2:1 (0:3) |
| შალკე-ჰიკ | 6:1 (0:2) |
| ანდერლეხტი-ბურსა | 2:2 (2:1) |
| დნიპრო-ფულჰემი | 1:0 (0:3) |
| პარტიზანი-შემროკი | 1:1 დ.დ. 1:2 (1:1) |
| რეინჯერსი-მარიბორი | 1:1 (1:2) |
| სიონი-სელტიკი | 3:1 (0:0) |
| გიმარაეში-ატლეტიკო | 0:4 (0:2) |
| რომა-სლოვანი | 1:1 (0:1) |
| ალკმაარი-ოლესუნდი | 6:0 (1:2) |
| ბირმინგემი-ნასიონალი | 3:0 (0:0) |
| რაბოტნიჩკი-ლაციო | 1:3 (0:6) |
| სოშო-მეტალისტი | 0:4 (0:0) |
| სტოკი-თუნი | 4:1 (0:1) |
| კარპატი-პაოკ | 1:1 (0:2) |
| პსჟ-დიფერდანჟი | 2:0 (4:0) |
| ტოტენჰემი-ჰართსი | 0:0 (0:5) |
| ზალცბურგი-ომონია | 1:0 (1:2) |
| სევილია-ჰანოვერი | 1:1 (1:2) |
| სპორტინგი-ნორდსილანდი | 2:1 (0:0) |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| საემიროები-კატარი | 3:1 |

**ინგლისი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| სკანთორპი-ნიუკასლი | 1:1 დ.დ. 1:2 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| სამპდორია-პადოვა | 2:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ნორჩოპინგი-იურგორდენი | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| იონჩოპინგი-ვარნამო | 2:3 |

**ფინეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოპს-ვიიკინგიტი | 1:1 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| რეიკიავიკი-ვესტმანაიეარი | 2:2 |

**ურუგვაი**

| | |
|---|---|
| ბელა ვისტა-პენიაროლი | 0:3 |

**კალათბურთი**

**აფრობასკეტი**

| | |
|---|---|
| ნიგერია-ს. აფრიკა | 94:86 |
| სენეგალი-კოტ დ'ივუარი | 59:75 |
| ტუნისი-მაროკო | 86:67 |
| კამერუნი-ანგოლა | 83:84 (ო) |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| საბერძნეთი-იტალია | 81:82 (ო) |
| ესპანეთი-ავსტრალია | 68:51 |

**ჩოგბურთი**

**ATP. უინსტონ სალემი**

| | |
|---|---|
| ისნერი-ბაღდატისი | 1:6, 6:3, 6:4 |
| როდიკი-მონაკო | 6:1, 6:4 |

TV პროგრამა

**26 აგვისტო. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**11:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. III ტური. დენ ჰააგი-ეინდჰოვენი.
**14:00** არგენტინის ჩემპიონატი. III ტური. ნიუელსი-ბოკა ხუნიორსი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. III ტური. ბრესტი-ლიონი.
**18:00** იტალიის შოუ.
**18:30** ესპანეთის ჩემპიონატი. II ტურის წინ.
**19:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ინტერნასიონალი-ფლამენგო.
**21:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. IV ტურის წინ.
**21:30** იტალიის ჩემპიონატი. I ტურის წინ.
**22:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IV ტური. აიაქსი-ვიტესი (LIVE).
**00:00** იტალიის ჩემპიონატი. მატჩის ისტორია.
**00:30** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ჰერტა-შტუტგარტი.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. არსენალი-ლივერპული.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010 წლის „ყველა ვარსკვლავის მატჩი".
**14:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**14:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. ცინცინატი. აშშ.
**18:15** ბადმინტონი. მსოფლიო თასი. ლონდონი. ინგლისი.
**20:45** კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი - ბეკოს თასი. გერმანია-საბერძნეთი. ბამბერგი. გერმანია.
**22:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ჰერტა-შტუტგარტი (LIVE).
**00:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**00:55** კალათბურთი. NBA. 2010 წლის „ყველა ვარსკვლავის მატჩი".

**I არხი**

**17:25** ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები - 90 კგ. ქალები. 70 კგ. 78 კგ. საფრანგეთი (LIVE).
**22:40** ფეხბურთი. ევროპის სუპერთასი. ბარსელონა-პორტუ. მონაკო (LIVE).

**რუსთავი 2**

**22:40** ფეხბურთი. ევროპის სუპერთასი. ბარსელონა-პორტუ. მონაკო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**15:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპის წილისყრა. მონაკო (LIVE).
**22:30** ევროპის სუპერთასი. ბარსელონა-პორტუ. მონაკო (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**17:25** ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები - 90 კგ. ქალები. 70 კგ. 78 კგ. საფრანგეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**22:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-შტუტგარტი (LIVE).

**SPORT+**

**22:30** ფეხბურთი. ევროპის სუპერთასი. ბარსელონა-პორტუ. მონაკო (LIVE).

**EUROSPORT**

**13:00** ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრანპრი. HS 131. ჰაკუბა. იაპონია (LIVE).
**14:45** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპის წილისყრა. მონაკო (LIVE).
**15:30** სნუკერი. ტურნირი PTC (Players Tour Championship). I დღე. გერმანია (LIVE).
**18:00** ველოსპორტი. ვუელტა. VII ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
**20:15** სნუკერი. ტურნირი PTC (Players Tour Championship). I დღე. გერმანია (LIVE).
**01:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიუ ჰევენი. აშშ (LIVE).
**04:00** მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დღე. ტეგუ. ს. კორეა (LIVE).

**EUROSPORT-2**

**15:00** ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრანპრი. HS 131. ჰაკუბა. იაპონია (LIVE).
**16:00** ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. მიონხენგლადბახი. გერმანია (LIVE).
**18:00** ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. მიონხენგლადბახი. გერმანია (LIVE).
**20:30** ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. მიონხენგლადბახი. გერმანია (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიუ ჰევენი. აშშ (LIVE).
**00:00** ველოსპორტი. Pro Cycling Challenge. IV ეტაპი. აშშ (LIVE).

ჰოკეი

# სელიანე რჩება

„ანაჰაიმ დაქსის" 41 წლის ვეტერანი ტეემუ სელიანე, სავარაუდოდ, დათანხმდება ჰოკეის ეროვნულ ლიგაში კიდევ ერთი სეზონის თამაშს, რის შემდეგაც ლეგენდარული ფორვარდი დაასრულებს კარიერას.

შეგახსენებთ, ფინელმა გარკვეული დრო ითხოვა იმისთვის, რომ გადაწყვეტილება მიელო მომავალ ჩემპიონატთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ სელიანემ გასული სეზონის შემდეგ მუხლის ოპერაცია გადაიტანა, რის შემდეგაც აღდგენით პროცესს აკვირდებოდა. როგორც ჩანს, ვეტერანს ყველაფერი წესრიგში აქვს.

*„ბოლო ინფორმაციით, სელიანე გააგრძელებს კარიერას. თუ ტეემუ წასვლას გადაწყვეტს, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება მისი შეცვლა"*, - განაცხადა „ანაჰაიმის" გენერალურმა მენეჯერმა **ბობ მიურეიმ**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# ბრუნო სენა გადაწყვეტილია

საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბელგიის გრანპრიზე „ლოტუს-რენოს“ რიგებში **ნიკ ჰაიდფელდს ბრუნო სენა** შეცვლის. დღეს ფრანგული გუნდი ამ ახალ ამბავს ოფიციალურად გამოაცხადებს, 27 წლის ბრაზილიელი კი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრესკონფერენციას დაესწრება.

როგორც იცით, ამ ტრანსფერის შესახებ ლაპარაკი ბოლო რამდენიმე დღე აქტიურად მიდიოდა. ჭორების მიხედვით, ჰაიდფელდის კონტრაქტი ნაადრევად შეწყვეტას იმ შემთხვევაში ექვემდებარებოდა, თუ ტრავმირებული პოლონელი **რობერტ კუბიცა** რბოლებს დაუბრუნდებოდა. ასევე არ იყო ფინანსური გარანტიები ბრუნო სენას სპონსორების მხრიდან, ამიტომაც „ლოტუს-რენოს“ ხელმძღვანელობა ბოლო მომენტამდე არ აცხადებდა მომავალი შეცვლის შესახებ.

ბრუნო სენას ფორმულა 1-ში დებიუტი 2010 წელს ჰქონდა - მან 18 რბოლა გამართა HRT-ის შემადგენლობაში, წელს კი უნგრეთის გრანპრის დროს პარასკევის თავისუფალ პრაქტიკაში მიიღო მონაწილეობა.

ნიკ ჰაიდფელდმა, შარშანდელის მსგავსად, ისევ ვერ მოახერხა სეზონის სრულად ჩატარება. 2010 წელს მან ხუთი ეტაპი ირბოლა „ზაუბერის“ ბოლიდით - მაშინ მან **პედრო დე ლა როსა** შეცვალა, 2011 წელს კი რობერტ კუბიცას შემცვლელი იყო, რომელმაც თებერვალში რალის დროს უმძიმესი ხასიათის ტრავმები მიიღო.

ბოლო თვეებში „ლოტუს-რენოს“ ხელმძღვანელობა ხშირად აკრიტიკებდა ნიკს დაბალი შედეგების გამო, თუმცა არსებობს ეჭვი იმის შესახებ, რომ მისი გათავისუფლება კომერციული მოსაზრებებით მოხდა - ცოტა ხნის წინ გუნდის თანამფლობელმა **ჟერარ ლოპესმა** მსხვილი კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიელ ინვესტორებთან, რაც სენას მიწვევის საბაბი გახდა.

*„ჯერჯერობით დადასტურებულია ჩემი მონაწილეობა ამ და მომდევნო რბოლაში, მაგრამ მოლაპარაკებები გრძელდება. საჭიროა გარკვეული იურიდიული საკითხების მოგვარება. ჯერ ვერ გეტყვით, სეზონის ბოლომდე ვიქნები თუ არა საპრიზო პილოტი.*

*რთულია სეზონის შუაში რბოლებში დაბრუნება, როცა მეტოქეებმა დღევანდელი სიტუაციის შესახებ შენზე მეტი იციან. მაგრამ მე ვესწრებოდი ყველა ტექნიკურ ბრიფინგს და ყველა მოვლენის საქმის კურსში ვარ, რაც აქამდე გუნდში ხდებოდა. უნგრეთის გრანპრის დროს თავისუფალ პრაქტიკაში მონაწილეობა ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა: გავიგე მანქანის მახასიათებლები, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ რთული იქნება იმ პილოტების დონეზე გამოსვლა, რომლებმაც უკვე 11 ეტაპში მიიღეს მონაწილეობა. მაგრამ მაინც მოუთმენლად ველი უქმეების დაწყებას, სწრაფი პროგრესის იმედი მაქვს და ვაპირებ, გავამართლო ნდობა.*

*თუ თავდაპირველად ჩემი თანაგუნდელის ვიტალი პეტროვის სისწრაფეს გავუთანაბრდები, ეს ათვლის კარგი წერტილი გახდება“*, - ასეთი იყო სენას პირველი კომენტარი.



ბრუნო სენა



გუშინ, სპაზე: ფეტელი თავის გუნდთან ერთად

# არდადეგები დასრულდა

დღეს, ბელგიის „სპაზე“ გასამართი თავისუფალი პრაქტიკა იმის მაუწყებელი იქნება, რომ ფორმულა 1-ში ერთთვიანი არდადეგები დასრულდა.

ჩემპიონატის მორიგი ეტაპის ტრასაზე - „სპა-ფრანკორშამზე“ განახლდება **სებასტიან ფეტელისა** და პელოტონის დანარჩენი ნაწილის ბრძოლა. მანამდე კი გავიხსენოთ, რა ისტორია აქვს ბელგიის გრანპრის და უშუალოდ „სპას“ ტრასას.

- კვირას გაიმართება ბელგიის 56-ე გრანპრი.

- პირველად „სპას“ ავტოდრომზე გრანპრი 1925 წელს ჩატარდა. მაშინ გამარჯვება მოიპოვა **ანტონიო ასკარიმ** - ფორმულა 1-ში მსოფლიოს მომავალი ორგზის ჩემპიონის **ალბერტო ასკარის** მამამ. ბელგიაში ტრიუმფის შემდეგ უფროსი ასკარი საფრანგეთში მომდევნო ეტაპზე დაიღუპა.

- ბელგიაში ფორმულა 1-ის პირველი რბოლა 1950 წლის 18 ივნისს არგენტინელმა **ხუან მანუელ ფანხიომ** მოიგო „ალფა რომეოთი“.

- ბელგიის გრანპრი 43-ჯერ გაიმართა „სპაზე“, 10-ჯერ ზოლდერში და ორჯერ რბოლა მიიღო ნიველის ავტოდრომმა. ეტაპი საბოლოოდ 1985 წელს გადაბარგდა „სპაზე“.

- ბელგიის გრანპრის სხვა ავტოდრომებზე გადატანა „სპაზე“ მომხდარი სერიოზული ავარიებით იყო გამოწვეული. 1960 წელს რბოლის მე-19 წრეზე დაიღუპა ბრიტანელი **კრის ბრისტოუ**, 24-ე წრეზე მისი თანამემამულე **ალან სტეისი**, რომლის ჩაფხუტში ჩიტი მოხვდა. მათ გარდა, დაზარალდნენ **მაიკ ტეილორი** (ხეს შეეჯახა პრაქტიკის დროს) და **სტირლინგი მოსი** (ორივე ფეხის მოტეხილობა). 1966 წელს ლეგენდარული **ჯეკი სტიუარტი** სოფლის სახლს შეეჯახა და ნეკნებისა და ხელის მოტეხილობა მიიღო.

- 2010 წლის კალენდარში „სპას“ ტრასა ყველაზე გრძელია. ერთი წრის სიგრძე 7004 მეტრს უდრის, წრეების საერთო რაოდენობა კი ორმოცდაოთხია (საერთო დისტანცია - 308,052 კილომეტრი).

- ტრასაზე 19 მოსახვევია (10 მარჯვენა და 9 მარცხენა). სიმაღლეებს შორის სხვაობა დაახლოებით 180 მეტრი. მაქსიმალური სიჩქარე - საათში 310 კილომეტრი. ერთ წრეზე დაახლოებით 52-ჯერ ხდება სიჩქარეების გადართვა. ტრიბუნების ტევადობაა - 70 ათასი მაყურებელი.

- ყველაზე ხშირად „სპაზე“ გერმანელი **მიხაელ შუმახერი** იმარჯვებდა - ექვსი. ხუთი მოგება აქვს ფრანგ **ალენ პროსტს**, ოთხ-ოთხი - **კლარკსა** და **რაიკონენს**.

- ტრასის ახალ კონფიგურაციაზე უსწრაფესი წრე შარშან ავსტრალიელმა **მარკ უებერმა** აჩვენა - 1.45,778. უშუალოდ რბოლაში წრის რეკორდი ეკუთვნის **სებასტიან ფეტელს** - მან 2009 წლის 30 აგვისტოს დაამყარა რეკორდი - 1.47,263 (საშუალო სიჩქარე - 235.71 კმ/სთ).

- 12-ჯერ ფინიშზე პირველები „ფერარის“ პილოტები მივიდნენ, 11-ჯერ - „მაკლარენის“.

- ოთხ-ოთხი პოული აქვს მოგებული ფანხიოსა და ბრაზილიელ **აირტონ სენას**.

- კონსტრუქტორებს შორის პირველობას ინარჩუნებს „მაკლარენი“ (10). „ფერარის“ ცხრა გუნდური გამარჯვება აქვს.

- ყველაზე მეტი სწრაფი წრე დააფიქსირა ალენ პროსტმა - 6-ჯერ. „ფერარის“ „სპაზე“ 13 უსწრაფესი წრე ჰქონდა.

- პოდიუმზე ყველაზე ხშირად ადიოდა მიხაელ შუმახერი - 9-ჯერ. შვიდი პოდიუმი აქვს პროსტს, 6 - სენას, 5 - **ბრიუს მაკლარენს**.

- ამ მაჩვენებლით გუნდებს შორის ლიდერობს „ფერარი“ (35), შემდეგ მოდიან „მაკლარენი“ (23) და „უილიამსი“ (12).

- „სპაზე“ ყველაზე მეტი ქულა აქვს მოპოვებული შუმახერს - 86. სულ ამ ავტოდრომზე ქულათა ზონაში 38 გუნდის 107 პილოტი მოხვდა.

- „სპაზე“ ყველაზე წარმატებულ გუნდად რჩება „ფერარი“ - 282 ქულა. მაკლარენს აქვს 213, „უილიამსს“ - 109.

- ნაკლებად ცნობილმა გუნდმა „ჯორდანმა“ ფორმულა 1-ში თავისი პირველი გამარჯვება ბელგიაში მოიპოვა - 1998 წელს (**დეიმონ ჰილი**). სწორედ მაშინ გუნდმა თავისი არსებობის ისტორიაში ერთადერთხელ შეასრულა დუბლი (მეორე იყო ფინიშთან **რალფ შუმახერი**).

- ჰეთ-თრიკის (პოული+რბოლაში გამარჯვება+უსწრაფესი წრე) შესრულება შეძლეს: ასკარიმ (1952), ფანხიომ (1954), **ჯონ სერტისმა** (1966) და მიხაელ შუმახერმა (2002).

- მიხაელ შუმახერს დებიუტი ფორმულა 1-ში სწორედ ბელგიაში ჰქონდა - 1991 წლის 25 აგვისტოს. ერთი წლის შემდეგ კარიერაში პირველი გამარჯვება „სპაზე“ მოიპოვა. ხოლო 2001 წლის 2 სექტემბერს მოპოვებულმა გამარჯვებამ გერმანელს საშუალება მისცა მოგებული ეტაპების რაოდენობით უკან ჩამოეტოვებინა ალენ პროსტი (52 51-ის წინააღმდეგ). ახლა, გერმანელს 91 გამარჯვება აქვს. 2004 წელს „სპაზე“ გამარჯვებით, შუმიმ მეშვიდე (და ამ მომენტისთვის ბოლო) ტიტული გაინაღდა.

- ზედიზედ ოთხჯერ ბელგიის გრანპრი მხოლოდ კლარკსა (1962-65) და სენას (1988-91) აქვთ მოგებული.

- 1966 წელს „სპაზე“ 15 პილოტიდან მხოლოდ ხუთმა მიაღწია ფინიშს. უფრო ნაკლები რაოდენობის ავტომრბოლი ფინიშზე მხოლოდ ორჯერ მივიდა - ორივეჯერ მონაკოში: 1996 წელს სამი (!) პილოტი, 1966 წელს - ოთხი.

- ბელგიის გრანპრი ერთადერთია ბრაზილიელი **ფელიპე მასასთვის**, სადაც ის იმარჯვებდა (2008), მაგრამ ამასთან, არასოდეს მოუგია პოული.

- მიხაელ შუმახერმა თავისი პირველი უსწრაფესი წრე ბელგიაში დააფიქსირა - 1992 წელს. მაშინ მან კარიერაში პირველად მოიპოვა რბოლაში ლიდერობა - 11 წრით. ასევე აღსანიშნავია, რომ პირველად რბოლას გერმანელი ასევე „სპაზე“ გამოეთიშა (1991).

- კარიერაში პირველად რბოლას ფეტელი ასევე ბელგიაში გამოეთიშა - 2007 წელს (მე-8 წრეზე).

# რუსებმა ბრიატორე აზარალეს

## შამპანურის აბაზანა 86 ათას ევროდ

„რენოს“ ყოფილი სპორტული დირექტორი **ფლავიო ბრიატორე** ცნობილი ბიზნესმენიცაა. მაგალითად, იტალიელი ფლობს ღამის კლუბს, რომელსაც Billionaire ჰქვია, თუმცა რამდენიმე დღის წინ ამ კლუბმა ფლავიოს სერიოზული ზარალი მოუტანა.

რუსი ტურისტების ჯგუფმა ღამის კლუბში 90 ბოთლი შამპანური Cristal შეუკვეთა. ამ ალკოჰოლური სასმელის ერთი ბოთლი 900 ევრო ღირს. კლუბის სტუმრებმა ძვირადღირებულ სასმელში ბანაობა გადაწყვიტეს და ჩანაფიქრი აასრულეს კიდეც. უცნაური სურვილია, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ რუსებმა შამპანურის საფასური (86 ათასი ევრო) არ გადაიხადეს და მიიმალნენ.

კლუბში ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა, მაგრამ ამჯერად აუნაზღაურებელი ანგარიშის ოდენობა ძალიან მსხვილი აღმოჩნდა. მოგვიანებით, შამპანურში მობანავეები პოლიციამ დააკავა და მათ მოუწევს კლუბისთვის ფულის გადახდა, რასაც საჯარიმო თანხაც დაემატება.



ფლავიო ბრიატორე

# რა ელის ესპანეთის გრანპრის?

ქალაქ ვალენსიას სპორტის მინისტრმა **ლოლა ჯონსონმა** განაცხადა, რომ გრანპრის გამართვაზე ახალი კონტრაქტი ჯერ გაფორმებული არ არის და მოლაპარაკებები ჩემპიონატის ორგანიზატორებთან კვლავაც გრძელდება. მიმდინარე ხელშეკრულება 2013 წლის ბოლომდე იქნება ძალაში, თუმცა ჯერ უცნობია, მოინდომებს თუ არა მის გაგრძელებას ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი**.

სავარაუდოდ, გადაწყვეტილებას სწრაფად ვერ მიიღებენ და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, მათ შორის ფინანსური ხასიათის. რბოლის ორგანიზატორები ცდილობენ შეცვალონ კონტრაქტის პირობები და ვალენსიაში არა ევროპის გრანპრი, არამედ ესპანეთის გრანპრი ჩაატარონ, რომელიც ამჟამად ბარსელონას ეკუთვნის, მაგრამ კატალონიის დედაქალაქს ფინანსური და პოლიტიკური პრობლემები აქვს.

ეს სიტუაცია, როგორც ჩანს, არ მოსწონს ბერნი ექლსტოუნს, რომელიც ფორმულა 1-ის გრანპრის ჩატარების უფლებაზე ამ ორ ტრასას შორის კონკურენციაზე ოცნებობდა. სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთი რამ შეიძლება აღარც მოხდეს - ორივე რბოლის ორგანიზატორებს შეექმნათ პრობლემები: ბარსელონაში იძულებულნი არიან ხისტი ეკონომიკის გეგმას მისდიონ, ვალენსიაში კი ვალებში ეფლობიან, რათა რბოლა ჩაატარონ. სავარაუდოდ, ესპანეთის გრანპრის ბედი ბოლო წამს გადაწყდება.



ვალენსიაში ქუჩის რბოლაა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**